პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

25 იანვარი **შაბათი** 2011
№ 018 (13315) ფასი 60 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მადლობა გულზე ხელის დადებით!

## ზვიადაური და ხერგიანი: სიხარულისა მთები დაგდგომოდეთ!





↳ 10

## ახლა ქამია დაბრუნებისა

### დინამოში დინამოელები იკრიბებიან

*ინტერვიუ კახა კაჭარავასთან*

↳ 4



## ქართველებმა ტოკიოში რესტორანი დალეწეს

**器物損壊：黒海関と臥牙丸関、酔ってけんか　店の備品壊す**

大相撲の黒海関(29)＝前頭15枚目＝と臥牙丸関(23)＝同6枚目＝が初場所中の14日朝、東京都墨田区の飲食店で酒に酔って騒ぎを起こし、店内の備品を破損させていたことが、警視庁本所署への取材で分かった。店は被害届を出しており、同署は器物損壊容疑の可能性もあるとみて2人から事情を聴く方針。

本所署によると、2人は14日午前7時半ごろ、同区江東橋4のインド料理店内でけんかになり、店内客席の間仕切りのガラス部分（縦約40センチ、横約75センチ）にひびが入ったという。2人で来店し、酒に酔っていたという。

前日13日の取組では、2人とも黒星だった。【小泉大士】



黒海関(左)と臥牙丸関

・<酒に酔って…>タクシー運転手殴る　容疑でRKB社員逮捕

↳ 11

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები

# დნიპროს ქართველთა სადარდებელი: სად ვითამაშოთ?

მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ დნეპროპეტროვსკის "დნიპროს" ქართველი ფეხბურთელები. ისინი კლუბმა ტრანსფერზე დააყენა და ახალ კლუბებს ეძებენ.





## ბექა გოცირიძე: ვერაფერი გავიგე. არც დინამოში მიშვებენ, არც აქ მათამაშებენ

უკრაინელებმა ბექა გოცირიძე არც შეკრებაზე წაიყვანეს და ჯერჯერობით არც სხვა კლუბში უშვებენ. ბოლო წლების ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო მოთამაშეც ამ ყველაფერს ძალიან განიცდის და ამბობს, რომ ფორმის აღსადგენად საქართველოში სიამოვნებით დაბრუნდებოდა და არც სასიკეთო ცვლილების იმედს კარგავს.

ბექას გუშინ დნეპროპეტროვსკში შევეხმიანეთ.

*"ახლა დუბლშემადგენლობასთან ერთად ვემზადები. ფსიქოლოგიურად ძნელია ამასთან შეგუება. ჯერ იყო ავარია, შემდეგ - გაცდენილი წელი, ახლა კი გაურკვეველი ვითარება. ან დუბლებში რა მინდა... თბილისის "დინამოში" თამაში მსურდა, მიწვევდნენ კიდეც. მეც იმედი გამიჩნდა, რომ საქართველოში დაბრუნებული ფორმას აღვიდგენდი და, იქნებ, ნაკრების მწვრთნელებს თავს შევახსენებდი. მჯერა, ადრე თუ გვიან ასეც მოხდება"*, - ამბობს გოცირიძე.

იყო ინფორმაცია, თითქოს თბილისის "დინამოს" ბექას საფასურად დნეპროპეტროვსკელებმა მილიონი ევრო მოსთხოვეს, იმდენივე, რამდენადაც თავად იყიდეს "ზესტაფონიდან".

*"არ ვიცი, "დნიპრომ" მილიონი ევრო მოითხოვა თუ რამდენი. მხოლოდ ის მითხრეს, რომ ლაპარაკი განათხოვრებაზე იყო. მკითხეს, თუ წავალთ და, სიამოვნებით-მეთქი. მერე არ ვიცი, მოლაპარაკება რატომ ჩაიშალა, ფაქტია, რომ არ გამიშვეს. კიდევ რომ იყოს "დინამოში" წასვლის შანსი, სიამოვნებით დავთანხმდებოდი. სამწუხაროდ, "დნიპრომ" არც საქართველოში გამანათხოვრა და არც სხვა კლუბში. არადა, სხვა კლუბებიც მიწვევდნენ, თუმცა "დნიპროს" ხელმძღვანელობა არაფერს მეუბნება. არა მგონია, ჩემთვის ცუდი უნდოდეთ, მაგრამ არც დუბლებში ვარჯიში მსურს და გაურკვევლობაც ძნელი ასატანია. ამის მიუხედავად, უიმედოდ არ ვარ".*

## ჯაბა კანკავა: ვვარჯიშობ და ველი

საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი **ჯაბა კანკავაც** "დნიპროს" დუბლებში ვარჯიშობს. სხვათა შორის, კიევის "არსენალის" მთავარ მწვრთნელ **იური ბაკალოვს** პრესკონფერენციაზე ჯაბა კანკავას შესაძლო გადასვლაზე ჰკითხეს, რაზეც მან კონკრეტული პასუხი არ გასცა, მაგრამ მიანიშნა, რომ ტრანსფერი გამორიცხული არ არის – ამას დრო გვიჩვენებსო.

გუშინ ჯაბა კანკავასაც დავუკავშირდით.

**- "დნიპრომ" ტრანსფერზე დაგაყენა.**

- მწვრთნელმა სამ კაცს გვითხრა, ახალი გუნდები მოძებნეთო. ახლა დუბლებში ვვარჯიშობ და წინადადებას ველოდები, უიმედოდ არც მე ვარ.

**- სად, რომელ გუნდში მიდიხართ?**

- კონკრეტული წინადადება არც ერთი კლუბიდან არ მაქვს და გაურკვევლად ვარ.

**- მართალია, რომ თბილისის "დინამოს" შენი დაბრუნება სურდა?**

- სერიოზული მოლაპარაკება არ ყოფილა.

**- საქართველოში დროებით დაბრუნებას გამორიცხავთ?**

- სხვა ვარიანტი თუ არ იქნება, რატომაც არა?!

**- რაც მთავარია, ჯანმრთელად ხარ და ვარჯიშობ?**

- თავს უკეთ ვგრძნობ და ვარჯიშებზე ჩვეულებრივად ვიტვირთები.

**მერაბ მამულაშვილი**

# კლიმიაშვილი და კრასნოდარი: ორმაგი იმედი

ორი კვირაა, **ირაკლი კლიმიაშვილი** „კრასნოდარში" ვარჯიშობს და რუსულ კლუბში უკვე ითამაშა კიდეც – 22 წლის ქართველმა ნახევარმცველმა საკონტროლო შეხვედრა ნიჟნი ნოვგოროდის "ვოლგას" წინააღმდეგ ჩაატარა, რომელშიც მოედანზე მეორე ტაიმში გამოჩნდა.

თუმცა კლიმიაშვილის ჩარიცხვაზე ჯერ არაფერი ისმის. "კრასნოდარის" ოფიციალური ვებგვერდი იუწყება, რომ ირაკლი გუნდთან ერთად კი ვარჯიშობს, მაგრამ მის შეძენაზე კლუბის ხელმძღვანელობას გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია.

გადაწყვეტილება არ მიუღიათ თავად "კრასნოდართან" დაკავშირებითაც, რომელიც რუსეთის პრემიერლიგაში სხვისი ადგილის დაკავებას ცდილობს. შეგახსენებთ, რომ რუსეთის პრემიერლიგის კლუბებს, რამენსკოეს "სატურნსა" და პერმის "ამკარს" ფინანსური პრობლემები შეექმნათ. "სატურნის" თავკაცებმა უკვე განაცხადეს, რომ ლიგაში ასპარეზობისთვის საჭირო თანხებს ვერ გაიღებენ, ფული არც "ამკარში" აქვთ, მაგრამ პატრონის პოვნას იმედოვნებენ. "კრასნოდარს" კი ამ ორიდან ერთ-ერთი ადგილის იმედი აქვს.

მოკლედ, კლიმიაშვილი ახლა ორმაგი იმედით ვარჯიშობს – ჯერ კლუბში ჩარიცხვის, შემდეგ - "კრასნოდარის" პრემიერლიგაში მოხვედრის.

**მერაბ მამულაშვილი**

## ლიპარტიამ კონტრაქტს გოლი დაურთო

ლუგანსკის „ზარიას" ახალწვეული **ჯაბა ლიპარტია** საკონტროლო მატჩში გუნდს გოლით შეეწია. ლუგანსკელებმა გუშინ თურქული შეკრების ბოლო საკონტროლო მატჩში ლენქორანის „ხაზარი" 3:1 დაამარცხეს. ლიპარტია, რომელმაც სამიოდე დღის წინ გააფორმა კონტრაქტი "ზარიასთან", ძირითად შემადგენლობაში იყო და 60 წუთი ითამაშა. შეცვლამდე სამი წუთით ადრე, აზერბაიჯანელთა საჯარიმოში შეიჭრა, წააქციეს და არბიტრმა პენალტი დანიშნა. 11-მეტრიანის დარტყმა ჯაბამ ითავა და ანგარიში 2:0 გახადა.

**დავით ცაგაძე**

## გაზაევები, ალანია და მამულაშვილი

წარმოშობით ქართველი თავდამსხმელი **გიგა მამულაშვილი** მოლდოვის ჩემპიონატის მერვეადგილოსან "ტირასპოლში" თამაშობს. გიგამ მიმდინარე სეზონში 21-ვე შეხვედრა ჩაატარა და ხუთი გოლი გაიტანა – ერთი მათგანი უმნიშვნელოვანესი გამოდგა, რადგან "ტირასპოლმა" თანაქალაქელი "შერიფი" 1:0 დაამარცხა.

მამულაშვილის თამაში არ გვინახავს და, ცხადია, მის კლასზე წარმოდგენა არ გვაქვს, მაგრამ გარკვეულ მინიშნებად გამოდგება გიგათი დაინტერესება: შევიტყვეთ, რომ ვლადიკავკაზის "ალანიას" პრეზიდენტ **ვალერი გაზაევს** მამულაშვილის გადაბირება სურს. არადა, რუსეთ-საქართველოს ომამდე კარგა ხნით ადრეც გაზაევი ქართველების აყვანაზე ყველა კლუბში თავს იკავებდა.

გაზაევმა რუსეთისა და უკრაინის წამყვანი კლუბები მოიარა და მოსკოვის ცსკა-ს უეფას თასი მოაპოვებინა, წლეულს კი მშობლიურ ვლადიკავკაზში დაბრუნდა – ოსეთში მას "ალანიას" პრეზიდენტობა შესთავაზეს. გაზაევი წინადადებას დათანხმდა და გუნდის მთავარ მწვრთნელად საკუთარი ვაჟი, **ვლადიმირ გაზაევი** დანიშნა.

გიგა მამულაშვილზე ბევრი არაფერია ცნობილი: არის რუსეთის მოქალაქე, სიმაღლით 179 სმ, 1991 წელს დაბადებული, თავდამსხმელია და რუსეთში მეორე დივიზიონის სმოლენსკის "დნეპრში" თამაშობდა.

**მერაბ მამალაძე**

## დიდი მსოფლიო მარაქა: ქეცბაია და არველაძე ჩვენგან

ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციამ (IFFHS) სხვადასხვა კატეგორიაში რჩეულები დაასახელა. ბოლო 15 წლის (1996-2010) მსოფლიოს საუკეთესო მწვრთნელთა 225-კაციან სიაში ერთი ქართველია - ჩვენი ეროვნული გუნდის თავკაცი **თემურ ქეცბაია** 205-ე ადგილზეა. ტოპ ათეული კი ასეთია:

**1. ალექს ფერგიუსონი** (შოტლანდია), **2. არსენ ვენგერი** (საფრანგეთი), **3. მარჩელო ლიპი** (იტალია), **4. გუუს ჰიდინკი** (ჰოლანდია), **5. ჟოზე მოურინიო** (პორტუგალია), **6. ოტმარ ჰიტცფელდი** (გერმანია), **7. ლუიშ ფელიპე სკოლარი** (ბრაზილია), **8. მარსელო ბიელსა** (არგენტინა), **9. სვენ-გორან ერიქსონი** (შვედეთი), **10. ფაბიო კაპელო** (იტალია);

უკრაინელებში საუკეთესო **ვალერი ლობანოვსკია** (35), რუსებში კი - **ოლეგ რომანცევი** (73).

IFFHS-მა კლუბებში ჩატარებული მატჩების რაოდენობით ბოლო 22 წლინადში (1988-2010) 313 თავდამსხმელი გამოარჩია. პირველ ადგილზე **პელეა**. ერთადერთი ქართველი - **შოთა არველაძე** 90-ე ადგილზეა.

**დავით ცაგაძე**

# გრიგალავამ კონტრაქტში საქართველო ჩაწერა

## გიას თუ ნაკრებში მიიწვევენ, ვოლგა ხელს არ შეუშლის

"ლელო" წერდა, რომ რუსეთის ახალგაზრდულ ნაკრებში ნათამაშებ **გია გრიგალავას** საქართველოს ეროვნულ გუნდში თამაში სურს. ამის კიდევ ერთ დასტურად ის ინფორმაცია გამოდგება, რომელიც მამამისმა, **ალეკო გრიგალავამ** გვაცნობა. "ვოლგასთან" კონტრაქტში გიამ ასეთი პუნქტიც ჩაწერა – თუ მას საქართველოს ნაკრებში გამოიძახებენ, კლუბი აუცილებლად გაუშვებს. როსტოვის სკა-სთან მის კონტრაქტში კი ისეთი პუნქტები იყო, რომელიც საქართველოს ნაკრებში გამოსვლას უბრკოლებდა. ახლა ეს ბარიერი მოიხსნა და კვალიფიციური მოთამაშეების დეფიციტის პირობებში, იმედია, ქართულ ფეხბურთს 21 წლის ნიჭიერ მოთამაშეს დავუბრუნებთ.

გრიგალავას თანაგუნდელი ოთარ მარცვალაძე ამბობს: *"გრიგალავა ძალიან კარგი ადამიანი და ფეხბურთელია – თეთრაძე მას ცენტრალურ მცველად ათამაშებს. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთშია გაზრდილი, სულით და გულით ქართველია და ყველგან ამას აფიქსირებს".*

გავიგეთ ისიც, რომ გრიგალავას ქართული პასპორტის დაბრუნება აქვს გადაწყვეტილი.

თუ ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი გრიგალავათი დაინტერესდა, აქვს კი „ვოლგას" ფეხბურთელს საქართველოს ნაკრებში გამოსვლის უფლება?

ამ კითხვით ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკურ დირექტორ **ნიკოლოზ ჩხეიძეს** მივმართეთ:

- გრიგალავათი ნაკრების მთავარი მწვრთნელი თემურ ქეცბაია თუ დაინტერესდა, საქართველოს ნაკრებში მისი თამაში შესაძლებელი იქნება. მას რუსეთის ახალგაზრდულ ნაკრებში უთამაშია და არა ეროვნულში, ასეთ შემთხვევაში კი ფიფა საფეხბურთო მოქალაქეობის შეცვლის უფლებას იძლევა.

**- უპრობლემოდ და დაუყოვნებლივ?**

- რა თქმა უნდა, რადგან ფიფა უფლებას გასცემს ფეხბურთელზე, თუ მისი ერთ-ერთი მშობელი მაინც ცხოვრობს დაინტერესებულ ქვეყანაში. მე რაც ვიცი, გიას დედაც და მამაც მუდმივად საქართველოში, მარტვილში ცხოვრობენ. ასე რომ, გრიგალავას ნაკრებში გამოძახებისთანავე ავტომატურად შეუძლია თამაში. არ აქვს მნიშვნელობა, რუსეთის რომელ ასაკობრივ ნაკრებში გამოსულა. რა თქმა უნდა, მანამდე ქართული პასპორტიც უნდა მიიღოს.

**- მოქალაქეობის დაჩქარებულად მიღება შესაძლებელია?**

- გარკვეული პროცედურის გავლა აუცილებელია, საბოლოოდ კი, მოქალაქეობას საქართველოს პრეზიდენტი ანიჭებს. სახელმწიფო მაქსიმალურად გვეხმარება. მე ვმონაწილეობდი იმ მემორანდუმის გაფორმებაში, რომელიც დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატსა და ფეხბურთის ფედერაციას შორის გაფორმდა. მას შემდეგ მიიღო ლუკა ჰუფნაგელმა საქართველოს მოქალაქეობა. პრობლემა არც გრიგალავას შეექმნება, მთავარია, ამის სურვილი თავად აღმოაჩნდეს და ნაკრებში გამოიძახონ.

თავისთავად სასიხარულოა, უცხოეთში მცხოვრებ ქართველს საკუთარი ქვეყნის ნაკრებში თამაშის სურვილი რომ გააჩნია. ფეხბურთის ფედერაცია ამ მიმართულებით დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის გარდა საქართველოს საელჩოებთან თანამშრომლობს და საკუთარ კავშირებსაც ვეყრდნობით. ჩვენ არც ერთი ქართველი დასაკარგად არ გვემეტება.

**მერაბ მამულაშვილი**




მოსალოდნელი ტრანსფერი

# კანდელაკი ვიტესის დღეებს იხსენებს

ზუგდიდის „ბაიას" მცველმა **ივა კანდელაკმა** სხვა ქართველებთან ერთად ჰოლანდიურ „ვიტესში" თურქულ შეკრებაზე ივარჯიშა და საკონტროლო მატჩებიც ჩაატარა. თბილისში დაბრუნებული კანდელაკი „ვიტესში" გატარებულ პერიოდს იხსენებს.



*„ვიტესში" განსაკუთრებით გუნდური ატმოსფერო, საქმისადმი მიდგომა და ფეხბურთელების ურთიერთობა მომეწონა. მთავარ გუნდთან ერთად ვივარჯიშე და დუბლებში სამ საკონტროლო შეხვედრაში ვითამაშე. პირველ მატჩში „ვეენდამთან" ერთი ტაიმი ვითამაშე, ერთ ამერიკულ გუნდთან და ორმხრივ შეხვედრაში კი - ორივე. ჩემს პოზიციაზე მარჯვენა მცველად დამაყენეს. მესამე თამაში ორმხრივი იყო და 1:1-ზე გოლი გავიტანე, მცველი და მეკარე მოვატყუე. ტესტებზე მყოფ ქართველთაგან, აბურჯანია და მანაგაძე ჩემს გუნდში იყვნენ, ხოჭოლავა, ყაზაიშვილი და ჩელებაძე კი მეტოქე გუნდში".*

ივას თქმით, მან ქება დაიმსახურა:

*„დუბლების მწვრთნელმაც შემაქო და კლუბის მეპატრონე მერაბ ჟორდანიამაც. ჟორდანიამ ძალიან თბილად მიმიღო და თამაშის მერე მითხრა - ფიზიკურად შენნაირად მომზადებული ფეხბურთელი, კარგა ხანია, არ მინახავსო.*

*ახლა ტრანსფერისთვის საჭირო საბუთების შესაგროვებლად ჩამოვედი. თუმცა, შესაძლოა, კონტრაქტი არა „ვიტესთან", არამედ სხვა გუნდთან გავაფორმო. ჩემი აგენტისგან ვიცი, რომ სხვა ვარიანტებიც არის. ჩემი ტრანსფერის საკითხი მალე გადაწყდება".*

**დავით ცაგაძე**

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის ქუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

● საქართველოს ჩემპიონატი. სამზადისი

# ფოთში ყველას ცხარე ბრძოლას ვპირდებით

## 300 ათასით და 6 ახალი ფეხბურთელით გა-დარჩენისთვის

**გასულ სეზონში ფოთის „კოლხეთმა“ უმაღლეს ლიგაში ასპარეზობის უფლება მოიპოვა, ამ ჩემპიონატის დაწყებამდე კარგი შემადგენლობაც შეკრიბა და სტარტიც არ დაეწუნებოდა, მაგრამ ნოემბერ-დეკემბერში გუნდი ათზე მეტმა ფეხბურთელმა დატოვა და ფოთის პორტის მიერ დაფინანსებაც დაპირებად დარჩა. საინტერესოა, რა ხდება ფოთში და რა ელის „კოლხეთს“. ამ საკითხზე კლუბის პრეზიდენტ თემურ ბარქაიას ველაპარაკეთ.**


თემურ ბარქაია

- უპირველეს ყოვლისა, მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ზვიად სიჭინავას ფედერაციის პრეზიდენტად მეორე ვადით არჩევა მივულოცო... რაც შეეხება „კოლხეთს“, სეზონი იმედიანად დავიწყეთ. პოტენციურ სპონსორებთან მოლაპარაკების მონაწილე თავად ვიყავი. ყველაფერზე შევთანხმდით და საკითხი თითქმის გადაწყვეტილი იყო. შეთანხმება ფურცელზე იყო გადასატანი და გარკვეული ტექნიკური საკითხები იყო მოსაგვარებელი. ერთი სიტყვით, მყარი გარანტია გვქონდა და რამდენიმე ფეხბურთელით გავძლიერდით. სამწუხაროდ, ისე მოხდა, რომ შეპირებული სპონსორული ხელშეკრულება ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო აღარ გაფორმდა.

**- მაინც რა მოხდა?**

- ყოველთვიურად გვაიმედებდნენ, მაგრამ საბოლოოდ უარი გვითხრეს კლუბის დაფინანსებაზე. მიზეზს მე ვერ გეტყვით, ეს მათ უნდა ჰკითხოთ. ამიტომაც უმაღლეს ლიგაში ყველაზე მცირებიუჯეტიანი კლუბი ჩვენ აღმოვჩნდით. ამან განაპირობა ის, რომ ზამთრის შესვენებამდე ბოლო ტურები პრაქტიკულად დუბლშემადგენლობით ჩავატარეთ.

**- „კოლხეთი“ სეზონის მეორე ნახევრისთვის ემზადება და თან ფინანსების მოძიებაზე მუშაობთ. რაიმე დამაიმედებელი თუ არის?**

- სხვა კლუბებისგან განსხვავებით, არ გვაქვს იმისი საშუალება, რომ უცხოური შეკრება გავიაროთ. გუნდი, უმეტესად ახალგაზრდა ფეხბურთელებით ფოთში ემზადება. სამშაბათს ქალაქის ხელმძღვანელობას ვხვდებით. ერთ-ერთ ვარიანტად სეზონის ბოლომდე კლუბის გარკვეული თანხით დაფინანსება განიხილება. ორ-სამ დღეში მეცოდინება, რა თანხას მოვუყრით თავს და რამდენი იქნება კლუბის ბიუჯეტი. მაქსიმალურად ზუსტად გავთვლით ხარჯვით ნაწილს, რათა მაისის ბოლომდე კლუბს ელემენტარული პირობები ჰქონდეს.

**- გუნდი არაერთმა ფეხბურთელმა დატოვა. მათგან ვინმეს ხომ არ დააბრუნებთ ან სხვა მოთამაშეებს თუ დაიმატებთ?**

- შესაძლოა, 'სამტრედიასთან" ერთად „კოლხეთს" გასავარდნად განწირულ გუნდად მიიჩნევენ, მაგრამ მინდა, ჩვენი გულშემატკივარი დავარწმუნო, რომ ეს ასე არ იქნება. სამი ფეხბურთელის მოწვევასა და გუნდიდან წასული სამი მოთამაშის დაბრუნებას ვაპირებთ. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ საიმისოდ, რომ უმაღლეს ლიგაში დავრჩეთ. 2006 წლიდან რეგიონალლიგიდან უმაღლეს ლიგაში გუნდის ასაყვანად დიდი შრომა გავწიეთ და ეს წყალში არ უნდა ჩავყაროთ.

**- დასამატებლად შერჩეულ ექვს ფეხბურთელს ვერ დაგვისახელებთ?**

- გვარებს ჯერ ვერ გეტყვით, ორს „სამტრედიადან“ დავიმატებთ, ერთს კი რუსთავის „ოლიმპიდან“. წასულთაგან სამს დავაბრუნებთ, მათგან ორი მცველია და ერთიც ნახევარმცველი. სეზონის მეორე ნახევარში მდიდარ კლუბთა სიაში არ ვიქნებით, მაგრამ უმაღლესში დასარჩენად სწორად და ზუსტად დავხარჯავთ იმ მწირ ფინანსებს, რომლებსაც თავს მოვუყრით.

**- „კოლხეთს“ დღემდე დუბლშემადგენლობის მწვრთნელი ზაზა ინიაშვილი ავარჯიშებს. მთავარი გუნდის თავკაცის, ბესიკ შეროზიას საქმე როგორ იქნება?**

- მართალია, გუნდს ზაზა ინიაშვილი ავარჯიშებს, მაგრამ შეროზია გუნდიდან არ წასულა. ქალაქის ხელმძღვანელობასთან შეხვედრის შემდეგ შეროზიას უნდა ველაპარაკო და ყველაფერს გავარკვევთ.

**- დავალიანება რა თანხას შეადგენს?**

- ორი თვის სახელფასო დავალიანება და კიდევ სხვა ვალები, რომლებიც გუნდისთვის დაგვჭირდა და ჩვენი მეგობრების დახმარებით მოვიძიეთ.

**- კლუბის ბიუჯეტი დაახლოებით როგორი იქნება, რამდენს ვარაუდობთ?**

- ვფიქრობთ, დაახლოებით 300 ათას ლარს მოვუყაროთ თავი. ამ თანხას სწორად განვკარგავთ და მჯერა, უმაღლეს ლიგაში დარჩენას შევძლებთ. რაც შეეხება ვალებს, ეტაპობრივად გავისტუმრებთ. „კოლხეთს“ საშინაო გუნდის სახელი აქვს და ფოთში ყველა გუნდს ცხარე ბრძოლას ვპირდებით.

**დავით ცაბაძე**

# კოლხეთი და სიონი მშრალად დაზავდნენ

ფოთის „კოლხეთმა“ მორიგი ამხანაგური მატჩი ურეკში მოსამზადებელ შეკრებაზე მყოფ ბოლნისის „სიონთან“ გამართა. „კოლხებს“ ამ შეხვედრაშიც დუბლშემადგენლობის თავკაცი **ზაზა ინიაშვილი** ხელმძღვანელობდა. ფოთურ-ბოლნისური სპარინგი 0:0 დასრულდა. გუნდებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს:

კოლხეთი: **ძაგანია, ბარამიძე, ცხვიტარია, გეგელია, ქორჩილავა, მოისწრაფიშვილი, გვალია, გოგონაია, კვერენჩხილაძე, გულუა, წიქარიშვილი.**

*შეცვლაზე შევიდნენ: ყურუა, გაბუნია, კუკულაძე, გელაჭეიშვილი, მეგრელიშვილი.*

„სიონი": **მერლანი, ვაშაკიძე, ინწკირველი, დიდავა, კობაური, ლ. ნოზაძე, ჩირიკაშვილი, გოგობერიშვილი, სანიკიძე, მ. ოქროპირიძე, ისიანი.**

*შეცვლაზე შევიდნენ: თარგამაძე, გ. ოქროპირიძე, კ. ჩხეტიანი, ლ. ჩხეტიანი, ადამაშვილი, ქორიძე, გ. მელქაძე.*

„სიონის“ პრესატაშე **ჯემალ ჭიპაშვილის** ცნობით, თავდამსხმელმა **რევაზ ჯიქიამ** შეკრება მამის გარდაცვალების გამო დატოვა. „სიონი“ მომდევნო საკონტროლო მატჩს დღეს „სამტრედიასთან“ გამართავს.

**დავით ცაბაძე**

# ზესტაფონელები და მარბელა

დღეს, გამთენიისას „ზესტაფონი“ ესპანეთში გაფრინდა, სადაც 9 თებერვლამდე მოსამზადებელ შეკრებას გაივლის. იმერლები მალაგას მახლობლად, ქალაქ ესტეპონაში დაბინავდებიან. გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **გია გეგუჩაძემ** ესპანეთში 24 ფეხბურთელი წაიყვანა:

მეკარეები: **როინ კვასხვაძე, ზურაბ მამალაძე, კახაბერ მეშველიანი;**

მცველები: **გიორგი ხიდეშელი, გიორგი ონიანი, ზაალ ელიავა, მამუკა კობახიძე, გორან გრუიცა;**

ნახევარმცველები: **მურთაზ დაუშვილი, ალექსი ბენაშვილი, თორნიკე გორგიაშვილი, ირაკლი ძარია, შოთა გრიგალაშვილი, შოთა ბაბუნაშვილი, თორნიკე აფციაური, გიორგი ჭანკოტაძე, კახაბერ ალადაშვილი, ზურაბ მენთეშაშვილი;**

თავდამსხმელები: **ნიკოლოზ გელაშვილი, ჯაბა დვალი, რატი წინამძღვრიშვილი, გოგი ფიფია, საბა ლომია, ნიკოლოზ ჩიხლაძე.**

კლუბის პრესსამსახურის ინფორმაციით, მცველმა **კარენ მაკარიანმა** და ნახევარმცველმა **გიორგი ცხადაიამ** „ზესტაფონი“ დატოვეს, ნახევარმცველი **გიორგი მიქაბერიძე** კი სეზონის ბოლომდე „სამტრედიაში“ გაანათხოვრეს. ზესტაფონელები ესპანეთში 2 თებერვლიდან „მარბელას თასზე“ ითამაშებენ, პირველ მატჩს პრაღის „სპარტასთან“ გამართავენ.

**დავით ცაბაძე**

● დინამო. სამზადისი

# ფეხბურთი მთის წვერზე

## სვანეთი: ლენტეხმა ლენტი გაჭრა
## რაჭა: ჭირს, ქვე შენი ჭირიმე, და, წოული, ბოშო, მწვრთნელს ლობიო

ფეხბურთის ფედერაციის ყრილობაზე რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებს, პრეზიდენტ **დავით შარაბიძეს** და გენერალურ მდივან **ენრიკო ჩიტალაძეს** გავესაუბრე. ქართულ ფეხბურთს უჭირს და, ცხადია, რეგიონებში კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაა და მათი ამბების გაგება საინტერესო იქნებოდა.

საუბრისას ერთ უცნაურობაზეც დავეკითხე – იმ დროს, როდესაც სვანეთში ფეხბურთის კლუბი საერთოდ არ არსებობდა, რა საჭირო იყო სვანეთის რეგიონის ორ ნაწილად გაყოფა? ქვემო სვანეთი რაჭა-ლეჩხუმის ფეხბურთის რეგიონულ ფედერაციას მიუერთეს, ზემო სვანეთი კი - სამეგრელოს რეგიონულს.

სვანეთის ხსენებაზე ენრიკო ჩიტალაძისგან გავიგე, რომ თურმე, 2010 წელს სვანეთში საფეხბურთო გუნდი ჩამოყალიბებულა. სვანეთში ფეხბურთი უყვართ, მაგრამ ეს თამაში არასდროს ყოფილა განვითარებული. ყოველ შემთხვევაში, ბოლო სამი ათწლეულია, ამ კუთხეში გუნდის არსებობაზე არაფერი გვსმენია. საინტერესო ამბავი იყო და ჩიტალაძეს ინტერვიუ ჩამოვართვით.

**- სვანეთში კლუბი ვინ დააარსა?**

- გასულ წელს ლენტეხში ჩამოაყალიბეს საფეხბურთო გუნდი "ლენტეხი". ლენტეხში სპორტული სკოლა არსებობდა, ფეხბურთის გუნდი კი ზურაბ ჯანელიძემ 2010 წლის ზაფხულში ჩამოაყალიბა. იგი სვანეთში ცხოვრობს, ფეხბურთი უზომოდ უყვარს და პირველია, ვინც სვანეთში გუნდი შექმნა.

**- გუნდის შენახვა ხარჯიანი საქმეა და ამას როგორ ახერხებენ?**

- გუნდს ლენტეხის დეპუტატი და რაიონის ხელმძღვანელები ეხმარებიან, საკმაოდ კარგად აფინანსებენ. გადაწყვეტილია სტადიონის რეაბილიტაციაც. სტადიონი იყო, მაგრამ, რადგან სვანეთში საფეხბურთო გუნდი არ არსებობდა, მოედნის ნახევარი მოსახლეობას ჰქონდა დამუშავებული.

**- გუნდი რომელიმე ტურნირში მონაწილეობს?**

- "ლენტეხი" დასავლეთ ზონაში, იმერეთის რეგიონული ფედერაციის ორგანიზებულ მიხეილ მესხის სახელობის თასზე გამოდის.

**- სვანებს ფეხბურთი აინტერესებთ?**

- ძალიან და ესაა მთავარი.

**- ნიჭიერი ბავშვები თუ გამოჩნდნენ?**

- თავად ზურაბ ჯანელიძის ვაჟი გიორგი, იგი თავდამსხმელია და 16-წლამდელთა ნაკრებში ვასილ მაისურაძემ მიიწვია. ეს უკვე შედეგია, რადგან სვანეთში ჯერ მხოლოდ ერთი ჯგუფი არსებობს. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ სვანეთში პერსპექტივა არის.

**- რაჭასა და ლეჩხუმში რა ხდება?**

- ამბროლაურში 2010 წელს საფეხბურთო კლუბი "რაჭა" ჩამოყალიბდა, რომელიც რეგიონულ ლიგაში თამაშობს. ეს რეგიონში ერთადერთი დიდების გუნდია.

**- კლუბს აფინანსებენ თუ საკუთარი ხარჯებით გადიხართ ფონს?**

- რეგიონული ბიუჯეტიდან 25 ათასი ლარი გამოგვიყვეს. თუმცა "რაჭა" დასავლეთ ზონის რეგიონულ ლიგაში თამაშობს და თანხის ნაწილი, 7 ათასი ლარი ამ ლიგაში მონაწილეობისთვის უნდა გადავიხადოთ, დარჩენილი ფული კი ტრანსპორტირებაში უნდა გვეყოს. "რაჭას" მწვრთნელი ლაშა რატიანია, უფრო სწორად, ის მოთამაშე-მწვრთნელია.

**- საფეხბურთო სკოლები თუ მუშაობენ?**

- მუშაობენ და ბევრი ნიჭიერი ბავშვიც გვეზრდება. კლუბის დანიშნულება მათი ხელშეწყობა და წარმოჩენაა.

**- რამდენი იყო სკოლებში გადასახადი?**

- ხუთი ლარი იყო, მაგრამ ყველა ვერ იხდიდა, რადგან რაჭის მოსახლეობას უჭირს. ზოგი ფულის ნაცვლად ლობიოს და სხვა პროდუქტს გვთავაზობდა და ბოლოს გადასახადის გაუქმება გადავწყვიტეთ.

იმ დროს, როდესაც ზოგიერთ საფეხბურთო რეგიონში, მაგალითად, კახეთში, საფეხბურთო კლუბები აღარ არსებობს, სვანეთში გუნდის ჩამოყალიბება ძალიან სასიხარულოა. ვინ იცის, იქნებ ნიჭიერ სვანებს ფეხბურთის ნიჭიც აღმოაჩნდეთ. და საერთოდ, ეს ყველასთვის დამაფიქრებელი უნდა გახდეს. თუ ფეხბურთს მთის წვერზე თამაშობენ და თანაც მხოლოდ ენთუზიაზმით, ბარში რა ღმერთი გაგვიწყრა?!

**მერაბ მამულაშვილი**

● ფუტსალი ევროპის 2012 წლის ჩემპიონატი. შესარჩევი ეტაპი

# თითქოსდა დარჩა ცოტა, არადა, არ იყო ცოტა

## მთავარია, პერსპექტივა გამოჩნდა

მაკედონიის დედაქალაქ სკოპიეში ჯგუფური ტურნირის სუპერფინალად მონათლულ ელიტრაუნდში მოსახვედრ შეხვედრაში, საქართველოს მაკედონიასთან ფრეც ჰყოფნიდა. შემდეგ ეტაპზე ოთხგუნდიანი ჯგუფიდან მხოლოდ გამარჯვებული გადიოდა.

სამწუხაროდ, მატჩი ჩვენებისთვის ცუდად დაიწყო. უკვე მეორე წუთზე მასპინძლები **ზორან ლევესკიმ** დააწინაურა. გაშვებული ბურთის შემდეგ საქართველომ შეუტია, რამდენიმე რეალური მომენტიც შექმნა, მაგრამ მაკედონიელები გადარჩნენ.

მეორე ტაიმი ქართველთა უპირატესობით მიმდინარეობდა, მაგრამ 27-ე წუთზე კვლავ ლევესკიმ ივარგა – 2:0.

**დავით ბობოხიძემ** მატჩის ბოლო წუთზე სხვაობა შეამცირა და ხუთი გოლით ჯგუფური ტურნირის ბომბარდირი გახდა, თუმცა საქართველო ელიტ რაუნდში ვერ გავიდა, რაც ძალიან დასანანია - **ზაალ ჩიტალაძის** გუნდმა პირველ ორ ტურში კარგად ითამაშა და გულშემატკივარი დააიმედა.

მთავარი ისაა, რომ ნაკრებს პერსპექტივა უჩანს.

**მაკედონია-საქართველო 2:1**

საქართველო: **ჯამბურია, კობაიძე, მაყაშვილი, ბობოხიძე (კაპიტანი), სებისკვერაძე;** კეფაშვილი (მეკარე), ჭანუყვაძე, კაკაბაძე, დევდარიანი, შერმადინი, მაისაია, ლუკავა.

გოლები: 1:0 ლევესკი (2), 2:0 ლევესკი (27), 2:1 ბობოხიძე (39).

მეორე შეხვედრაში ესტონეთი ინგლისის ნაკრებთან 2:3 დამარცხდა.

**საბოლოო ცხრილი:**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მაკედონია | 3 | 3 | 0 | 0 | 11:4 | 9 |
| 2. საქართველო | 3 | 2 | 0 | 1 | 13:2 | 6 |
| 3. ინგლისი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:9 | 3 |
| 4. ესტონეთი | 3 | 0 | 0 | 2 | 4:17 | 0 |

**მერაბ მამულაშვილი**

● ტრანსფერი

# კაკულიამ კონკურენცია და ზრდა ამჯობინა

**დავით კაკულია მოლდოვის ჩემპიონატის აუტსაიდერ "სფინტულ გეორგედან" მეოთხეადგილოსან ბელცის "ოლიმპიაში" გადავიდა:**

- წინა სეზონი "ტირასპოლში" ვითამაშე, ზაფხულში კი "სფინტულ გეორგეში" ამიყვანეს, სადაც ნახევარი სეზონი ჩავატარე. ახალგაზრდული გუნდია, კარგად მომზადებისა და თავის გამოჩენის შანსი მქონდა და ვფიქრობ, დრო არ დამიკარგავს. ბოლო კლუბთან აგენტმა კონტრაქტი ისე შემიდგინა, წასვლის პრობლემა რომ არ მქონოდა. ახლა კი ბელცის "ოლიმპიაში" ჩავირიცხე. ჩემს ახალ მწვრთნელ ნიკოლაი ბუნიას ტექნიკური ფეხბურთი უყვარს, "სფინტულ გეორგესთან" მატჩის დროს მოვეწონე და ჩემს აგენტს დაელაპარაკა. თავიდან ვფიქრობდი, მაინც "სფინტულ გეორგეში" დავრჩენილიყავი, იქ სულ ძირითადში მათამაშებდნენ, "ოლიმპია" კი სამეულისთვის იბრძვის და შემადგენლობაში გარანტირებული ადგილი არ მექნება, მაგრამ ბოლოს ბელცში გადასვლა ვამჯობინე. კონკურენციაში უკეთ გავიზრდები.

**- შენზე ვერ იტყვი, ათლეტურიაო, არადა, ეს დღევანდელ ფეხბურთში ძალიან ფასობს.**

- მოლდოვის ჩემპიონატში იმდენს მოძრაობენ, ფიზიკურად კარგად უნდა მოემზადო და მეც ბევრი შრომა დამჭირდა. მართალია, ჯერ ბევრი ნაკლი მაქვს, მაგრამ როდესაც მათ უპირისპირებ ტექნიკას, თამაში გიადვილდება. ასე შედარებით ნაკლები ენერგიის ხარჯვით მეტ ეფექტს აღწევ, თუმცა უკვე ბევრად მეტხანს ვუძლებ ტემპიან თამაშს, ლონეც მომემატა.

**- საინტერესოა, მოლდოვაში რა პირობები, ბაზები და სტადიონებია.**

- "შერიფის" დარი ბაზა ბევრ ევროპულ კლუბს არ ექნება, თხუთმეტი მოედანია ბაზაზე, გადახურული სტადიონი და სრული ინფრასტრუქტურა. "დაჩიასაც", სადაც ჩვენი ბიჭები თამაშობენ, კარგი პირობები აქვს, დაახლოებით "ზესტაფონის" მსგავსი. არც "ზიმბრუსა" და "ოლიმპიას" უჭირთ და არც სხვა კლუბებს. ფინანსურად ჩვენზე ოდნავ უკეთესი ვითარებაა, კლუბებს უკეთ აფინანსებენ. მოედნები კი ბევრად უკეთესი აქვთ. ჩვენი დონის ფეხბურთელები არ ჰყავთ, მაგრამ ფიზიკური მომზადების ხარჯზე საქართველოს ჩემპიონატზე წინ მათსას დავაყენებ. იქ მივხვდი, რომ საქართველოში თითქმის არ მოძრაობენ, არ დარბიან და, ცხადია, ჩამოვრჩებით. არადა, ცოტა ფული, ოდნავ უკეთესი ფიზმომზადება და მოლდოვის ჩემპიონატს ჩვენსას ვერც შევადარებდი.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთი

დინამო. ინტერვიუ კახა კაჭარავასთან

# ისინი ბრუნდებიან

არავისთვისაა არახალი ამბავი, რომ ქართული საკლუბო ფეხბურთის სიმბოლოდ უკვე რამდენიმე ათეული წელიწადია, თბილისის „დინამო“ მიიჩნევა. ისიც არაერთხელ გვითქვამს, რომ საქართველოს მასშტაბით ჩასატარებელ ნებისმიერ ტურნირზე (ჩემპიონატი, თასი) ამ გუნდს მუდამ „მარადიული ფავორიტის“ სტატუსი აქვს; ჰოდა, ამიტომაც არის ყოველთვის აქტუალური „დინამოში“ მიმდინარე პროცესები, — მით უფრო მაშინ, როცა ჩემპიონატის პირველ და მეორე ეტაპებს შორის გამოცხადებული პაუზის დროს გუნდში (გნებავთ, კლუბში) სერიოზული ცვლილებები მოხდა. ამჯერად კლუბის ხელმძღვანელობაში მომხდარ სიახლეებზე არ ვისაუბრებთ, რამეთუ არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო სხვა საკადრო გადაწყვეტილებაც: „დინამოს“ მთავარ მწვრთნელად კვლავაც კახა კაჭარავას ვიხილავთ, ვინც ამ თანამდებობას დაახლოებით ორთვიანი პაუზის შემდეგ დაუბრუნდა.

... 2005 წლიდან კაჭარავა „დინამოს“ სამწვრთნელო შტაბშია; ჯერ „დინამო-2“-ის თავკაცი გახლდათ, მერე უკვე მთავარ გუნდში დუშან უჰრინსა და რაინერ ცობელს ეხმარებოდა. ამ უკანასკნელის გათავისუფლების შემდეგ თბილისის „დინამო“ ჩაიბარა და მოკრძალებული რესურსისა და არცთუ სახარბიელო ფინანსური პირობების გათვალისწინებით, ვერავინ იტყოდა, წარუმატებლად მუშაობდაო. თანაც, ეს ეხება არა მხოლოდ საქართველოს ჩემპიონატსა და თასის გათამაშებას, არამედ ევროტურნირებზე მონაწილეობასაც. კაჭარავამ მიმდინარე სეზონიც „დინამოში“ დაიწყო; მისი ხელმძღვანელობით გუნდმა რამდენიმე შთამბეჭდავი თამაში ჩაატარა და ზუგდიდის „ბაიასთან“ ფრედ დამთავრებული შეხვედრის შემდეგ, ვიდრე გადადგებოდა, „დინამო“ კვლავაც რჩებოდა ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტად. ისე, არ დავმალავთ: მართლაც უცნაური სიტუაცია შეიქმნა, რამეთუ იშვიათზე იშვიათი შემთხვევაა, როცა ესა თუ ის პიროვნება თბილისის „დინამოს“ მთავარი მწვრთნელის პოსტს საკუთარი სურვილით ტოვებს...

...თბილისის „დინამოს“ ახალმა მეპატრონემ რომან ფიფიამ ერთ-ერთი პირველი საკადრო გადაწყვეტილება რაც მიიღო, გუნდის მთავარ მწვრთნელად კახა კაჭარავას დაბრუნება იყო. ვერაფერს ვიტყვით: ქართულ საფეხბურთო „სივრცეში“ გამოჩენილი ახალი ფიგურისგან მართლაც გონივრული ნაბიჯი იყო; მით უფრო, რომ გუნდის ფანებსაც გაუხარდებოდათ ეს გადაწყვეტილება, ფეხბურთელებსაც და, რაც მთავარია, ქართულმა სპორტულმა მედიამაც აშკარად დადებით მოვლენად შეაფასა კაჭარავას „დინამოში“ დაბრუნება. ისიც ცხადია, რომ კაჭარავას კარგად უნდა ჰქონდეს გააზრებული, თუ რამხელა პასუხისმგებლობა იტვირთა: ახალი მეპატრონის გამოჩენით გუნდს უამრავი პრობლემა „მოეხსნება“ და „დინამოს“ მწვრთნელ-ფეხბურთელებსაც ამიერიდან მხოლოდ ფეხბურთზე ექნებათ საფიქრალი...

თბილისის „დინამოს“ ძველ-ახალ მთავარ მწვრთნელ კახა კაჭარავას დიღმის საწვრთნელ ბაზაზე მაშინ ვეწვიეთ, როცა გუნდი თურქულ შეკრებაზე გასამგზავრებლად ემზადებოდა. საუბრის ძირითადი თემა კი, რაღა თქმა უნდა, ზამთრის მოსამზადებელ ეტაპზე გუნდის სატრანსფერო კამპანია იყო...

**- თურქეთში გამგზავრებამდე „დინამომ“ 5 საკონტროლო მატჩი ჩაატარა და ყველა მოიგო; ალბათ, კმაყოფილი იქნებით ამ ეტაპზე გუნდის მზადებით.**

- შედეგზე მნიშვნელოვანი გუნდის ფუნქციონური მომზადება და სელექციის პროცესია; რა თქმა უნდა, ხუთივე მატჩში გამარჯვებაც მახარებს, მაგრამ სელექციის პროცესი არ დასრულებულა და თურქეთშიც გაგრძელდება.

**- ანუ, პოტენციური ახალწვეულების გამოჩენას იქაც უნდა ველოდოთ?**

- ნაყოფიერი შეკრება გვაქვს დაგეგმილი, თანაც სამ უკრაინულ, ერთ რუსულ და ერთ ხორვატულ გუნდთან (ყველა - უმაღლეს ლიგაში ასპარეზობს) მოგვიწევს სპარინგ მატჩების ჩატარება და ახალწვეულებს იმ შეხვედრებში დავაკვირდებით. ფაქტია, რომ ზოგ პოზიციაზე გაძლიერება გვჭირდება, ოღონდ, ამ ეტაპზე ამპლუების დაკონკრეტებისგან თავს შევიკავებ.

**- სელექცია აქაც არანაკლებ „მასშტაბური“ იყო; ბოლოს და ბოლოს, ქართველებს თავი რომ დავანებოთ, ათი უცხოელი ფეხბურთელი ისინჯებოდა...**

- მერე, იმ ათიდან რამდენი დარჩა? ერთადერთი, მხოლოდ მარკო მაროვიჩია, სერბი მარცხენა მცველი, ვისთანაც კონტრაქტი (6 თვე+2 წელი) გავაფორმეთ, დანარჩენებს კი კეთილი სურვილებით დავემშვიდობეთ. ზოგიერთი უცხოელი ახალწვეულის თამაში თვითონაც ნახეთ და ალბათ, დამეთანხმებით, თუ რა დონის ფეხბურთელებიც იყვნენ...



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

**- ყოველ ექვს თვეში ერთხელ მსგავსი სიტუაციაა და არა მხოლოდ „დინამოში“; ჩამოჰყავთ ფართოდ „რეკლამირებული“ უცხოელები და მერე აღმოჩნდება, რომ თურმე ხეირიანად ბურთზე ფეხის დარტყმაც არ შეუძლიათ...**

- სხვა გუნდების მაგალითსა და სხვა წლებზე არ ვისაუბრებ და მხოლოდ დღევანდელ სიტუაციაზე მოგახსენებთ. „დინამოს“ ხელმძღვანელობამ და სამწვრთნელო შტაბმა გადავწყვიტეთ, რომ არც ერთი იმ მენეჯერისათვის, ვისაც საქართველოში უცხოელი ფეხბურთელები ჩამოჰყავდა, უარი არ გვეთქვა; ანუ, როგორც იტყვიან, ყველას კარი გავუღეთ და, სამწუხაროდ, არცთუ სახარბიელო შედეგი მივიღეთ.

**- იმას გულისხმობთ, ათი უცხოელიდან მხოლოდ მაროვიჩი რომ დაიტოვეთ?**

- შეურაცხყოფას არავის ვაყენებ, მაგრამ მენეჯერების „მუშაობა“ ნათლად გამოჩნდა; სხვათა შორის, მაროვიჩს რეკომენდაცია რუმინულ „გაზ მეთანში“ მოასპარეზე აკაკი ხუბუტიამ გაუწია: თავის დროზე ერთად ვთამაშობდით, ურიგო ფეხბურთელი არ არის და იქნებ გამოგადგეთო.

**- ახალ ქართველ ახალწვეულებზე ვისაუბროთ; ოღონდ, ჯერ ისინი ვახსენოთ, ვინც „დინამოსთან“ ერთად თურქეთში არ მიდის: ირაკლი ბერაიასა და გიორგი ფოფხაძეს ვგულისხმობთ.**

- ბერაია ბოლო დროს რუსეთის ქვედალიგებში ასპარეზობდა, ოპერაცია ახალი გადატანილი ჰქონდა და ამ ეტაპზე მისი დატოვებისგან თავი შევიკავეთ. აი, ფოფხაძესთან დაკავშირებით აბსოლუტურად განსხვავებული სიტუაციაა. არ დაგიმალავთ, რომ ამ ბიჭთან, ფაქტობრივად, ყველაფერზე შეთანხმებული ვიყავით: ერთი კვირა ჩვენთან ერთად ივარჯიშა, ორი საკონტროლო მატჩიც ჩაატარა და კონტრაქტის გაფორმებასაც წინ არაფერი ედგა, მაგრამ...

**- მიზეზი რა იყო, ქართველებისათვის ასე „ტრადიციული“... პირობებზე შეუთანხმებლობა?**

- არა, უბრალოდ სხვაგან წასვლა ამჯობინა, თორემ, კიდევ ვიმეორებ, „დინამოში“ მისი ჩარიცხვა, პრაქტიკულად, გადაწყვეტილი იყო. რა თქმა უნდა, ფეხბურთელს თუ სხვაგან თამაში ურჩევნია, ძალით ვერ გააჩერებ; ასეც რომ არ იყოს, „დინამოში“ დარჩენაზე ხვეწნას არავის დავუწყებთ...

**- ხუთივე საკონტროლო მატჩში „დინამოს“ კარს 20 წლის თორნიკე ზარქუა საიმედოდ იცავდა. „ბაიაში“ მისი ყოფილი თანაგუნდელი ნიკა კვეკვესკირი კი, ჩვენი აზრით, „დინამოს“ ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო შენაძენია. მით უფრო, რომ ამ ნიჭიერ ბიჭს რამდენიმე პოზიციაზე შეუძლია თამაში.**

- ზარქუამ მართლაც მშვენიერი შთაბეჭდილება დატოვა და ისიც მიხარია, რომ ამ ბიჭის შეძენით სწორი არჩევანი გავაკეთეთ. იმავეს თქმა შემიძლია კვეკვესკირზეც, ვის ადგილსაც ნახევარდაცვის ცენტრში ვხედავ და ვის ასპარეზობაზეც ჯერჯერობით მხოლოდ კარგის თქმა შემიძლია.

**- ექვსთვიანი პაუზის შემდეგ „დინამოს“ შოთა კაშია დაუბრუნდა...**

- დიდი ხანია, ვიცნობ და ხუთი წელიწადია ერთად ვმუშაობდით. წინა ჩემპიონატი რომ მორჩა, უცხოეთში სურდა კარიერის გაგრძელება. მაგრამ სამწუხაროდ, ისე მოხდა, რომ ვერც სხვა ქვეყანაში გაემგზავრა და... ვეღარც „დინამოში“ დაბრუნდა, სადაც შემადგენლობა უკვე დაკომპლექტებული იყო. 6 თვე ცხინვალის „სპარტაკში“ გაატარა და ამ გუნდის ერთ-ერთი ლიდერი იყო, ცუდად ნამდვილად არ უთამაშია და ძალიან მიხარია, ისევ „დინამოში“ რომ დაბრუნდა.

**- კაშიას ბოლო საკონტროლო მატჩები არ უთამაშია, აი, გიორგი ლორიას კი, საერთოდ, არც ერთ სპარინგშეხვედრაში არ უასპარეზია.**

- კაშიამ მიკროტრავმა მიიღო, მაგრამ საშიში არაფერია. ლორიას მუხლი აწუხებდა და თურქეთში გამგზავრებამდე გუნდთან ერთად მხოლოდ 2 დღე ივარჯიშა. საერთოდ კი მინდა ვთქვა: თურქეთშიც რომ დავიმატებთ ფეხბურთელებს, „დინამოში“, ფაქტობრივად, ყველა პოზიციაზე სერიოზული კონკურენცია იქნება.

**- არადა, ბოლო წლებში მსგავსი რამ სანატრელი გექნებოდათ...**

- რა თქმა უნდა - 14-15-კაცი გვყავდა, ძირითად შემადგენლობაში მოხვედრაზე მეტ-ნაკლებად რომ ჰქონდა პრეტენზია. ახლა კი, მერწმუნეთ, ასეთი, სულ მცირე, 20 ფეხბურთელი გვეყოლება.

**- ისევ ლორიაზე გვინდა გკითხოთ, ვისი უდიდესი დამსახურებაც არის, პირველ ეტაპზე „დინამომ“ ყველაზე ნაკლები გოლი რომ გაუშვა. ამას გარდა, მიგვაჩნია, რომ ლორია არა მხოლოდ „დინამოსი“, არამედ ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელიცაა და ამ მეკარის პროგრესიც აშკარაა.**

- სახლის შენებას საძირკვლით რომ იწყებენ, ასეა ნებისმიერ გუნდშიც: თუ კვალიფიციური მეკარე არა გყავს, რაიმე წარმატებაზე ფიქრიც ზედმეტია. გეთანხმებით, რომ ლორიას მართლაც სერიოზული პროგრესი აქვს, თუმცა ყოველივე ეს ჩემთვის მოულოდნელი არ ყოფილა. ჯერ კიდევ 8 წლის წინ, „ავაზაში“ რომ ვმუშაობდი, ჩემთან ვარჯიშობდა, მერე „დინამო-2“-ში ვიყავით ერთად და ყოველთვის მჯეროდა, რომ მაღალ დონეზე ითამაშებდა - ისე, როგორც „დინამო-2“-ში მისი თანაგუნდელები: გურამ კაშია, მათე ვაწაძე, გიორგი მერებაშვილი, გულვერდ თომაშვილი, ლევან კაკუბავა. ნიკა ფირცხალავაც უნდა ვახსენო - ამდენი ტრავმის შემდეგ ნელ-ნელა რომ იბრუნებს ოპტიმალურ ფორმას.

**- „დინამოს“ ერთ-ერთ წარმატებულ ტრანსფერად დიმიტრი ტატანაშვილის შეძენაც უნდა მივიჩნიოთ. თუმცა, ალბათ, დამეთანხმებით, რომ გუნდში მხოლოდ ერთი კვალიფიციური ფორვარდი საკმარისი ნამდვილად ვერ იქნება.**

- ტატანაშვილის შესაძლებლობებში ეჭვი არასდროს შემპარვია, მაგრამ მისი თამაში წელიწად-ნახევარზე მეტი არ მქონდა ნანახი. მჯერა, რომ „დინამოს“ საკმაოდ გააძლიერებს: გამოცდილებაც



კახა კაჭარავა (მარცხნივ) და ზაურ სვანაძე

ფოტო: www.fcdinamo.ge

დაუგროვდა, გოლის ალღოც აქვს და სისწრაფეც არ დაეწუნება. თუმცა, მხოლოდ მის იმედად ვერ ვიქნებით და თურქეთში რომ უნდა შემოგვიერთდნენ ახალწვეულები, მათ შორის ფორვარდებიც იქნებიან. არც იმას დაგიმალავთ, რომ ერთი-ორ ქართველ თავდამსხმელზეც ვფიქრობდით, მაგრამ თავიანთ კლუბებთან კონტრაქტი აკავშირებდათ და ამ საქმისგან არაფერი გამოვიდა.

**- „დინამოდან“ წასულებზეც გვინდა გკითხოთ და უპირველესად ლევან ხმალაძის ამბავი გვაინტერესებს.**

- ამ ფეხბურთელს უდიდეს პატივს ვცემ; რამდენიმე შემთხვევა ყოფილა, ტრავმირებულს უთამაშია - ისევ და ისევ, გუნდის ინტერესებიდან გამომდინარე. შარშანაც ჰქონდა უცხოეთში წასვლის სურვილი და არ დავაბრკოლეთ; ჩამოვიდა და ისევ ჩვენთან გააგრძელა თამაში, მაგრამ კვლავ გამოუჩნდა ვარიანტი და ხელი არც ახლა შევუშალეთ.

**- დავით მუჯირთან მიმართებაში რაღა მოხდა? ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, პირველი ეტაპის მიწურულს „დინამოს“ ორი გამარჯვება სწორედ „მუმუს“ ზუსტმა დარტყმებმა მოაპოვებინა...**

- ამ გამოცდილ ფეხბურთელს მხოლოდ და მხოლოდ მადლობა უნდა გადავუხადოთ: დიდი ხნის უთამაშებელი იყო, მაგრამ როგორც თქვენ აღნიშნეთ, პირველი ეტაპის ბოლოს სწორედ მისმა საშემსრულებლო ოსტატობამ „დინამოს“ უმნიშვნელოვანესი ქულები მოუტანა. სამწუხაროდ, მომავალ თანამშრომლობაზე ჩვენი კლუბისა და მუჯირის აზრი განსხვავებული აღმოჩნდა...

**- უფრო კონკრეტულად?**

- უბრალოდ, ჩვენი შეთავაზება მუჯირის სურვილს არ დაემთხვა, თანაც, „მუმუს“ არც დაუმალავს, რომ სხვა წინადადებებიც ჰქონდა, თანაც სამწლიან კონტრაქტს სთავაზობდნენ. არადა, მერწმუნეთ: როგორც „დინამოს“ მთავარ მწვრთნელს და საერთოდაც, კლუბის ხელმძღვანელებსაც სურვილი გვქონდა, რომ მუჯირისათვის, როგორც იტყვიან, ღირსეული კონტრაქტი შეგვეთავაზებინა.

**- ლეგიონერებიც არ დაგვავიწყდეს: ედნილსონმა ყველა საკონტროლო მატჩში მიიღო მონაწილეობა, აი, ჯუისსა და რობერტინიოს კი არც ერთი შეხვედრა არ ჩაუტარებიათ.**

- რობერტინიო ჩვენთან არის და ახალი, ოთხწლიანი გაუმჯობესებული კონტრაქტიც გავუფორმეთ; უბრალოდ, სამშობლოდან გვიან ჩამოვიდა და ჯერ ინდივიდუალურად ემზადებოდა, შემდეგ - დუბლებთან, ახლა კი თურქეთში ჩვენთან ერთად მოდის და მეორე ეტაპზე მასზე დიდ იმედებს ვამყარებთ. რაც შეეხება ჯუისს, ეს კამერუნელი შემტევი კლუბმა ტრანსფერზე დააყენა და ჩემი ინფორმაციით, ამჯერად ერთ-ერთ ბელგიურ კლუბში სინჯებზე იმყოფება.

**- „დინამოდან“ წასულ ფეხბურთელებსა თუ ახალწვეულებზე ვსაუბრობთ და, ალბათ, უფრო ადრე უნდა გვეთქვა კლუბის ახალ სახეებზეც. მით უფრო, რომ სხვადასხვა თანამდებობაზე კლუბშიც და გუნდშიც ყოფილი დინამოელები, წარსულში ცნობილი ფეხბურთელები დაბრუნდნენ: ზაურ სვანაძე, მურთაზ შელია, მიხეილ ჯიშკარიანი; აშკარად პოზიტიურ ფაქტად მიგვაჩნია რამაზ მუმლაძის „დინამოში“ დაბრუნებაც...**

- შელია და ჯიშკარიანი კლუბში საპასუხისმგებლო თანამდებობებზე დაინიშნენ და ეს მართლაც მისასალმებელი ფაქტია; ალბათ, ყველა დარწმუნებული იქნება, რომ ისინი აქ ანაზღაურების გამო კი არა, არამედ ფეხბურთისა და, კერძოდ, „დინამოს“ სიყვარულმა მოიყვანა; იმიტომ, რომ ეს კლუბი უყვართ და შეეცდებიან ყველანაირად დაეხმარონ იმ გუნდს, სადაც თავის დროზე უთამაშიათ. აი, რაც შეეხება ზაურ სვანაძეს, მხოლოდ იმას ვიტყვი, ბედნიერი ვარ, ასეთ პიროვნებასთან ერთად რომ ვიმუშავებ. იმაშიც გეთანხმებით, რომ რამაზ მუმლაძის პროფესიონალიზმი და გამოცდილება „დინამოს“ ერთიორად წაადგება.

**- საკუთარ თავზე არ საუბრობთ: როცა „დინამოში“ დაბრუნებაზე შემოთავაზება მიიღეთ, ბევრი იფიქრეთ?**

- წასული არც ვყოფილვარ, უბრალოდ, კლუბში სხვა ფუნქცია მქონდა; მაგრამ, როცა იმ გუნდის გაწვრთნას გთავაზობენ, სადაც გითამაშია, სადაც წლების განმავლობაში გიმუშავია, ეს პატივიც არის და, რაღა თქმა უნდა, პასუხისმგებლობაც. თანაც, გთავაზობენ საქმეს, რომელიც გიყვარს და როცა ბატონ რომან ფიფიას შევხვდი, 3 საათი ვსაუბრობდით „დინამოს“ გეგმებსა თუ მიზნებზე. რაც მთავარია, ჩვენს ახალ მეპატრონეს „დინამოსთვის“ არა მხოლოდ ძველი დიდების დაბრუნება სურს, არამედ უფრო უკეთესის სურვილიც აქვს.

**- ახლა კი მთავარზეც - ალბათ, საუბრის დასაწყისშივე რომ უნდა გვეკითხა: „დინამოს“ მთავარი მწვრთნელის პოსტიდან მხოლოდ იმის გამო წახვედით, „ბაიასთან“ საშინაო მატჩი ფრედ რომ დასრულდა?**

- ამ საკითხზე კომენტარი თავის დროზეც გავაკეთე; თუმცა, კიდევ გავიმეორებ, რომ სკამსა თუ თანამდებობას არასდროს ვებღაუჭებოდი; თანაც, როცა ლაპარაკია „დინამოზე“, რომლის გაწვრთნაზე მთელი ცხოვრება ვოცნებობდი... რაც შეეხება თქვენს კითხვას, მართლაც იმ კონკრეტული მატჩის ვერმოგების გამო წავედი, თუმცა იყო კიდევ სხვა მიზეზი, მაგრამ ამაზე საჯაროდ საუბარი არ მსურს...

**გია ტუხაშვილი**

საკამათო საკითხი

# სადღაც აქ რეკორდი დამყარდა...

ლონდონში დიდი დავაა: ვინ გახდება ახალაგებული ოლიმპიური სტადიონის მეპატრონე 2012 წლის ზაფხულის თამაშების შემდეგ, „ტოტენჰემ ჰოთსპური“ თუ „ვესტ ჰემი“? ამ ორი კლუბის დავაში ლორდმა **სებასტიან კოემ** „ვესტ ჰემს“ დაუჭირა მხარი.

შეგახსენებთ: ლორდი სებასტიან კოე გახლავთ 1500 მეტრზე რბენაში 1980 და 1984 წლების ოლიმპიური ჩემპიონი. სპორტიდან წასვლის შემდეგ ის კონსერვატორთა პარტიის სახელით ბრიტანეთის პარლამენტში მოღვაწეობდა, ბოლო ხანს კი ჯერ ლონდონის 2012 წლის ოლიმპიადის პროექტის ხელმძღვანელი იყო, ხოლო მასპინძლობის დამტკიცების შემდეგ, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარეა. ის, რომ საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა 2012 წლის თამაშები სწორედ ლონდონს ანდო, მნიშვნელოვანწილად იმით გახლდათ განპირობებული, რომ ლორდმა კოემ კომიტეტის დიდმოხელენი ოლიმპიური სტადიონის უსაფრთხო მომავალში დაარწმუნა - თამაშების დასრულების შემდეგ სტადიონი თავისი მძლეოსნობის სექტორით გააგრძელებდა ფუნქციონირებას. ახალი ოლიმპიური სტადიონი ლონდონის ისტ ენდში შენდება.

სწორედ ეს არის იმის მიზეზი, რის გამოც კოემ „ვესტ ჰემს“ დაუჭირა მხარი. „ჩაქუჩები“ სტადიონზე ყველაფრის ხელუხლებლად დატოვებას აპირებენ, „ტოტენჰემი“ კი თითქოს 500 მილიონ ფუნტად აგებული სარბიელის საფეხბურთო სტადიონად გადაკეთებას ლამობს.

*„პირობები ძალიან მკაფიოა, - ამბობს ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი. - ამ სტადიონის იდეაში დევს ის, რომ მას ექნება საზოგადოებრივი და მულტისპორტული დატვირთვა. რა დამავიწყებს იმ დღეს, როდესაც სინგაპურში გავიმარჯვეთ და მასპინძლობის უფლება მოვიპოვეთ. მაშინ დავარწმუნეთ მსოფლიო სპორტის ხელმძღვანელები, რომ ახალ სტადიონს, ოლიმპიადის შემდეგ, სხვადასხვა სახეობით გატაცებული ახალგაზრდები უპატრონებენ. მზად ვარ ჩემი სიტყვები ახლაც გავიმეორო. მე ჰაერზე ლაპარაკი არ მჩვევია და არ მინდა ოლიმპიადის დამთავრების მერე ვინმემ სტადიონის არასაფეხბურთო სექტორს ბულდოზერით გადაუაროს, რათა იქ მხოლოდ პრემიერლიგისთვის დარჩეს ადგილი.*

*მინდა საკითხს ყველა სრული სერიოზულობით მიუდგეს და გაიგოს, რომ იქ, სინგაპურში, ჩვენს სიტყვებს ენდნენ. იმ*



ოლიმპიური სტადიონი

*ხალხის მოტყუება დაუშვებელია. ბრიტანეთის რეპუტაციის შელახვა არაფრით შეიძლება. გარდა ამისა, ვერ წარმომიდგენია, ათწლეულების შემდეგ როგორ მიიყვანენ პაპები შვილიშვილებს სტადიონზე პრემიერლიგის თამაშის სანახავად და როგორ ეტყვიან, რომ აქ, სადღაც... დაახლოებით ამ ადგილას ან შეიძლება ცოტა იქით... 2012 წლის ოლიმპიადაზე, მსოფლიოს სპორტის ისტორიის უმნიშვნელოვანესი ამბავი მოხდა“.*

ორი ლონდონური კლუბის ჭიდილში „ტოტენჰემს“ ფინანსური თვალსაზრისით უფრო ღონიერი წინადადება აქვს. „დეზების“ თავმჯდომარე **დენიელ ლივი** სპორტულ საზოგადოებას ასე მიმართავს: *„ბოლო დროს ძალიან ბევრი ემოციური სიტყვა ითქვა, მაგრამ ემოცია გადავდოთ და საქმიანად ვიმსჯელოთ. მოდი, დავფიქრდეთ, რა აჯობებს მძლეოსნობისთვის - ის, რომ მუდმივმოქმედი სტადიონი ჰქონდეს, თუ ის, რომ წელიწადში 20 დღის განმავლობაში შეუშვან ოლიმპიურ სტადიონზე? ჩვენი წინადადება ასეთია: ავაშენოთ მძლეოსნებისთვის 25-ათასიანი სტადიონი. გადავხუროთ იგი და თან ტევადობის 40 ათასამდე გაზრდის პერსპექტივაც დავუტოვოთ“.*

„ვესტ ჰემის“ ვიცე-თავმჯდომარე **კარენ ბრეიდიმ** განაცხადა, რომ 60-ათასიან სტადიონზე გადასვლის შემთხვევაში მის გუნდს ტრიბუნების შევსების პრობლემა არ გაუჩნდება. ცნობისათვის: დღეისათვის „ჩაქუჩების“ თამაშებზე საშუალოდ 30-32 ათასი ადამიანი დადის.

*„ჩვენს თამაშებზე დასწრების მსურველი სინამდვილეში გაცილებით მეტია, მაგრამ „აპტონ პარკის“ ტევადობის გამო შეზღუდულები ვართ“*, - თქვა ქალბატონმა ბრეიდიმ.

გამოხმაურება

# კენის ჯადოსნური ჯოხი

რა სიტყვების გაგონება სძულთ ლივერპულში ყველაზე მეტად? „მანჩესტერ იუნაიტედის“! მერსისაიდელთა ახალი მწვრთნელი, ლეგენდარული **კენი დალგლიში** კი დამდგარა და საოცარი დაჟინებით სწორედ ამ ორ სიტყვას იმეორებს ყველაზე ხშირად. ამბობენ, „კოპის მეფე კენი“ ასე ამთლიანებს კლუბს, რომელიც ბოლო პერიოდში ჭორების, კინკლაობის თუ გულშემატკივართა უნდობლობის გამო ერთსულოვნებით ვერ გამოირჩეოდა. იმასაც ამბობენ, რომ დალგლიშმა ამ ყველაფერს ერთ თვეში მოაბა თავი და თან ისე, რომ რადიკალური ნაბიჯი არ გადაუდგამს. არც ტაქტიკა შეუცვლია მაინცდამაინც. ერთადერთი, რაც მან გააკეთა, „ენფილდ როუდის“ სიდიადის ხაზგასმა გახლდათ. ამას ის, ალბათ, მომავალშიც ბევრჯერ გაიმეორებს.

კენი დალგლიშის ლოზუნგი ასეთია: ჩვენ ვართ დიადი კლუბი, რომელსაც დიადი იდეისთვის შეუძლია ბრძოლა. ჩვენ შეგვიძლია ყველაზე მაღლა დავდგეთ! „ლივერპული“ უნდა იქცეს გუნდად, რომლის ფეხბურთელებიც ერთად იბრძვიან, ერთად იმარჯვებენ, ერთად მარცხდებიან და მოედანსა თუ მის გარეთ ერთი იდეით არიან შეპყრობილნი. დღეს უკვე ცნობილია, რომ დალგლიშის წინამორბედი **როი ჰოჯსონი** ასეთი კომუნის, სამეგობროს შექმნას არ ცდილობდა. მეტიც, ის „წითლების“ თავგადაკლულ ფანებს ახლოს არ იკარებდა, მათთან დისტანცია ეჭირა. შედეგიც მალე მიიღო: ერთსულოვნება არც გასახდელში ჰქონდა და ველარც ტრიბუნები უჭერდნენ მხარს ძველებურად. წააგო კიდეც შინ „ვულვერჰემპტონთან“ და „ბლექპულთან“. მერსისპირელებს არ ტოვებდათ შეგრძნება, რომ „კეთილი ბებერი როი“ მათი გარემოს ნაწილად ვერ იქცა და ვერც მიხვდა რა იყო „ენფილდ როუდზე“ მთავარი. მან წაგება **რაფა ბენიტესისგან** მემკვიდრეობით მიიღო, მაგრამ თავისი საქციელით ისე გამოიყვანა, რომ ყველაფერში თავად იყო დამნაშავე. და კიდევ ერთი, ნუ დაგვავიწყდება, რომ ჰოჯსონს არც გაუმართლა - მას **ჰიკსისა** და **ჟილეტის** რეჟიმის დასასრულის და კლუბის მეპატრონედ **ჰენრის** მოსვლის რევოლუციურ პერიოდში მოუხდა საქმის კეთება, ხოლო როდესაც ქვემეხები ქუხან, მუზები, მოგეხსენებათ, დუმან.



რა შეცვალა დალგლიშმა ასე მალე ლივერპულში?

მაგრამ, აი, შეცვალეს „ფულჰემის“ ყოფილი თავკაცი დიდი ლივერპულელით და „ენფილდზე“ ყველაფერი გადასხვაფერდა. დამტკიცება გნებავთ? შორს ნუ წავალთ: შაბათს „ლივერპულმა“ ვულვერჰემპტონში 3:0 მოიგო და **ფერნანდო ტორესიც** ძველებურად ათამაშდა. რაც ეს სეზონი დაიწყო, ფერნანდო ტორესი საკუთარი თავის ჩრდილსღა ჰგავდა, მაგრამ „ვულვზთან“ ის უკვე სხვა იყო. ესპანელს ძველებურად სწამდა საკუთარი თავის, თუმცა ეს ჯერ რა არის, ყველაფერი წინ გველისო, გვარწმუნებს დალგლიში.

რასაკვირველია, ერთი გამარჯვება ჯერ არაფერს ნიშნავს, მაგრამ ინგლისელი ჟურნალისტების აზრით ამ გამარჯვებამ ბევრი რამ მაინც სხვანაირად გამოაჩინა. აშკარად გამოჩნდა, რომ „ვულვზთან“ შეხვედრაში „ლივერპულის“ ფეხბურთელები საკუთარ თამაშზე პასუხისმგებლობას გრძნობდნენ. ბოლო ორი თამაშია, თითქოს თავიდან დაიბადა **რაულ მეირელეში**, რომლის ყურებაც „ენფილდზე“ მაინცდამაინც არ უხაროდათ, მაგრამ ახლა, ერთი სული აქვთ, როდის ნახავენ **სტივენ ჯერარდთან** წყვილში. ოთხშაბათს, შინ „ფულჰემთან“ შეხვედრისგან მერსისაიდელები ახლა სანახაობასა და სიხარულს ელიან.

საბოლოოდ კი ინგლისელ მიმომხილველთა დასკვნა ასეთია:

### განლაგება

აშკარაა, რომ როი ჰოჯსონის ტაქტიკა და განლაგება სულაც არ იყო მცდარი, მის გუნდს, უბრალოდ, შთაგონება და ალტაცება აკლდა. დალგლიშს ტაქტიკასა და მოთამაშეთა ფუნქციებში ბევრი არაფერი შეუცვლია, მან ფეხბურთელებს გუნება გამოუკეთა. მან ბიჭებს შეახსენა, ვინ არიან და სად თამაშობენ.

### შემადგენლობა

მწვრთნელი ნაკლებად ენდობა **პოლ კონჩესკის**, **სოტირიოს კირიაკოსსა** და **დავიდ ნგოგს**, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ წინამორბედის ჯინი სჭირს, რადგან ჰოჯსონის შეძენილ მეირელეშსა და **კრისტიან პოულსენს** პირიქით, რეგულარულად ათამაშებს. ეს წყვილი ჰოჯსონის ხელში კარგად ვერ თამაშობდა, ახლა კი დიდებულია.

### აურა

ჰოჯსონი მთელი ექვსი თვის განმავლობაში გულგატეხილ და თავჩაქინდრულ ფიგურად გვევლინებოდა, დალგლიში კი მოედნის კიდესთან რთულ ეპიზოდებშიც კი თვითმპყრობელივით დგას და გამარჯვებულის აურას ასხივებს. მას აშკარად უყვარს, რასაც აკეთებს და თავისი ბიჭების გოლებს ბავშვური გულწრფელობით ზეიმობს.

### სტილი

ჰოჯსონი ფეხბურთელებს ზუსტად ეუბნებოდა როდის, სად და როგორ უნდა ეთამაშათ, დალგლიში კი მეტ სილაღეს აძლევს. ის მათ ერთსულოვნად შეტევისა და თავდაცვისკენ მოუწოდებს და ბიჭებიც უკეთესად თამაშობენ: მეტ ორთაბრძოლას იგებენ, მეტ სწორ პასს აწვდიან ერთმანეთს და ასე შემდეგ.

### დაცვა

ჰოჯსონის ხელში „ლივერპული“ დაცვაში უხეშად ცდებოდა და ამის საწინააღმდეგო ხერხიც ვერა და ვერ გამოიძებნა. დალგლიშმა საკითხი „მარტივად“ მოაგვარა: თქვა, რომ „ლივერპულში“ ყველა ერთმანეთის მხარდამხარ დგას და... ბოლო შეხვედრებში ფერნანდო ტორესიც კი იყურება დაცვისკენ.

### ნახევარდაცვა

ნახევარდაცვაში მთავარი აღმოჩენა რაულ მეირელეშია, რომელშიც ჰოჯსონმა 11,5 მილიონი ფუნტი გადაიხადა, მაგრამ მას პრემიერლიგასთან შესაგუებლად დრო დასჭირდა და... ბედის ირონიით მაინცდამაინც დალგლიშის ხელში ათამაშდა.

### თავდასხმა

„ლივერპულის“ თავდასხმა ძირითადად ტორესია. ჰოჯსონს არც მასთან დაკავშირებით გაუმართლა: ესპანელი მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ტრავმას იშუშებდა. ახლა, მეირელეშის დიდი მხარდაჭერით „ელ ნინიომ“ სამ შეხვედრაში სამი გოლი გაიტანა. ჰოჯსონიცა და დალგლიშიც ტორესს წინ წაწეულ, ფაქტობრივად, ერთადერთ თავდამსხმელად მოიაზრებენ, ოღონდ, ჰოჯსონის ხელში ის არ ვარგოდა და... ვინ იცის „კეთილი ბებერი როი“ ნაწყენიც იყოს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქეროლის ორი თვე

ბარძაყის კუნთის გაწყვეტის გამო **ენდი ქეროლი** ორი თვე იმკურნალებს. გამოდის, რომ ახალგაზრდა ფორვარდს „ნიუკასლის“ შვიდი და ინგლისის ნაკრების სამი თამაში გაუცდება. გაწყვეტილმა კუნთმა ქეროლს ორი კვირა უკვე გამოატოვებინა. „კაჭკაჭებს“ იმედი ჰქონდათ, რომ ის მალე გამოჯანმრთელდებოდა, მაგრამ ბოლო ტესტებმა გამოააშკარავა, რომ სინამდვილეში პრობლემა გაცილებით რთულია. ამრიგად, ახალგაზრდა თავდამსხმელს, რომელმაც მიმდინარე სეზონში 11 გოლი გაიტანა, მარტის ბოლომდე ვერ ვნახავთ.

ზემოთ ინგლისის ნაკრების სამი თამაში ვახსენეთ. ესენია ევრო 2012-ის შესარჩევი შეხვედრა უელსის ეროვნული გუნდის წინააღმდეგ და ამხანაგურები დანიასა და განასთან.

## ჩემბერლენი თოფს აიღებს

„არსენალის“ თავკაც **არსენ ვენგერს** იმედი აქვს, რომ ამ კვირაში 10 მილიონ ფუნტად „საუთჰემპტონიდან“ 17 წლის **ალექს ჩემბერლენს** გადაიყვანს. საინტერესოა, რომ ყმაწვილი ნახევარმცველი შესაძლოა ყიდვისთანავე „საუთჰემპტონსვე“ მიაქირაონ და სეზონის ბოლომდე იქ დატოვონ. ვენგერმა თქვა:

*„ჩვენ ძალიან ვინდომებთ, რათა ეს გარიგება შედგეს. გვინდა კლუბსა და თავად ფეხბურთელთან დროულად მივაღწიოთ შეთანხმებას, რადგან „არსენალი“ სულაც არ არის ერთადერთი, ვინც ჩემბერლენის შეძენას ცდილობს“.*

რატომ რჩება ჩემბერლენი სეზონის ბოლომდე „საუთჰემპტონში“? საქმე ის გახლავთ, რომ თავად ფეხბურთელს სურდა ასე. „მეთოფეებს“ მისი ახლავე დატოვება უნდოდათ, მაგრამ ჩემბერლენს პირველი ლიგის კლუბში დარჩენა და „მანჩესტერ იუნაიტედის“ წინააღმდეგ ფეხბურთის ასოციაციის თასზე თამაში სურს. ეს შეხვედრა შაბათს არის დანიშნული.

აღსანიშნავია, რომ ვენგერს ფრანგული „ლილიდან“ 20 წლის ბელგიელი ნახევარმცველის **ედენ ჰაზარდის** ყიდვაც უნდა, მაგრამ არ ჩქარობს. ჩრდილოლონდონელთა თავკაცმა თქვა:

*„ჰაზარდის ამბავს „ლილს“ ვანდობ. ვნახოთ, რას დაგვიფასებენ როდესაც მისი გაყიდვის დღე დადგება“.*

## ანდერსონის მსჯელობანი

„მანჩესტერ იუნაიტედის“ ბრაზილიელი ვარსკვლავი **ანდერსონი** ამბობს, ინგლისის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატებზე ცუდად თავისი სათამაშო სტილის გამო გამოდის - ფეხბურთელები ზედმეტს დარბიან. ნახევარმცველის რწმენით, ინგლისელმა მოთამაშეებმა კვლავ ვერ დახვეწეს პასები. ფეხბურთელი არ უნდა დარბოდეს იქ, სადაც შეიძლება თავად ბურთი მივიდეს - ასეთია ბრაზილიელის ფილოსოფია. როდესაც ინგლისურ ფეხბურთში ფიზიკური მომზადების მნიშვნელობაზე ჰკითხეს, 22 წლის ფეხბურთელმა უპასუხა:

*„რასაკვირველია, ფიზიკური მომზადება მნიშვნელოვანია, მაგრამ ფეხბურთელმა ბურთის საქმე არ უნდა აკეთოს. მოედნის ყველა მონაკვეთზე არ უნდა დარბოდე. გაცილებით სჯობს ბურთი გაგზავნო, სადაც საჭიროა. აქ, ინგლისში, ხალხს ჰგონია, რომ თუ ბევრს არ დარბიხარ, ფეხბურთს კარგად ვერ თამაშობ, მე კი ვფიქრობ, რომ ინგლისის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატებზე ცუდად იმიტომ გამოდის, რომ მოთამაშეები ძალიან ბევრს დარბიან“.*

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური ფეხბურთი

ჯვარედინი ინტერვიუ

# ზლატანი და ეტოო, ერთმანეთზე, ოქროს ბურთსა და სკუდეტოზე







სერია A-ს მიმდინარე გათამაშება მეტად საინტერესოდ მიმდინარეობს - გუნდები საკმაოდ მჭიდროდ არიან სატურნირო ცხრილში განლაგებულნი და თითქმის ყველა პოზიციისთვის დიდი ბრძოლაა გაჩაღებული. სკუდეტოსთვის ბრძოლაში ფავორიტებად მაინც მილანური გუნდები მიიჩნევიან, რაც ნამდვილად არ გახლავთ გასაკვირი - „იუვენტუსი" ჯერ მაინც არ ჰგავს იმ გუნდს, რომ მთელი სეზონი სტაბილურად მაღალ დონეზე ჩაატაროს, იგივეს თქმა შეიძლება „ნაპოლისა" და „ლაციოზე". „რომა" ტრადიციულად ფავორიტებს შორის არის, მაგრამ ჩემპიონობის მოსაპოვებლად ყოველთვის რაღაც აკლია. მოკლედ, შევთანხმდეთ იმაზე, რომ ფავორიტები „მილანი" და „ინტერი" არიან. **მასიმილიანო ალეგრის** გუნდი ლიდერობს ჩემპიონატს და შემადგენლობაც ისეთი ჰყავს, უკეთესს რომ ვერ ისურვებს კაცი - მიუხედავად ამისა, „როსონერიმ" არაერთი დაუგეგმავი ქულა დაკარგა და თანაქალაქელს მიახლოვების საშუალება მისცა. ორივე გუნდში არაერთი უმაღლესი კლასის ფეხბურთელი ასპარეზობს, თუმცა ორი მათგანის გამორჩევა მაინც შესაძლებელია: „მილანიდან" **ზლატან იბრაჰიმოვიჩი**, „ინტერიდან" **სამუელ ეტოო**. „კალჩო 2000" ორივეს ერთად გაესაუბრა და საინტერესო საკითხებზე გაგვაცნო მათი პოზიცია.

### სკუდეტო

**ზლატან იბრაჰიმოვიჩი** (მილანი): მთავარი კონკურენტი „ინტერია" და ეს მაშინაც კარგად ვიცოდი, როდესაც ამ გუნდს კრიზისი ჰქონდა. დიდი პატივისცემით ვარ განწყობილი „იუვენტუსის", იმავე „ლაციოს" მიმართ, მაგრამ გაცილებით უფრო სასიამოვნოა, როდესაც ქულებს „ნერაძური" კარგავს. ეს ბუნებრივიც არის, რადგან სწორედ ამ გუნდისგან ველით ყველაზე დიდ საფრთხეს. უმნიშვნელოვანესი იყო დერბიში გამარჯვება, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, დიდი ნაბიჯი გადავდგით ჩემპიონობისკენ და ის, რომ შემდეგ გვარიანი ფორა მოვიპოვეთ, დიდწილად „ინტერთან' გამარჯვებამ გამოიწვია. ვირწმუნეთ, რომ საუკეთესოები ვიყავით და თითქოს ძალა მოგვემატა. დღეს, ძალიან ძნელია იმაზე საუბარი, რომ ჩემპიონი აუცილებლად „მილანი" გახდება, მაგრამ ვფიქრობ, რომ ამის შანსები საკმაოდ დიდია. ბოლო თამაშებში ქულები დავკარგეთ, თუმცა ნორმალური ამბავი მგონია - არ შეიძლება ყველა თამაში ერთნაირად მაღალ დონეზე ჩაატარო.

**სამუელ ეტოო** (ინტერი): თუ „მალიორკაში" გატარებულ პერიოდს არ გავიხსენებთ, ასე დაბლა სატურნირო ცხრილში არასდროს ჩავსულვარ, როგორც მიმდინარე სეზონში. ეს ერთგვარი გამოწვევაა ჩემთვის, ახალი მოტივაცია, რომელმაც ენთუზიაზმით ამავსო. ვიგებთ თამაშებს და ნელ-ნელა ზემოთ ავდივართ, რაც დიდ სიამოვნებას მანიჭებს. ვფიქრობ, რომ სკუდეტოსთვის ბრძოლაში ჩვენი მთავარი კონკურენტი „მილანი" იქნება. ეს გუნდი მომწიფებულია იმისთვის, რომ პირველი ადგილისთვის იბრძოლოს, მაგრამ თუ ჩვენ მოწოდების სიმაღლეზე ვიდგებით, არა მგონია, რამე გამოუვიდეს. ვგრძნობ, რომ თამაშიდან თამაშამდე ვუმატებთ და ეს პროგრესი სეზონის ბოლომდე გაგრძელდება.

### ერთმანეთის შესახებ

**იბრაჰიმოვიჩი:** ჩემი აზრით, სამუელ ეტოო თანამედროვეობის საუკეთესო თავდამსხმელია და ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული. საოცრად სწრაფია და მოძრავი, მის წინააღმდეგ თამაში ნებისმიერ მცველს უჭირს და გარდა იმისა, რომ ამას საკუთარი თვალით ვხედავ, მსმენია კიდეც. არაერთ უკანახაზელს უთქვამს ჩემთვის, რომ ეტოოს წინააღმდეგ თამაში კოშმარულად ძნელია. სამუელს დისტანციაზე უნდა ეთამაშო და პოზიციურად დაუდგე, წინააღმდეგ შემთხვევაში აუცილებლად გაგაბითურებს. ვისურვებდი, რომ მომდევნო დერბი დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვოს - ეს უდიდესი შეღავათი იქნებოდა ჩვენთვის.

**ეტოო:** თავის დროზე „ინტერში" სწორედ იბრაჰიმოვიჩის შემცვლელად მოვედი და მაშინ იმ ბარტერს უდიდესი გამოხმაურება მოჰყვა. ბევრმა გააკრიტიკა „ბარსელონას" პრეზიდენტი, რომელმაც 'ინტერში" გამიშვა და კიდევ დიდძალი თანხა დახარჯა იმისთვის, რომ სანაცვლოდ ზლატანი ჰყოლოდა. მიუხედავად იმისა, რომ იბრას კატალონიური კარიერა წარმატებულად არ წარიმართა, ვფიქრობ, რომ ის ნებისმიერ ფასად ღირს და მეც რომ კლუბის პრეზიდენტი ვიყო, მის გადაბირებას აუცილებლად შევეცდებოდი. ის, რომ „მილანი" სკუდეტოს მოპოვების ერთ-ერთი მთავარი პრეტენდენტია, ამაში ლომის წილი სწორედ შვედს მიუძღვის.

### ოქროს ბურთი

**იბრაჰიმოვიჩი:** სიმართლე გითხრათ, არასდროს მიფიქრია იმაზე, რომ ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება „ოქროს ბურთი" მოვიგო. უჩემოდაც დიდი არჩევანია და როგორც ხედავთ, პრეტენდენტთა შორისაც კი არ მასახელებენ. ეს არც მწყინს, რადგან მსოფლიოში არაერთი უმაღლესი დონის ფეხბურთელია. ვფიქრობ, რომ ლიონელ მესიმ დაიმსახურა მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის სტატუსი, თუმცა იმავე წარმატებით ეს ჯილდო შეეძლოთ ჩავის, ან ინიესტას მოეგოთ. არც ის გამაკვირვებდა, რომ „ოქროს ბურთი" ვესლი სნეიდერს მიეღო, ფეხბურთელს, რომელმაც 2010 წელს ფანტასტიკურად ითამაშა. არ მაქვს იმის ამბიცია, რომ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი ვარ, თუმცა თუ ოდესმე ეს სტატუსი მე მერგო, უზომოდ ბედნიერი ვიქნები.

**ეტოო:** ძალიან კარგად ვიცნობ სამივე ფეხბურთელს, რომლებიც 2010 წელს საუკეთესოებად დასახელდნენ. ჩემი აზრით, „ოქროს" ბურთი მაინც ესპანელს უნდა მოეგო, რადგან ეს ქვეყანა მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. ასე რომ, ჩემი ნება, რომ ყოფილიყო საუკეთესოდ ან ჩავის დავასახელებდი, ანაც ინიესტას. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მესის შესაძლებლობებს არასათანადოდ ვაფასებ - პირიქით, მგონია, რომ არგენტინელის დარი ტალანტი მსოფლიო ფეხბურთს დიეგო მარადონას შემდეგ აღარ ჰყოლია და კარგა ხანი არც ეყოლება.

### სერია A VS ლა ლიგა

**იბრაჰიმოვიჩი:** ორივე ჩემპიონატს თავისი სპეციფიკა აქვს და რთულია იმის თქმა, სად უფრო მაღალი დონეა. მაგალითად, როდესაც „ბარსელონაში" ვთამაშობდი, სატურნირო ცხრილის ქვედა ნაწილში მყოფ გუნდებს საკმაოდ იოლად ვამარცხებდით. „ბარსასთვის" აუტსაიდერი საჩუქარია, რომელთანაც გაივარჯიშებს, გადაურბენს, შვიდ უპასუხო გოლს გაუტანს და ინჩასებიც ალტაცებაში მოვლენ. სხვაგვარი ვითარებაა იტალიაში, სადაც უკანასკნელ გუნდთანაც კი მთელი ენერგია უნდა დახარჯო, რომ რაიმეს გახდე. ვერ გეტყვით ეს რისი ბრალია, მაგრამ ფაქტია, რომ სერია A-ში იოლი თამაში არ არსებობს. გინდ დამიჯერეთ, გინდ არა - ამდენი წელია იტალიაში ვთამაშობ და არ მახსოვს იოლად მომეგოს. ისე კი, ლა ლიგას მატჩების ყურება ერთი სიამოვნებაა, რადგან ესპანეთში უფრო სანახაობრივ მხარეს აქცევენ ყურადღებას.

**ეტოო:** ესპანეთში გატარებულ პერიოდს ყოველთვის დიდი სიამოვნებით ვიხსენებ და ვიტოვებ იმედს, რომ ადრე თუ გვიან იქ აუცილებლად დავბრუნდები. თუმცა, ვფიქრობ, რომ ფორვარდისთვის სერია A-ში თამაში გაცილებით რთულია და ამას აქვს თავისი ობიექტური მიზეზები. იტალიელი მწვთნელები დაცვაში თამაშს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ, ყველა გუნდი ტაქტიკურად განსწავლულია და ფეხბურთელთა აბსოლუტური უმრავლესობა პოზიციურად სწორად თამაშობს. ამიტომ, ვფიქრობ, რომ თუ თავდამსხმელმა სერია A-ში თავი გამოიჩინა, ის სხვაგანაც შეძლებს წარმატებით ასპარეზობას.

**ლაშა წიკლაური**

სასეირო ამბავი

# რამდენი გაიარა ალექს სონგმა?



ერთი სასეირო ამბავი უნდა გიამბოთ: დეკემბერში, ლონდონში, „არსენალისა" და „სტოკ სიტის" შეხვედრა უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ დიდთოვლობის გამო გადაიდო. და იცით, რა მოხდა მას მერე, რაც მოთამაშეებს გამოუცხადეს, რომ თამაში აღარ ჩატარდება? „მეთოფეთა" ერთ-ერთმა წამყვანმა ფეხბურთელმა, კამერუნელმა **ალექს სონგმა** სტადიონიდან ხუთი საათი ფეხით იარა, სანამ ტაქსის გადაეყრებოდა. 23 წლის აფრიკელმა, ყინვაში, დაახლოებით 8 მილი გაიარა. ცნობისთვის: ერთი მილი 1,6 კილომეტრია.

*„დაუჯერებელი რამ მოხდა – თქვა სონგმა – ჩვენ სტადიონზე მივედით, სადაც გვითხრეს, რომ თამაში არ ჩატარდებოდა. ბიჭებმა ჩვენ-ჩვენს მანქანებს მივაშურეთ და სახლებში წასვლა გადავწყვიტეთ, მაგრამ ისეთი ამინდი იყო, რომ... ორსაათიან საცობში ამოვყავი თავი. ერთი მეტრითაც არ დავძრულვართ წინ. ამდენი ველარ მოვითმინე, ვიფიქრე აქ მთელი დღე დგომას გამოსავლის მოძებნა აჯობებს-მეთქი და სტადიონზე მივბრუნდი. მანქანა იქ, სადგომზე დავაყენე და გადავწყვიტე სადმე, ქუჩაში ტაქსი გამეჩერებინა. გამოვედი სტადიონის ტერიტორიიდან. მოვდიოდი, მაგრამ საქმეში ხარ? მე დაჟინებით მივიწევდი წინ, მაგრამ ტაქსის ნასახიც არ იყო. ამ სიარულში „ემირეიტს" იმდენად გამოვცდი, რომ უკან დაბრუნებას უკვე ნამდვილად აღარ ჰქონდა აზრი. ნერვებს, განსაკუთრებით, ის მიშლიდა, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში ბრენტ კროსისკენ მივუყვებოდი ქუჩას, რომელიც მანქანით უნდა გამომევლო. საქმე ის არის, რომ შემოვლითი გზები კარგად არ ვიცი და შეიძლება სადღაც სულ სხვაგან ამომეყო თავი.*

*საბოლოოდ, ოთხი თუ ხუთი საათი ვიწვალე – აბა, თოვლში ჩქარა ხომ ვერ ივლი ადამიანი. ძალიან უცნაური შუადღე იყო, მოვდიოდი და ვერავინ მცნობდა. ასეთი რამ, მგონი პირველად მოხდა. ბრენტ კროსზე ტაქსის კომპანია დავინახე, მივედი, მაგრამ იქ ბიჭმა მითხრა, დღეს ერთი მანქანაც არ გვყავსო. ვთხოვე, რამენაირად დამხმარებოდა. მან ვილაცას შინ დაურეკა, ორმაგი ფასის გადახდა მომთხოვეს. ოღონდ სახლში მიმიყვანეთ და რამდენსაც მეტყვით, იმდენს გადაგიხდით-მეთქი, ვუთხარი კომპანიის წარმომადგენელს.*

*მძღოლს სახლიდან ჩვენამდე დაახლოებით 20 წუთი დასჭირდა. გახარებული ჩავუხტი მანქანაში და შინისკენ გავწიე. სახლში მისულს ისე გამიხარდა, გეგონება ცხრა მთას იქიდან დავბრუნდი. სასწრაფოდ მივილე შხაპი და დავიძინე.*

*მეორედ ასეთ შეცდომას აღარ დავუშვებ. თუკი მსგავს სიტუაციაში კიდევ ამოვყოფ თავს, სტადიონზევე დავრჩები, იქ გავათენებ ღამეს".*

ალექს სონგის ტრაგიკომიკური ამბის შეტყობის შემდეგ ინგლისურმა ტაბლოიდებმა გადაამოწმეს და დაადგინეს, რომ „ემირეიტ სთედიუმიდან" ბრენტ კროსის სავაჭრო ცენტრამდე 7,7 მილი ანუ 12.3 კილომეტრია.

**ილია ბაბუნაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანია. ბუნდესლიგა. XIX ტურის გამოხმაურება

# დიდი დაბრუნებები და სიჩქარედაგდებული ლიდერი

დორტმუნდელთა წაფორხილება, „ბაიერნის" გაბრწყინება, გომესის ჰეთ-თრიქი, „რაულის" საუცხოო თამაში, არიენ რობენისა და მიხაელ ბალაკის დაბრუნება მძიმე ტრავმების შემდეგ – აი, ამდენი სიახლე მოგვიტანა ბუნდესლიგის განვლილმა ტურმა. ამ და დანარჩენ საინტერესო მოვლენებს ერთად გადავავლოთ თვალი...

## ბაიერნმა იფრინა, კონფლიქტი გრძელდება

„ბაიერნმა" „კაიზერსლაუტერნი" 5:1 გაანადგურა. ეს რეკორდმაისტერთა ყველაზე სოლიდური გამარჯვებაა მიმდინარე სეზონში. „ბაიერნის" ფანებმა **მარიო გომესის** ჰეთ-თრიქი და **არიენ რობენის** დაბრუნება იხილეს. მუნდიალზე მიღებული სერიოზული ტრავმის შემდეგ ჰოლანდიელი მინდორს გასულ ტურში დაუბრუნდა, „ალიანს არენაზე" კი პირველად ითამაშა და მოედანზე 90 წუთიც დაყო. გომესის გმირობაზე ქვემოთაც წაიკითხავთ, რობენმა კი მასზე არანაკლებ ეფექტურად ითამაშა და ყველას გაახსენა, რაოდენ ღირებული ფეხბურთელია გუნდისთვის – „კაიზერთან" მის ანგარიშზე გოლი და საგოლე გადაცემაა. დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სეზონის პირველ ნახევარში „ბაიერნის" არასტაბილური ასპარეზობა დიდწილად მის არყოფნასაც უკავშირდებოდა და ანი **ლუის ვან გაალის** გუნდისგან მნიშვნელოვან პროგრესს უნდა ველოდოთ. სხვა საქმეა, ვერცხლის სინის შენარჩუნების როგორი შანსი დარჩა „ბაიერნს", მაგრამ რობენთან ერთად რომ გაცილებით სოლიდური ძალა იქნება, ეს უდავოა.

ამდენი სასიამოვნო ამბის მიუხედავად, მიუნხენელებში სრული იდილია მაინც ვერ სუფევს. საერთო სურათს აფუჭებს ვან გაალისა და **ული ჰიონესის** დაპირისპირება, რომელსაც უკვე ფარულსაც კი ველარ ვუწოდებთ. ლამის დღე ალარ გადის ისე, რომ ამ ორმა ერთმანეთს პრესის საშუალებით კბილი არ გაჰკრას. უკან დამხევი არც ვან გაალია და არც ჰიონესი, რაც იმის გარანტიას გვაძლევს, რომ ამ ამბავს საინტერესო გაგრძელება მოჰყვება...



ტურის გმირი მარიო გომესი

## პოგრებნიაკმა დორტმუნდს ხასიათი წაუხდინა

დორტმუნდელები ბუნდესლიგის სატურნირო ცხრილის სათავეში ჯერ კიდევ კომფორტულად არიან მოკალათებულნი, მაგრამ წარმოუდგენელია, გასულ შაბათს ჩატარებულ მატჩს „ბორუსიას" მრავალრიცხოვან ქომაგთათვის ხასიათი არ გაეფუჭებინა. ქულების დაკარგვა, თუნდაც შინ და თუნდაც აუტსაიდერთან, მომქანცველი მარათონისას სავსებით მოსალოდნელი შემთხვევაა, მაგრამ **იურგენ კლოპის** გუნდისგან ფრეზე მეტად თამაშის მეტად დაბალი ხარისხი იყო გასაკვირი.

დორტმუნდელებმა ამჯერადაც ჩვეულ სტილში ითამაშეს და მეტოქის საჯარიმოში შეღწევა არ გასჭირვებიათ, მაგრამ უამრავი საგოლე მომენტიდან მხოლოდ ერთი გამოიყენეს. კლოპი განსაკუთრებით უკმაყოფილო **რობერტ ლევანდოვსკის** თამაშით დარჩა, რომელმაც მეტოქის კარის აღების რამდენიმე რეალური შესაძლებლობა გაანიავა.

ლევანდოვსკისა და მისი თანაგუნდელების არაკონცენტრირებული ქმედებები კი „შტუტგარტის" წარმატებას ოდნავადაც ვერ აკნინებს. შვაბებს მიმდინარე ბუნდესლიგაში სტუმრად ჯერ არ მოუგიათ, „ვესტფალენშტადიონზე" მიღწეული ფრე კი მათთვის გასვლაზე მოპოვებული მხოლოდ და მხოლოდ მესამე ქულა იყო. რუსმა **პაველ პოგრებნიაკმა** შეხვედრის მიწურულს ის გოლი გაიტანა, რომელმაც „შტუტგარტის" ქომაგებს უძლიერესთა შორის დარჩენის იმედები გაუღვივა. თუმცა სატურნირო ცხრილში ისიც მკაფიოდ ჩანს, რომ სამშვიდობომდე მისასვლელად **ბრუნო ლაბადიასა** და მის ბიჭებს კიდევ ბევრი ოფლისღვრა დასჭირდებათ.

## რაული ისევ საუკეთესო შალკელია

„შალკემ" ბუნდესლიგის მეორე წრე „ჰამბურგთან" საშინაო მარცხით დაიწყო, რასაც „ჰანოვერთან" მძიმე გასვლითი გამარჯვება მიაყოლა. „ხუმარებმა" ჰანოვერში სამი ქულის მოპოვებას დიდი ძალები შეალიეს და რომ არა **რაული**, მიზანს ვერ მიაღწევდნენ.

უბერებელმა ესპანელმა გამარჯვებაში ლომის წილი დაიდო. მისი დამსახურება მხოლოდ გადამწყვეტი გოლით არ შემოიფარგლება. მთელი მატჩის განმავლობაში მან დაუღალავად იშრომა და მხოლოდ თავდამსხმელისთვის დამახასიათებელი ღირსებებით კი არ ალაფრთოვანა ქომაგები, არც „შავი საქმის" შესრულება უთაკილია და მახვილგონივრული პასებიც ბლომად აკეთა. მოკლედ, თუ დღეს „შალკე" რამეს წარმოადგენს, ამაში რაულის წვლილი შეუფასებელია. ახლა უკვე ალარავის ახსოვს, როგორ აკრიტიკებდნენ **ფელიქს მაგათს** ბუნდესლიგის საწყისი ტურებისას, როცა გონსალეს ბლანკო გერმანულ ფეხბურთთან ადაპტაციის პროცესში იყო.

რაულთან ერთად უნდა ვახსენოთ შემტევი ნახევარმცველი **იულიან დრაქსლერი**. თამამი გადაწყვეტილებებით ცნობილმა მაგათმა კიდევ ერთ უწვერულ ჭაბუკს მისცა თავის გამოჩენის შანსი და 17 წლის იულიანს თავი არ შეურცხვენია. შეიძლება, სხვებზე უკეთესად არ უთამაშია, მაგრამ „შალკეს" ძირითადში გამწესებულმა ყველა დროის უმცროსმა ფეხბურთელმა ის კომბინაცია წამოიწყო, რომელსაც გამარჯვების გოლი მოჰყვა.

## მაკლარენი გადარჩა

„ვოლფსბურგს" სტუმრად „მაინცი" რომ არ დაემარცხებინა, **სტივ მაკლარენი** ალბათ თანამდებობიდან მოხსნას ვერ გადაურჩებოდა. ინგლისელისთვის საბედნიეროდ, „მგლებმა" პირველი წრის უმთავრეს სენსაციას დაძაბულ ბრძოლაში აჯობეს და დღეისთვის მაკლარენი უკვე ნაკლებად ღელავს. მართალია, მას თავი ქუდში ჯერ არ აქვს, მაგრამ გერმანულმა პრესამ „ვოლფსბურგს" თამაშის ხარისხი შეუქო.

მაკლარენის აქციები წინა ტურში „ბაიერნთან" შინ ნათამაშებმა ფრემაც მაღლა ასწია. ერთი შეხედვით, „ვოლფსბურგი" პროგრესის გზას ადგას და ვნახოთ, რას იზამს შემდეგ ტურებში. აი, „მაინცი" კი საერთოდ ალარ ჰგავს იმ გუნდს, ბუნდესლიგის სტარტზე მეტოქეს მეტოქეზე რომ ამარცხებდა. დღეს **თომას ტუხელის** გუნდი უკვე ევროპის ლიგის ზონამდეა დაშვებული, მაგრამ თუ ასე გააგრძელა, ესეც სანატრელი გაუხდება.

## ბაიერმა იყოჩაღა, ბალაკი დაბრუნდა

**გონსალო კასტრომ არტურო ვიდალის** პასებით დუბლი შეასრულა, მიონხენგლადბახის „ბორუსიას" ერთი გოლი **მარტინ შტრანცლმაც** გაუტანა და „ფარმაცევტები" დორტმუნდელებს 11 ქულის დისტანციაზე მიუახლოვდა. რასაკვირველია, ეს ჯერ კიდევ კატასტროფული ჩამორჩენაა, „ბორუსია" „ბაიერნს" სულაც 14 ქულით უსწრებს, მაგრამ კლოპის გუნდის მდევრები რომ ფხიზლად არიან, ეს ბუნდესლიგას ინტრიგას უნარჩუნებს. ერთპიროვნულ ლიდერს ამხელა სხვაობით რომ ჩამორჩებიან, ლევერკუზენელებმა საკუთარ თავს უნდა დააბრალონ – წინა ტურში „ბორუსიასთან" საკუთარ კედლებში მარცხის ნაცვლად გამარჯვებისთვის რომ მიეღწიათ, დღეს მათ შორის სხვაობა მხოლოდ 5 ქულა იქნებოდა.

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, გლადბახელებთან მატჩში „ბაიერს" **მიხაელ ბალაკი** დაუბრუნდა. მან მხოლოდ შეცვლაზე ითამაშა და თავისი გუნდის გამარჯვებაში განსაკუთრებული წვლილი არ შეუტანია, მაგრამ დარწმუნებულები უნდა ვიყოთ, რომ მომავალ შეხვედრებში „ბაიერს" ძალიან გამოადგება. შეგახსენებთ, ბალაკი სექტემბერში დაშავდა და მას მერე ალარ უთამაშია. გუშინწინდელ სალამომდე მას მიმდინარე ბუნდესლიგაში მხოლოდ 3 მატჩი ჰქონდა ჩატარებული.

## XIX ტურის სიმბოლური ნაკრები (კიკერი, 3-1-4-2)

**მანუელ ნოიერი (შალკე), 3 – ბენედიქტ ჰიოვედესი (შალკე), 2, სიმონ კიაერი (ვოლფსბურგი), 3, მიხალ კადლეცი (ლევერკუზენი), 1 – ადამ მატუშიკი (კიოლნი), 1 – არიენ რობენი (ბაიერნი), 1 – მაქს კრუზე (ზანკტ პაული), 1, ლუკას პოდოლსკი (კიოლნი), 3, გონსალო კასტრო (ლევერკუზენი), 2 – რაული (შალკე), 4, მარიო გომესი (ბაიერნი), 4**

## ტურის გმირი

მარიო გომესი, ბაიერნი

გასულ სეზონში გომესი "ბაიერნს" ვერაფერში გამოადგა, ივიცა ოლიჩის მძიმე ტრავმის შემდეგ კი მიუნხენელთა მთავარ დამრტყმელ ძალად იქცა და ბუნდესლიგის ბომბარდირთა დავას ფრაიბურგელ **პაპის დემბა სისესთან** ერთად ლიდერობს. „კაიზერსლაუტერნთან" მატჩში კი გერმანიის ნაკრების ფორვარდმა ნამდვილი ბენეფისი მოიწყო – ჰეთთრიქი შეასრულა და სტუმართა განადგურებაში ლომის წილი დაიდო. იგი თუ არა, სხვა ვინ უნდა ელიარებინათ ტურის გმირად?! ეს პატივი მარიოს სეზონში პირველად ერგო.

### საუკეთესო ფეხბურთელები

19 ტურის შემდეგ, კიკერის შეფასებების მიხედვით

| ფეხბურთელი | კლუბი | საშუალო შეფასება |
|---|---|---|
| 1. ნური შაჰინი | ბორუსია (დ) | 2.50 |
| 2. მანუელ ნოიერი | შალკე | 2.61 |
| 3. შინჯი კაგავა | ბორუსია (დ) | 2.62 |
| 4. მათს ჰუმელსი | ბორუსია (დ) | 2.68 |
| 5. ოლივერ ბაუმანი | ფრაიბურგი | 2.73 |
| 6-7. პაპის დემბა სისე | ფრაიბურგი | 2.74 |
| რომან ვაიდენფელერი | ბორუსია (დ) | 2.74 |
| 8. მარიო გომესი | ბაიერნი | 2.75 |
| 9-10. სვენ ბენდერი | ბორუსია (დ) | 2.77 |
| კრისტიან ვეტკლო | მაინცი | 2.77 |

გოლს პლუს პასის რეიტინგი

| ფეხბურთელი | კლუბი | გოლი | პასი | ქულა |
|---|---|---|---|---|
| 1. მარიო გომესი | ბაიერნი | 15 | 2 | 17 |
| 2-4. პაპის დემბა სისე | ფრაიბურგი | 15 | 1 | 16 |
| თეოფანის გეკასი | აინტრახტი | 14 | 2 | 16 |
| არტურო ვიდალი | ლევერკუზენი | 8 | 8 | 16 |
| 5. დიდიეია კონანი | ჰანოვერი | 10 | 4 | 14 |
| 6. იულიან შიბერი | ნიურნბერგი | 5 | 8 | 13 |
| 7-10. სრდიან ლაკიჩი | კაიზერსლაუტ. | 11 | 1 | 12 |
| თომას მიულერი | ბაიერნი | 6 | 6 | 12 |
| ლუკას პოდოლსკი | კიოლნი | 7 | 5 | 12 |
| ანდრე შიურლე | მაინცი | 9 | 3 | 12 |

ამბები



ბამ ბუნდესლიგა პრემიერლიგაზე გადაცვალა

## ბამ სანადელი მაინც აისრულა

**დემბა ბამ** დიდი ხნის სურვილი განზრახვაში მოიყვანა და კარიერას ინგლისურ პრემიერლიგაში გააგრძელებს. „ჰოფენჰაიმის" სენეგალელი თავდამსხმელი წესით, „სტოკ სიტიში" უნდა გადასულიყო, მაგრამ იქ სამედიცინო შემოწმება ვერ გაიარა და გერმანიაში მიბრუნებამ მოუწია. „ჰოფენჰაიმში" დარჩენას იგი ცოცხალი თავით არ აპირებდა და გამოსავალიც მალე გამოძებნა – ამიერიდან 25 წლის ბა „ვესტ ჰემის" ფეხბურთელია, ოღონდ სეზონის ბოლომდე „ჩაქუჩთა" ღირსებას იჯარით დაიცავს და კლუბები მის ყიდვა-გაყიდვაზე ამის შემდეგ დაილაპარაკებენ. ბას მიახლოებითი სატრანსფერო ღირებულება 9 მილიონ ევროს შეადგენს. „ვესტ ჰემის" გარდა, მისი პოტენციური მსურველები „ევერტონი", „ფულჰემი" და „ვესტ ბრომვიჩიც" იყვნენ.

საფრანგეთში დაბადებული ბა „ჰოფენჰაიმში" 2007 წელს გადავიდა ბელგიური „მუსკრონიდან", მან „სოფლელთა" პირველ ბუნდესლიგაში ალზევებაშიც დიდი როლი ითამაშა და გერმანულ ელიტაშიც ერთ-ერთი საუკეთესო ფორვარდის სახელი დაიგდო. მიმდინარე ბუნდესლიგაში მან 17 მატჩი ჩაატარა და 6 გოლი გაიტანა. გერმანიის ჩემპიონატის მეორე წრის შეხვედრებში ბას მონაწილეობა ალარ მიუღია.

## კამორანეზის სარაგოსაში უნდა

„შტუტგარტმა" გასულ ზაფხულს **მაურო კამორანეზი** „იუვენტუსისგან" დიდი იმედებით შეიძინა, მაგრამ მსოფლიოს 34 წლის ჩემპიონი შვაბებს ვერაფერში გამოადგა. „შტუტგარტის" შემადგენლობაში მან მხოლოდ 7 მატჩი ჩაატარა (აქედან 2 ძირითად შემადგენლობაში) და ბოლო პერიოდში სათადარიგოთა სკამზე მყარად იჯდა.

გასაკვირი არაა, რომ ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილმა კამორანეზიმ კლუბის შეცვლა გადაწყვიტა. მისი გასხვისების წინააღმდეგი არც „შტუტგარტის" ხელმძღვანელობაა და კამორანეზის რეალური მსურველიც გამოჩნდა – ესპანური „სარაგოსა". ვეტერანი იტალიელი ნახევარმცველი 2 მილიონი ევრო ღირს და არაგონელები ამ თანხის გადახდაზე ყაბულს არიან. თუ კამორანეზიმ „სარაგოსაში" სამედიცინო შემოწმება წარმატებით გაიარა, წესით, ამ ტრანსფერს წინ ვერაფერი უნდა აღუდგეს.

## მაგათს აველარის ეიმედება

რამდენიმე დღის წინ გაცნობეთ, რომ „შალკემ" ლვოვის „კარპატიდან" 21 წლის ბრაზილიელი მცველი **დანილო აველარი** შეიძინა. მას „ხუმარებში" დებიუტი ჯერ არ ჰქონია, ბუნდესლიგურ განაცხადში აველარის გამოჩენა შემდეგი ტურისთვისაა მოსალოდნელი. ისიც გეხსომებათ, რომ მან ევროპის ლიგაზე ჩვენი „ზესტაფონის" წინააღმდეგ ითამაშა.

სასტარტო შემადგენლობაში მოხვედრის გარანტიას მას არავინ აძლევს, მაგრამ მაინც დიდი შანსი აქვს, გელზენკირხენელთა ძირითადი ფეხბურთელი გახდეს, მით უფრო, **კრისტიან პანდერის** გაუთავებელი ტრავმების ფონზე – მის მსგავსად, ბრაზილიელიც მარცხენა მცველია. პანდერისგან განსხვავებით, აველარს მარცხენა ნახევარმცველადაც შეუძლია თამაში.

**ფელიქს მაგათმა** საჯაროდ თქვა, რომ ამ ახალწვეულის დიდი იმედი აქვს და თავის მხრივ, ახალ გარემოში მოხვედრით აველარიც აღფრთოვანებულია. „ჩემთვის უდიდესი პატივი და ბედნიერებაა „შალკეს" დონის გუნდში თამაში. თავს არ დავ ზოგავ იმისთვის, რომ მისთვის სასარგებლო მოთამაშედ ვიქცე", - ამბობს დანილო.

გვერდი მოამზადა
**ლევან ჯანეზაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური ფეხბურთი

ესპანეთი. ტურის გამოხმაურება

# ჟოზე მოურინიო: გუნდი, ეს მე ვარ!

## ჩვენ ტიტულის გარეშე დაგტოვებთ

**ქარიმ ბენზემას** იშვიათი გოლის წყალობით, მადრიდის „რეალი“ ცხრილში „ბარსელონას“ დევნას განაგრძობს. სეზონის II ნახევარი „სამეფო კლუბმა“ მძიმედ დაიწყო - „მალიორკას“ 1:0 სძლია, თუმცა სამი ქულა სამი ქულაა და „ბარსასთან“ ჩამორჩენა ისევ 4 ქულას შეადგენს. მთავარიც ეს არის. „რეალის“ ოფიციალურმა საიტმა „მალიორკასთან“ მატჩში საუკეთესოებად ბენზემა და **ჩაბი ალონსო** შერაცხა. ბასკი ფეხბურთელი, რომელიც მხოლოდ შესვენების შემდეგ შემოვიდა, მართლაც ერთ-ერთი საუკეთესო იყო, ფრანგი ფოვარდისა კი რა მოგახსენოთ - ერთი კი გაიტანა, მაგრამ ხუთი მაგდენი გააზნიავა. სხვათა შორის, 23 წლის თავდამსხმელმა სეზონში სულ მე-2 გოლი გაიტანა. ბოლოს პრიმერაში ბენზემამ 22 სექტემბერს გაიტანა, მაშინ „რეალმა“ „ესპანიოლს“ 3:0 მოუგო და 87-ე წუთზე, როცა „ესპანიოლს“ ორი კაცი აკლდა გაძევების გამო, ბენზემამ **ლასანა დიარას** პასით შეაგდო. და აი, ოთხთვიანი საგოლე შიმშილის შემდეგ, ფრანგმა კიდევ ერთხელ შეარხია მეტოქეთა კარი.

მატჩის შემდეგ **ჟოზე მოურინიოს** იმის ახსნამ მოუწია, რატომ არ ათამაშა სასტარტო შემადგენლობაში **მესუთ იოზილი** და ჩაბი ალონსო. შეგახსენებთ, რომ „მალიორკასთან“ მატჩში ნახევარდაცვაში თავიდან ითამაშეს ისეთმა ფეხბურთელებმა, როგორიც **ფერნანდო გაგო, ესტებან გრანერო** და **კაკაა**. გაგოსთვის და გრანეროსთვის ეს პირველი შემთხვევა იყო სეზონში, როცა ისინი სასტარტო შემადგენლობაში მოხვდნენ. ჟოზეს ამ ყველაფრის ახსნა-განმარტებამ იმიტომ მოუწია, რომ კაკამ და გაგომ თამაში ჩააგდეს და შესვენების შემდეგ ისინი პორტუგალიელმა თავკაცმა გამოცვალა კიდეც. ჟოზემ, სხვათა შორის, მარტივი ახსნა გამოუძებნა ექსპერიმენტს - თქვა, რომ ექსპერიმენტისთვის არ მიუმართავს, ეს იყო როტაცია, რომელიც „სევილიასთან“ მოახლოებული მატჩით იყო გამოწვეული. წესით და რიგით, სათასო შეხვედრებში ასვენებენ ხოლმე ჩემპიონატში გადაღლილ ვარსკვლავებს, მაგრამ ახლა „რეალს“ ცოტა სხვა სიტუაცია აქვს - „სევილიასთან“ „სამეფო თასის“ ნახევარფინალი ელის, ეს კი უკვე ტიტულთან ერთი ნაბიჯია და ანდალუსიელებთან დაპირისპირებასაც მნიშვნელოვანი როლი ენიჭება. მოკლედ, თქვა კაცმა, ის ხალხი დავასვენე, ვისაც „სევილიასთან“ სასტარტოში მოუწევს ნახევარდაცვაში თამაშიო.

აი, რა თქვა მოურინიომ მატჩის შემდგომ: *„ჩვენ ძალზე მნიშვნელოვანი და ძნელი გამარჯვება მოვიპოვეთ კარგად ორგანიზებულ მეტოქესთან. „მალიორკა“ ისეთი შემართებით და ტემპით თამაშობდა, რომელსაც ჩვენს თავს უფლებას ვერ ვაძლევთ, ფეხბურთელების გადაღლილობის გამო. მეტოქეს შეეძლო მთელი კვირის განმავლობაში მომზადებულიყო ჩვენთან სათამაშოდ, დაესვენა. როგორ შეიძლება შევადაროთ ეს ჩვენს მზადებასთან? ამასთან ერთად, არ დაგვავიწყდეს რომ, „მალიორკა“ კარგი გუნდია, რომელსაც ასევე კარგი მწვრთნელი ჰყავს და ორგანიზებულად თამაში შეუძლია. ყველაზე მთავარი ისაა, რომ ჩვენ ისევ ვიბრძვით: ჩემპიონთა ლიგის პლეი ოფში, ესპანეთის თასის ნახევარფინალში, ლა ლიგაში კი მე-2 ადგილზე ვართ.*

*„ატლეტიკოსთან“ დერბი ვინმეს ამხანაგური ტესტმატჩი არ ეგონოს. ასე რომ, ჩემი ბიჭები ემოციურად და ფიზიკურად თავს გადაღლილად გრძნობდნენ. „ატლეტიკოს“ ჩვეულებრივი თამაში კი არ მოვუგეთ, არამედ თასის საპასუხო მეოთხედფინალი. არავის უნდოდა დათმობა, ნამდვილი ჯახი იყო. ერთი კვირის განმავლობაში ორი დერბი კი მეტისმეტია ჩვენთვისაც კი.*

*„მალიორკასთან“ შემადგენლობაში ცვლილებები იმიტომ შევიტანე, რომ ოთხშაბათს ძალიან მნიშვნელოვანი მატჩი გველის. ჩემი გადაწყვეტილება იყო რისკიანი, მით უფრო, რომ ხედირა დამტვრეული იყო და ვერ ითამაშებდა. სხვათა შორის, ხედირა „სევილიასთან“ თამაშს შეძლებს. გავრისკე და კინაღამ არ გამიმართლა, მაგრამ ერთი ვიცი - ოთხშაბათს ასე თუ ისე დასვენებულ ნახევარდაცვას გამოვიყვან, რაც მახარებს. ასე ჩავვარდით II ტაიმის წინ რთულ მდგომარეობაში, 0:0 „მალიორკას“ წინააღმდეგ. ამიტომ ორმაგი შეცვლა გახდა საჭირო, რამაც დაალაგა სიტუაცია.*

*თუკი ფანები მხარს უჭერენ გუნდს, ისინი მხარს უჭერენ მწვრთნელსაც, რადგან გუნდი ეს მე ვარ. მე არ მიყვარს და არც არაფერში მჭირდება ინდივიდუალების მხარდაჭერა. მადლობელი ვარ, მაგრამ არაფერში მჭირდება. მე მსურს გუნდის გვერდში მდგომი ფანები და ისინი არიან კიდეც გუნდის გვერდში. რა თქმა უნდა, არ ველი, რომ დღევანდელი თამაშის შემდეგ ისინი უზომოდ ბედნიერები უნდა იყვნენ, მაგრამ ძალიან ძნელია იანვარში 9 მატჩი ითამაშო და 9-ვე მაღალ დონეზე. გუნდს თავის ზღვარი აქვს და მიუხედავად ამისა, აგრძელებს მოგებებს, მთავარი კი ეს არის.*

*ძალიან სამწუხაროა, რომ 2010 წლის საუკეთესო მწვრთნელის პრიზის ასაღებად იტალიაში ვერ ჩავალ. ოთხშაბათს „სევილია“ გველის და სულ ორი დღე მაქვს იმისთვის, რომ გუნდი მოვამზადო. არადა როგორ მინდოდა იქ ყოფნა, ეს ძალიან მნიშვნელოვანი ტიტულია, რომელსაც სერია A-ს ფეხბურთელები გადასცემენ მწვრთნელებს. ძალიან გამიხარდა, როცა ამ გამარჯვების შესახებ მითხრეს, მით უფრო, რომ კონკურენტებს 90-ზე მეტი პროცენტით ვაჯობე. ეს ჩემი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ტიტულია, მაგრამ ვერაფრით ვიქნები აპენინებზე.*

მოურინიოს ამდენი მოვუსმინეთ და არც **მიქაელ ლაუდრუპი** დავივიწყოთ. აი, რა თქვა თამაშის შემდეგ „მალიორკას“ დანიელმა დამრიგებელმა, „რეალის“ ყოფილმა ათიანმა: *„ჩვენ ბევრი გამოუყენებელი შანსი გვქონდა. ოთხ მაინც ეთქმოდა საგოლე მომენტი, განსაკუთრებით ნსუეს შესვლას გამოვყოფ, მაგრამ გოლი ვერ გავიტანეთ ვერც ერთხელ. შუახაზში კარგად ვითამაშეთ, არადა, ამდენი ახალგაზრდა გამოვცადეთ. არის თუ არა შედეგი სამართლიანი? ვფიქრობ, სიტყვები სამართლიანი და უსამართლო ფეხბურთს კარგად არ შეეფერება. სამაგიეროდ ბევრი რამაა, რის გამოც ამაყი ვარ, პირველ ტაიმში დუდუ ავატეს თამაშში ჩართვა არ დასჭირვებია, განა ეს საამაყო არ არის? შეცვლები იმიტომ არ გავაკეთე, რომ ეს ბიჭები დიდებულად თამაშობდნენ და ცდილობდნენ წაგებისგან თავის დაძვრენას. ალბათ, ვიმსახურებდით იმ ფრეს, რომლისთვისაც ამდენი ვიბრძოლეთ, მაგრამ ვერ მივაღწიეთ“.*

მოკლედ, მოურინიომ სიტყვა შეასრულა და იტალიის 2010 წლის საუკეთესო მწვრთნელის პრიზის ასაღებად არ წავიდა რომში. გუშინ „რეალმა“ ჩვეულებრივ ივარჯიშა, არადა ის ფეხბურთელები, რომელთაც ჩემპიონატის მატჩში მონაწილეობა მიიღეს, როგორც წესი მსუბუქი ვარჯიშით იფარგლებიან ხოლმე, მაგრამ ოთხშაბათს „სანჩეს პისხუანზე“ დიდი მატჩია...

სხვათა შორის, „სევილია“-“რეალის“ დაპირისპირებას უკვე დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა. ინტერნეტში გაჩნდა ვიდეოროლი „სევილიას“ ფეხბურთელების მონაწილეობით. კლიპი საკმაოდ აგრესიულია „რეალის“ მიმართ და ბოლოს თითოეული ფეხბურთელი ამბობს შემდეგს: ამოს დეიხარ-ტე სემ ო ტიტუტლო რაც ქართულად შემდეგს ნიშნავს: *„ჩვენ ტიტულის გარეშე დაგტოვებთ“.*

„რეალი“ და „სევილია“ სამეფო თასზე სულ 11-ჯერ შეხვდნენ ერთმანეთს, 7-ჯერ სამეფო კლუბმა იმარჯვა, 4-ჯერ „სევილიამ“.

„რეალის“ ბანაკში არ წყდება ლაპარაკი ფორვარდის სავარაუდო დამატებაზე. როგორც ჩანს, ჰოლანდიელ **რუუდ ვან ნისტელროის** მართლა არ უშვებს „ჰამბურგი“ ესპანეთში. ფორვარდმა ლამის უკანასკნელ ხერხს მიმართა - მან გამოაცხადა, რომ კლუბს 1 მილიონ ევროს საკუთარი ჯიბიდან გადაუხდის, ოღონდ „სამეფო კლუბში“ სათამაშოდ გაუშვას. გერმანული კლუბი მაშინ გაჯიუტდა, როცა ყველას ეგონა, რომ ჰოლანდიელის იჯარა სეზონის ბოლომდე „რეალში“ გაჩარხული იყო. „ჰამბურგში“ ამტკიცებენ, და არცთუ უსაფუძვლოდ, რომ 34 წლის ფორვარდის დახმარება ამ სეზონში თავად არანაკლებ ესაჭიროებათ. წლეულს „ჰამბურგის“ მიზანი ბუნდესლიგის ტოპ ოთხეულში მოხვედრაა.

თავიდან „რეალს“ საკმაოდ იაფად, უფრო კი უფასოდ სურდა ფონს გასვლა, მაგრამ „ჰამბურგი“ მოლაპარაკებათა მაგიდასთან 4 მილიონი ევროს გადახდის შემდეგ თუ დაჯდებოდა. „მარკას“ ბოლო ინფორმაციით, „სამეფო კლუბი“ თანახმა იყო 2 მილიონ ევროს გადახდაზე, პლუს „ჰამბურგის“ 125-წლიან იუბილეზე ამხანაგურ თამაშზეც. ამის შემდეგ თავი რუუდმაც გამოიდო და ჯიბეზე გაიწია...

მაგრამ, როგორც ჩანს, ამ საქმიდან არაფერი გამოვა. „ჰამბურგის“ პრეზიდენტმა **ბერნდ ჰოფმანმა** ოფიციალურ საიტს განუცხადა: *„ჩვენ „რეალისგან“ მივიღეთ ოფიციალური წინადადება, რომელიც განვიხილეთ, მაგრამ უარვყავით. ამის შესახებ ეცნობა თავად ფეხბურთელსა და მის აგენტს. ჩვენ ვიბრძვით ჩემპიონთა ლიგის საგზურისათვის და ახლა ვან ნისტელროის წასვლაზე ფიქრიც კი არ შეიძლება“.*

დავუბრუნდეთ ისევ „მალიორკასთან“ ერთადერთი გოლის ავტორ ბენზემას, რომელიც **ემილიო ბუტრაგენიომ** შეაქო: *„თუ რა შეუძლია ფრანგს, როგორი ნიჭი აქვს, კარგად დაგვანახვა მან „მალიორკასთან“ მატჩში. ჩვენ სამი ქულა მისი გოლის წყალობით მოვიპოვეთ, ეს კი ძალიან ბევრს ნიშნავს. იანვრის თვე რომ მძიმე იქნებოდა, ვიცოდით, მაგრამ მოურინიომ იცის, როგორ მოიქცეს ასეთ სიტუაციებში“*, - აი, ეს თქვა „რეალის“ ლეგენდამ და დღევანდელმა დირექტორმა. ბენზემას მხარს **იკერ კასილიასიც** უჭერს, რომელიც ამტკიცებს, რომ გუნდის ერთადერთ ჯანმრთელ ფორვარდს მთელი გუნდი უნდა გაუფრთხილდეს: *„ჩვენ ვცდილობთ დავიცვათ ის. მომავალში ამ კაცმა გაზეთების პირველი გვერდები უნდა დაიპყროს. ჩვენ იმიტომ ვართ მის მხარეს, რომ ქარიმი დიდებული პიროვნებაა, ბუზსაც კი არ აწყენინებს. მოდი, მივცეთ საშუალება ბენზემას, აკეთოს თავისი საქმე, ნუ მოვაქცევთ წნეხში, დავტოვოთ მარტო თავის თავთან“*, - თქვა მსოფლიოს ჩემპიონმა გოლკიპერმა.



რეალი-მალიორკა, საჰაერო ომი

ამბები



პუიოლი რასინგთან

## ბარსამ აღიარა, პუიოლი სამკურნალოა

ჩემპიონთა ბანაკში სერიოზული პრობლემა გაჩნდა - როგორც ჩანს, კაპიტან **კარლეს პუიოლს** ტრავმა ისევ ახსენებს თავს. მოკლედ, პუიოლი „რასინგთან“ მატჩისთვის დაბრუნდა და ისევ ლაზარეთში მოხვდა - კაპიტნის მარცხენა მუხლი ისევ სამკურნალოა, პუიოლმა ისევ ექიმთა განკარგულებაში გადაინაცვლა. „რასინგთან“ მატჩში კარლესი შესვენებაზე **ჟერარდ პიკემ** შეცვალა, რომელსაც ასვენებდა **ხოსეპ გვარდიოლა**, რადგან პიკესაც მცირე ტრავმა ჰქონდა.

სავარაუდოდ, პუიოლს ოთხშაბათს „სამეფო თასის“ ნახევარფინალში ვერ ვიხილავთ „ალმერიას“ წინააღმდეგ. თუკი პიკე ჯანზე იქნება, პუიოლს **გაბი მილიტო** შეცვლის, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ არგენტინელი საშინელ ფორმაშია. ამიტომ, შეიძლება, პეპმა შანსი სარეზერო გუნდის მცველებს მისცეს, **ბარტრას** ან **ფონტასს**. მესამე ვარიანტია **ერიკ აბიდალი** შეუწყვილდეს პიკეს დაცვის ცენტრში. აი, თუ ვერც პიკე ითამაშებს, მაშინ კრიზისი სახეზე იქნება.

„ბარსელონას“ რიგებში არ უვარჯიშია **ბოიან კრკიჩსაც**, რომელსაც ტრავმა არ აქვს, უბრალოდ, მონამლულია. იგივე პრობლემები ჰქონდა გუნდის მეორე მეკარე **პინტოს**, მაგრამ მან, ბოიანისგან განსხვავებით, ვარჯიშზე გასვლა მაინც შეძლო.

## სარაგოსას პირველი ტრანსფერი



გირეინ ნდავი

„სარაგოსაში“ მატებაა, არაგონულმა კლუბმა ოფიციალურად გაიფორმა „სენტ ეტიენის“ ნახევარმცველი **გირეინ ნდავი**. მომავალი ექვსი თვის განმავლობაში ნდავი „სარაგოსაში“ იჯარის წესით ითამაშებს. 26 წლის ფეხბურთელი **ხავიერ აგირეს** პირველი შენაძენია ზამთრის სატრანსფერო სეზონში. სენეგალელი „სენტ ეტიენში“ „ნანტიდან“ გადავიდა ჯერ იჯარით, შემდეგ კი ნამდვილი ტრანსფერით. სენეგალის ნაკრებში ნდავს 31 მატჩში 2 გოლი აქვს გატანილი. აფრიკელი უკვე მომავალი ტურის მატჩში ითამაშებს, „მალაგას“ წინააღმდეგ.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთი. ლა ლიგა. XX ტური

# ბასკებმა თავბურთი მოიგეს

XX ტური წუხელ „სან მამესზე“ დასრულდა - ბილბაოს „ატლეტიკმა“ 3:0 გაანადგურა „ერკულესი“ და მე-6 ადგილზე გადაინაცვლა. ეს ადგილი ლა ლიგაში, სეზონის ბოლოს ევროპის ლიგის საგზურს იძლევა, თუმცა, არა გვგონია, **ხოაკინ კაპაროსის** გუნდი ამით დაკმაყოფილდეს და უფრო მაღალი მიზნისთვის - ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის არ იბრძოლოს. ყოველ შემთხვევაში, ბასკებს ყველაფერი ხელს უწყობს: დიდებული მოთამაშეები - პრიმერას საჰაერო დუელების „მეფე ლომი“ **ფერნანდო ლორენტე**, რომელმაც ამ შეხვედრაში სეზონში მე-8 გოლი გაიტანა თავურით, უნიკალური მონაცემების ნახევარმცველი **ხავიერ მარტინესი**, უნიჭიერესი ტალანტი, **იკერ მუნიაინი** და, რაც მთავარია, ციხესიმაგრე სახელად „სან მამესი“, სადაც ბევრმა უკვე, ბევრიც კი დარჩენილ ნახევარში წაიმტვრევს კისერს...

ზემოთ ჩამოთვლილმა ფეხბურთელებმა გაიტანეს კიდეც „ერკულესის“ კარში, რომლის რიგებშიც **როისტონ დრენტე** არ ყოფილა და რომელიც ისე უსუსურად გამოიყურებოდა, ბასკებისთვის იოტისოდენა პრობლემა არ შეუქმნია. „ლომები“ კი პირველიდან ბოლო წუთამდე დომინირებდნენ და კიდევ მცირე სხვაობით მოიგეს, ვიდრე იმსახურებდნენ. ანგარიში უკვე მე-5 წუთზე გაიხსნა, **დავიდ ლოპესმა** კუთხური ჩამოაწოდა, ყველას კი თავით ხავიერ მარტინესმა დაასწრო.

მაყურებელს მეორე გოლის ნახვამდე კარგა ხანს მოცდა დასჭირდა - 59-ე წუთზე **ანდონი ირაოლამ** მარჯვენა ფრთიდან ჩამოაწოდა და ფერნანდო ლორენტემ თავით სეზონში მე-12 გოლი გაიტანა. 64-ე წუთზე ალიკანტეელთა ტანჯვას წერტილი იკერ მუნიაინმა დაუსვა, რომელიც „ერკულესის“ საჯარიმოში შეიჭრა და ცაციათი გაუტანა **კალატაიუდს**.

**ბილბაო-ერკულესი 3:0**

**ბილბაო (4-4-2):** ირაისოსი - ირაოლა, სან ხოსე, ეკიზა, კოიკილი - დ. ლოპესი, გურპეგი (46. ორბაისი), ხ. მარტინესი, მუნიაინი (76. გაბილონდო) - ფ. ლორენტე (66. დე სერიო), ტოკერო.

**ერკულესი (4-2-3-1):** კალატაიუდი - კორტესი, პასი (60. როდრიგესი), პამარო, პენია - აგილარი, ფრიტცლერი (60. კრისტიანი) - რუფეტე, ტ. გომეში (71. პორტილიო), ვალდესი - ტრეზეგე.

**გოლები:** 1:0 ხ. მარტინესი (5), 2:0 ფ. ლორენტე (59), 3:0 მუნიაინი (64)

**გაფრთხილება:** სან ხოსე, ირაოლა, კოიკილი - კორტესი, ფრიტცლერი, რუფეტე, პორტილიო

**კუთხური:** 7-1; **ჯარიმა:** 21-16; **თამაშგარე:** 6-2; **კარში დარტყმა:** 12-7 (4-3); **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 26 000

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 20 | 18 | 1 | 1 | 64-11 | 55 |
| 2. რეალი | 20 | 16 | 3 | 1 | 48-17 | 51 |
| 3. ვილიარეალი | 20 | 13 | 3 | 4 | 40-21 | 42 |
| 4. ვალენსია | 20 | 12 | 4 | 4 | 33-23 | 40 |
| 5. ესპანიოლი | 20 | 12 | 1 | 7 | 28-26 | 37 |
| 6. ბილბაო | 20 | 10 | 2 | 8 | 32-31 | 32 |
| 7. ატლეტიკო | 20 | 9 | 3 | 8 | 31-24 | 30 |
| 8. სევილია | 20 | 9 | 2 | 9 | 30-32 | 29 |
| 9. მალიორკა | 20 | 8 | 3 | 9 | 23-25 | 27 |
| 10. ხეტაფე | 20 | 8 | 3 | 9 | 29-32 | 27 |
| 11. სოსიედადი | 20 | 8 | 1 | 11 | 30-33 | 25 |
| 12. ერკულესი | 20 | 6 | 4 | 10 | 22-31 | 22 |
| 13. დეპორტივო | 20 | 5 | 6 | 9 | 15-27 | 21 |
| 14. რასინგი | 20 | 5 | 5 | 10 | 15-29 | 20 |
| 15. სპორტინგი | 20 | 4 | 7 | 9 | 18-27 | 19 |
| 16. სარაგოსა | 20 | 4 | 7 | 9 | 18-32 | 19 |
| 17. ოსასუნა | 20 | 4 | 6 | 10 | 19-28 | 18 |
| 18. ალმერია | 20 | 3 | 8 | 9 | 20-34 | 17 |
| 19. მალაგა | 20 | 5 | 2 | 13 | 27-45 | 17 |
| 20. ლევანტე | 20 | 4 | 3 | 13 | 20-34 | 15 |

ლა ლიგა. სტატისტიკიდან

**მეგოლეები**

| ფეხბურთი | გუნდი | ჯამში | პენ. | საჯ. | თავით | პასი |
|---|---|---|---|---|---|---|
| რონალდო | რეალი | 22 | 5 | 3 | 2 | 6 |
| მესი | ბარსელონა | 19 | 2 | 1 | - | 14 |
| ვილია | ბარსელონა | 14 | - | - | 1 | 5 |
| ფ. ლორენტე | ბილბაო | 12 | - | - | 8 | - |
| პედრო | ბარსელონა | 11 | - | - | - | 7 |
| როსი | ვილიარეალი | 11 | 3 | - | - | 5 |
| ნილმარი | ვილიარეალი | 10 | - | - | 1 | 3 |
| ტრეზეგე | ერკულესი | 9 | 2 | - | 1 | - |
| ადურისი | ვალენსია | 8 | - | - | 5 | 1 |
| ლ. ფაბიანო | სევილია | 8 | 1 | - | 1 | 1 |
| კანუტე | სევილია | 8 | 2 | - | 1 | 2 |
| ულოა | ალმერია | 7 | - | - | 2 | - |
| ფორლანი | ატლეტიკო | 7 | - | - | - | 2 |
| რონდონი | მალაგა | 7 | - | - | 2 | - |
| ვალდესი | ერკულესი | 7 | - | - | 1 | 1 |
| ინიესტა | ბარსელონა | 7 | - | - | - | 3 |
| ოსვალდო | ესპანიოლი | 7 | 1 | - | 1 | 2 |
| კაისედო | ლევანტე | 7 | - | - | - | 1 |
| აგუერო | ატლეტიკო | 7 | - | - | 1 | 2 |
| იგუაინი | რეალი | 7 | - | - | - | 3 |

**საშუალო დასწრება ლა ლიგაში**

| გუნდი | საშ. დასწრება |
|---|---|
| ბარსელონა | 77 210 |
| რეალი | 70 800 |
| ატლეტიკო | 42 900 |
| ვალენსია | 38 399 |
| სევილია | 35 818 |
| ბილბაო | 35 400 |
| ესპანიოლი | 28 001 |
| სოსიედადი | 25 222 |
| სარაგოსა | 24 181 |
| მალაგა | 23 833 |
| ერკულესი | 21 888 |
| სპორტინგი | 19 636 |
| დეპორტივო | 18 666 |
| ვილიარეალი | 18 318 |
| ოსასუნა | 15 713 |
| რასინგი | 15 025 |
| მალიორკა | 13 401 |
| ლევანტე | 12 763 |
| ალმერია | 12 199 |
| ხეტაფე | 10 090 |
| *საშუალოდ* | *27 974* |

ინგლისი. პრემიერლიგა. XXIV ტური

# ჩემპიონის ჩემპიონური გამარჯვება

**ბოლტონი-ჩელსი 0:4**

**ბოლტონი** (4-4-2): იაასკელაინენი – სტეინსონი, ნაითი, გ. კეჰილი, რობინსონი – მ. პეტროვი (63. როდრიგო), ჰოლდენი (87. ბლეიკი), მუამბა (63. მ. დევისი), ტეილორი – კ. დევისი, ელმანდერი.

**ჩელსი** (4-3-3): ჩეხი – ბოსინგვა, ტერი, ივანოვიჩი, ე. კოული – ესიენი, მიკელი (72. მაკეჩრანი), რამირესი (77. კალუ) – ანელკა, მალუდა, დროგბა.

**გოლები**: 0:1 დროგბა (11), 0:2 მალუდა (41), 0:3 ანელკა (56), 0:4 რამირესი (74)

**კუთხური**: 4-2; **ჯარიმა**: 8-5; **კარში დარტყმა**: 12-14 (4-8); **თამაშგარე**: 4-2; **ბურთის ფლობა**: 48%-52%

**მაყურებელი**: 22 837

წუხელ, ბოლტონის „რიბოკის“ სტადიონზე „ჩელსიმ“ საჩემპიონო ამბიცია შეინარჩუნა, თან შთამბეჭდავად – 4:0. ინგლისის ჩემპიონმა ანგარიში თამაშის დასაწყისშივე გახსნა – **დიდიე დროგბამ** დაახლოებით 30 მეტრიდან ლამაზი დარტყმით მიაღწია მიზანს. ცოტა ხნის შემდეგ **მეტ ტეილორმა** კინაღამ გაათანაბრა ანგარიში, მაგრამ მის ტყვიასავით თავურს მეკარე ჩეხმა საოცარი რეაქცია შეაგება. ამ ეპიზოდის შემდეგ **ფლორან მალუდამ** მახვილი კუთხიდან მალევე გაზარდა სხვაობა. შემდეგ **ნიკოლა ანელკას** ჯერი დადგა – ფრანგმა მარცხენა ფეხით დაუმიზნა მეკარე იაასკელაინენის კარს, წერტილი კი საჯარიმოს შიგნიდან **რამირესმა** დასვა.



უნდა აღინიშნოს, რომ „ლურჯების“ დაცვა რამდენიმე ეპიზოდში უხეშად შეცდა, მაგრამ **ჯონ ელმანდერმა** და მისმა მეგობრებმა ამით ვერ ისარგებლეს. ამრიგად, „ჩელსიმ“ დიდი ხნის ჩავარდნის შემდეგ ზედიზედ მეორედ მოგება მოახერხა.

**ილია ბაბუნაშვილი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტერი | 22 | 13 | 9 | 0 | 48:19 | 48 |
| 2. არსენალი | 23 | 14 | 4 | 5 | 48:22 | 46 |
| 3. სიტი | 24 | 13 | 6 | 5 | 37:20 | 45 |
| 4. ჩელსი | 23 | 12 | 5 | 6 | 42:19 | 41 |
| 5. ტოტენჰემი | 23 | 10 | 8 | 5 | 32:26 | 38 |
| 6. სანდერლენდი | 24 | 9 | 10 | 5 | 28:24 | 37 |
| 7. ბლექბერნი | 24 | 9 | 4 | 11 | 31:37 | 31 |
| 8. ნიუკასლი | 23 | 8 | 6 | 9 | 36:33 | 30 |
| 9. ბოლტონი | 24 | 7 | 9 | 8 | 34:34 | 30 |
| 10. სტოკი | 23 | 9 | 3 | 11 | 28:28 | 30 |
| 11. ლივერპული | 23 | 8 | 5 | 10 | 30:31 | 29 |
| 12. ბლექპული | 22 | 8 | 4 | 10 | 32:38 | 28 |
| 13. ევერტონი | 23 | 5 | 12 | 6 | 27:29 | 27 |
| 14. ფულჰემი | 23 | 5 | 11 | 7 | 25:25 | 26 |
| 15. ვესტ ბრომვიჩი | 23 | 7 | 4 | 12 | 29:43 | 25 |
| 16. ასტონ ვილა | 23 | 6 | 7 | 10 | 25:39 | 25 |
| 17. ბირმინგემი | 22 | 4 | 11 | 7 | 21:31 | 23 |
| 18. უიგანი | 23 | 4 | 10 | 9 | 19:37 | 22 |
| 19. ვულვზი | 23 | 6 | 3 | 14 | 24:41 | 21 |
| 20. ვესტ ჰემი | 24 | 4 | 9 | 11 | 24:43 | 21 |

**ბომბარდირები:** 17 - ბერბატოვი (მანჩესტერ იუნაიტედი); 14 - ტევესი (მანჩესტერ სიტი); 11 - ქეროლი (ნიუკასლი); 10 - ბენტი (ასტონ ვილა/სანდერლენდი), ნოლანი (ნიუკასლი); 9 - დროგბა (ჩელსი), მალუდა (ჩელსი), ტ. კეჰილი (ევერტონი), ელმანდერი (ბოლტონი), ნასრი (არსენალი), ვან დერ ვაარტი (ტოტენჰემი), ტორესი (ლივერპული); 8 - დემპსი (ევერტონი), ოდემვინგე (ვესტ ბრომვიჩი); 7 - ბეილი (ტოტენჰემი), კემპბელი (ბლექპული), შამახი (არსენალი), კ. დევისი (ბოლტონი).

**გამოტოვებული შეხვედრები**

25 იანვარი. **ბლექპული-მანჩესტერ იუნაიტედი, უიგანი-ასტონ ვილა; 26 იანვარი. ლივერპული-ფულჰემი.**

აზარტი



# მაიკ ეშლიმ მილიონი წააგო

„ნიუკასლ იუნაიტედის“ თავმჯდომარემ **მაიკ ეშლიმ** კაზინოში, სულ რაღაც ორ საათში, მილიონი ფუნტი დაკარგა. ეშლი სამორინეში „კაჭკაჭთა“ მწვრთნელ **ალან პერდიუსთან** ერთად ბრძანდებოდა. ცნობისთვის: მილიონი ბრიტანული ფუნტი 1,59 მილიონი ამერიკული დოლარია. ინგლისურმა ტაბლოიდებმა გაარკვიეს, რომ ეშლის თავიდან კარგად წაუვიდა საქმე და 130 ათას ფუნტს იგებდა, მაგრამ ორ საათში ყველაფერი ყირაზე დადგა - „რულეტკის“ მაგიდამ 970 ათასი ფუნტი წააგებინა.

როგორ ფიქრობთ, ძალიან დასწყდებოდა ამ წაგების გამო მდიდარ და ცნობილ ბიზნესმენს გული? რომ იცოდეთ, ეშლის ქონება 890 მილიონ ფუნტად არის შეფასებული... თვითმხილველები ამბობენ, რომ ეშლის წყენისა არაფერი დასტყობია, მეტიც, კრუპიეს კიდევ 700 ფუნტის ჟეტონები გაუწოდა.

*„დაუჯერებელი სანახაობა იყო – თქვა მავანმა თვითმხილველმა – დაახლოებით იმ დროში, ფეხბურთის ერთ მატჩს რომ სჭირდება, მან მილიონი დაკარგა, მაგრამ კვლავ იღიმებოდა“.*

ტაბლოიდები გვატყობინებენ, რომ „ნიუკასლის“ თავმჯდომარე „სენტ ჯეიმსი'ზ პარკის“ სიახლოვეს მდებარე „ასპერს კაზინოში“ თამაშობდა.

ისევ თვითმხილველი: *„ეშლისა და „ნიუკასლ იუნაიტედის“ სხვა წარმომადგენლებისთვის“ კაზინოში თამაში სიახლე არ არის, მაგრამ ყოველ შესვლაზე მილიონს ნამდვილად არ აგებენ. თამაშის გარდა „კაჭკაჭთა“ თავმჯდომარე უზარმაზარი კათხებით ლუდსაც მიირთმევდა. ერთს რომ გამოცლიდა, თანმხლებნი მეორეს მოუტანდნენ ხოლმე. თვალში საცემი იყო, რომ ეშლი „რულეტკის“ მოთამაშე სხვა ბიჭებისთვისაც ყიდულობდა სასმელს. ხომ იცით, ნიუკასლელ ფანებს კლუბის თავმჯდომარე მაინცდამაინც არ უყვართ, მაგრამ სამორინეში მის მიმართ ყველა თავაზიანი იყო“.*

საინტერესოა, რომ ეშლი და ზემოხსენებული პერდიუ ლონდონში, ბიზნესმენ **დერეკ ლამბიასის** კაზინოში დამეგობრდნენ.

**ილია ბაბუნაშვილი**

ამბები

## ფერგიუსონი საუკეთესოა

მსოფლიო ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციამ (IFFHშ) განვლილი 15 წლის საუკეთესო მწვრთნელის რეიტინგი გამოაქვეყნა. ამ ორგანიზაციის აზრით, საკეთესო **სერ ალექს ფერგიუსონია,** მომდევნო საპრიზო ადგილები კი არსენ ვენგერმა და მარჩელო ლიპიმ დაიკავეს. საუკეთესო ათეულში ორი წარმომადგენელი მხოლოდ იტალიას ჰყავს.

საუკეთესო ათეული ასე გამოიყურება: 1. **ალექს ფერგიუსონი (შოტლანდია), 2. არსენ ვენგერი (საფრანგეთი), 3. მარჩელო ლიპი (იტალია), 4. გუს ჰიდინკი (ჰოლანდია), 5. ჟოზე მოურინიო (პორტუგალია), 6. ოტმარ ჰიტცფელდი (გერმანია), 7. ლუის ფელიპე სკოლარი (ბრაზილია), 8. მარსელო ბიელსა (არგენტინა), 9. სვენ-გორან ერიქსონი (შვედეთი), 10. ფაბიო კაპელო (იტალია).**

რაც შეეხება საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილ თავკაცებს, **ჰექტორ რაულ კუპერი** მე-19 პოზიციაზე გაამწესეს, **კლაუს ტოპმიოლერი** კი 95-ეზე. ჩვენი გუნდის ამჟამინდელი მთავარი მწვრთნელი **თემურ ქეცბაია** 203-ე ადგილზეა.

## ბილეთები მარტიდან გაიყიდება

ევრო 2012-ის მატჩებზე დასასწრები ბილეთების გაყიდვა 1 მარტიდან დაიწყება და მათი შეძენა მსურველებს ფიფას ოფიციალური ვებგვერდის მეშვეობით შეეძლებათ. აქვე იმასაც გეტყვით, რომ პოლონეთის პრემიერმინისტრმა **დონალდ ტუსკმა** განაცხადა, ტურნირისთვის საჭირო ყველა ობიექტის მშენებლობის პროცესი სასურველი ტემპებით მიმდინარეობს და დროულად დასრულდება.

## ბლატერს აზიამ შეუტია

აზიის საფეხბურთო კონფედერაციის პრეზიდენტის, **მოჰამედ ბინ ჰამამის** აზრით, უმჯობესი იქნება, თუ **ზეპ ბლატერი** თანამდებობას დატოვებს.

*„ოცდათხუთმეტი წელიწადი ერთ ორგანიზაციაში ნამეტანია. ფიფაში სერიოზული ცვლილებებია აუცილებელი. ამ ორგანიზაციის გარშემო არასახარბიელო ატმოსფეროა, ფიფას კორუფციის ბრალდებას უყენებენ. შექმნილი სიტუაციიდან საუკეთესო გამოსავალი ბლატერის გადადგომა იქნება. ამასთანავე, მან მომავალი საპრეზიდენტო არჩევნებისთვის კეთილსაიმედო ფონი უნდა შექმნას“*, - აცხადებს ბინ ჰამამი.

## ფრანგების უარი აფრიკელებს

საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციამ კოტდივუარელებსა და მალელებს პარიზის სიახლოვეს ამხანაგური მატჩის ჩატარებაზე უარი უთხრა. ფრანგებმა ასეთი გადაწყვეტილება იმიტომ მიიღეს, რომ რამდენიმე დღის წინ კოტდივუარელმა ემიგრანტებმა დედაქალაქის ქუჩებში მასშტაბური დებოში მოაწყვეს. ერთმანეთს ამ ქვეყნის პრეზიდენტობის ორი კანდიდატის მომხრეები დაუპირისპირდნენ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ძიუდო

# დიდ ჩემპიონთა გაცილება

თბილისის მსოფლიოს თასზე დიდი სპორტიდან საზეიმოდ გააცილებენ სახელოვან ქართველ ძიუდოისტებს, ოლიმპიურ ჩემპიონ **ზურაბ ზვიადაურს** (90) და ევროპის ორგზის ჩემპიონს, მსოფლიოსა და ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსან **ნესტორ ხერგიანს** (60). ამაზე ლაპარაკი დიდი ხნის წინ დაიწყო, ახლანდელი ტურნირის მოახლოების პარალელურად კი კიდევ უფრო გაძლიერდა, მაგრამ საბოლოოდ ამ დღეებში გადაწყდა. მისასალმებელია, რომ საქართველოში ასეთი ტრადიცია მკვიდრდება და სახელოვან სპორტსმენებს საკადრის პატივს მიაგებენ.

ზურაბ ზვიადაური 1981 წლის 2 ივლისს დაიბადა ახმეტაში. ძიუდოში ვარჯიშიც იქ დაიწყო **ტარიელ შათირიშვილის** ხელმძღვანელობით, თუმცა მერე **გუგულა აბრამიშვილთან** გადაინაცვლა და პირველ სერიოზულ წარმატებებსაც მასთან მიაღწია. მისმა ტალანტმა ფრთები განსაკუთრებით მას შემდეგ გაშალა, რაც თბილისში, ეროვნული ნაკრების თავკაც **შოთა ხაბარელთან** გადმოინაცვლა სავარჯიშოდ - სწორედ აქ გახდა დამოუკიდებელი ქართული სპორტის პირველი ოლიმპიური ჩემპიონი (2004 წელი, ათენი), მსოფლიოს ორგზის ვეცხლის მედალოსანი (2001, 2003 წლები), ევროპის მესამე პრიზიორი (2002 წელი), ორჯერ მოიგო ევროპის გუნდური პირველობა (2002, 2003 წლები) და არაერთგზის გაიმარჯვა სხვადასხვა რანგის პრესტიჟულ საერთაშორისო შეჯიბრებაში, ხოლო სხვა სინჯის მედლებზე არაფერს ვამბობთ. ტრავმების გამო მან ნაადრევად დაანება თავი დიდ სპორტს - 2009 წელს, როცა 28 წლისა იყო. ეს ოფიციალურად, თორემ ფაქტობრივად, კარგა ხნის დანებებული ჰქონდა - მხოლოდ 2008 წელს ოთხი სხვადასხვა ოპერაცია გაიკეთა გერმანიასა თუ საქართველოში. ის გამორჩეულად კაშკაშა ვარსკვლავია არა მხოლოდ ქართული ძიუდოს, მთლიანად - ქართული სპორტის ისტორიაში. ასეთი ტალანტები იშვიათად იბადებიან, თუმცა ბუნებით არ იყო მშრომელი, აკლდა პროფესიონალიზმი, რამაც მის კარიერასაც დაასვა დაღი. მისი ნიჭის პატრონს ოლიმპიადაც უნდა მოეგო მეორედ და არც მსოფლიოს ან ევროპის ჩემპიონის გვირგვინი უნდა დარჩენოდა აუხდენელ ოცნებად. არადა, მსოფლიოს პირველობის ფინალში ორჯერ იჭიდავა - 2001 წელს მიუნხენში 20 წლის ბიჭი წელმტკივანი გავიდა ფრანგ **ფრედერიკ დემონფოკონთან** საჭიდაოდ და იქ მართლაც განწირული იყო მარცხისთვის, 2003-ში კი ოსაკაში კორეელ **ჰე ტაე ჰვანგს** დიდი უპირატესობით უგებდა, მაგრამ ლამაზი ჭიდაობის ტრფიალმა მისთვის ჩვეულ შემტევ სტილს არც მაშინ უღალატა და შეტევაში თავდაუზოგავად ჩართულს წამიერი მოდუნება ნაგებად დაუჯდა. სპორტიდან წასვლის შემდეგ მან მწვრთნელობა დაიწყო და კვლავაც ქართულ ძიუდოში რჩება.


ნესტორ ხერგიანი


ზურაბ ზვიადაური

ნესტორ ხერგიანი 1975 წლის 20 ივლისს დაიბადა მესტიაში. მან სპორტში ვარჯიში სამბოში დაიწყო, რამდენიმე წელიწადში კი ძიუდოში გადაინაცვლა, სადაც ჯერ **ანზორ მარგველანი** ავარჯიშებდა, მერე - შოთა ხაბარელი. დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, ხერგიანმა ყველაზე მეტი მედალი მოიპოვა პირველხარისხოვან შეჯიბრებებში - ევროპის პირველობებზე ორჯერ ოქრო და შვიდჯერ - ბრინჯაო, მსოფლიოზე თითო ვერცხლ-ბრინჯაო, ოლიმპიადაზე კი ერთი ვერცხლი ირგუნა. 12 მედალი ამ რანგის შეჯიბრებებში დამოუკიდებელი საქართველოს არც ერთ ათლეტს არ მოუგია. ამას თუ სამბოში მოპოვებულ მედლებსაც დავამატებთ, სია კიდევ უფრო შთამბეჭდავი გამოვა. ის სპორტიდან შარშან წავიდა, როცა ძიუდოს ნაკრების ხელმძღვანელობა შეიცვალა, ახალმა თავკაცმა კი გუნდის გაახალგაზრდავება გადაწყვიტა. 34 წლის ხერგიანმა კიდევ ერთხელ სცადა ბედი სამბოში და ევროპის ჩემპიონიც გახდა. ევროპული ძიუდოს მწვერვალის დაპყრობის შემდეგ მას მსოფლიოსა და ოლიმპიური მწვერვალების დალაშქვრის შანსიც მიეცა, მაგრამ ხელი მოეცარა - 2004 წელს, ათენის ოლიმპიადაზე მსოფლიოსა და იმხანად ორგზის ოლიმპიურ ჩემპიონთან, იაპონელ **ტადაჰირო ნომურასთან** დამარცხდა, 2007 წელს კი ბრაზილიაში მსოფლიოს ფინალი ჰოლანდიელ **რუბენ ჰოუკესთან** დათმო. სპორტიდან წასვლის შემდეგ მან მწვრთნელად დაიწყო მუშაობა საქართველოს ვაჟ ძიუდოისტთა ეროვნულ ნაკრებში და ამჟამადაც იქ აგრძელებს მუშაობას.

**ირაკლი თავაძე**

თბილისის მსოფლიოს თასი

# შემადგენლობა გაირკვა

29-30 იანვარს თბილისის სპორტის სასახლე ძიუდოისტთა სეზონის რიგით მეორე შეჯიბრებას უმასპინძლებს - მსოფლიოს თასს, სადაც სალიცენზიო ქულებიც გაიცემა - გამარჯვებული 100 ქულას მიიღებს, ვიცე-ჩემპიონი - 60-ს, ბრინჯაოს მედალოსნები - 40-40-ს, მეხუთეადგილოსნები - 20-20-ს, მეშვიდე ადგილზე დარჩენილები - 16-16-ს, 1/16-ფინალიდან გამოვარდნილები - 12-12-ს, 1/32-ში დამარცხებულები 8-8 ქულას, ხოლო პირველ წრეში ნაგებულები 4-4-ს მიიღებენ.

ამ ტურნირში საჭიდაო საქართველოს ნაკრების შემადგენლობის ძირითადი ბირთვი აქამდეც იყო ცნობილი - ნაკრების თავკაც **სოსო ლიპარტელიანის** გადაწყვეტილებით, შეჯიბრებაში საქართველოს ჩემპიონატის მედალოსნებს უნდა ესპარეზათ, თუმცა პრობლემას ერთი გარემოება ქმნიდა, რომ მწვრთნელს სურდა, ორი უმედლოდ დარჩენილიც გამოეცადა - ახალგაზრდებში ევროპის ორგზის ჩემპიონი **პაატა მერებაშვილი** (60) და ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის გამარჯვებული **არსენ მაჭარაშვილი**, რომელიც ამჯერად წონის დაკლებას და 66-ში ჩამონაცვლებას აპირებდა. ოღონდ იმთავითვე იყო ცნობილი, რომ ესენი ბრინჯაოს პრიზიორთაგან თუ შეცვლიდნენ რომელიმეს, თორემ ფინალისტთა ჭიდაობა სავალდებულო იყო. ბოლო დღეებში მწვრთნელს კიდევ ერთი საფიქრალი საქართველოს ჩემპიონ **ლომერ ჟორჟოლიანის** (100) წელის ტრავმამაც გაუჩინა.

მწვრთნელთა საბჭოსთან კონსულტაციების და საკონტროლო შეხვედრების შემდეგ გუშინ ლიპარტელიანმა საბოლოო შემადგენლობა გამოაცხადა. მათი გადაწყვეტილებით, მერებაშვილი **ვაჟა მარგველაშვილს** ჩაანაცვლებს, მაჭარაშვილი კი **ალექსანდრე იაკობაშვილის** ნაცვლად გამოვა. რაც შეეხება 100 კილოგრამს, აქ ლომერ ჟორჟოლიანს **მალხაზ ნიჟარაძე** შეცვლის. ამათ გარდა, მსოფლიოს თასზე **დავით ასუმბანი, ბეთქილ შუკვანი, ტრისტან ფეიქრიშვილი** (ყველა - 60), **შალვა ქარდავა, გიორგი შოშიაშვილი, ლევან ჩუბინიძე** (66), **თენგიზ პაპოშვილი, ზურაბ ნოზაძე, ზვიად ბაზანდარაშვილი, ამბაკო ავალიანი** (73), **გიორგი ბაინდურაშვილი, პაატა ღვინიაშვილი, დავით კარბელაშვილი, ავთანდილ ჭრიკიშვილი** (81), **ლაშა გურული, საბა გავაშელიშვილი, გიორგი ცოციაშვილი, არჩილ შინჯიკაშვილი** (90), **დავით ლორიაშვილი, რევაზ ჩიკოიძე, კონსტანტინე მუკვანი** (100), **ზვიად ხანჯალიაშვილი, ადამ ოქრუაშვილი, ვახტანგ ზოიძე** და **ნოდარ მეტრეველი** (+100) იჭიდავებენ.

რაც შეეხება იმ ჩანაცვლებულ ფალავნებს, ისინი, როგორც გუნდის სხვა ლიდერები, რომლებიც ობიექტური მიზეზით ან საერთოდ ვერ გამოვიდნენ ქვეყნის პირველობაში — მაგალითად, **ამირან პაპინაშვილი** (60), **ლევან წიკლაური** (81), ან - სამეულში ვერ მოხვდნენ (**ვალერი ლიპარტელიანი** (90), **ზებედა რეხვიაშვილი** (73), მათ შანსი მომდევნო სალიცენზიო შეჯიბრებებში მიეცემათ. თუმცა მარგველაშვილი, შესაძლოა, არც ჩართონ ამ ტურნირებში, რადგან მას წლეულს ახალგაზრდულ ნაკრებში უწევს გამოსვლა. ეს საკითხი მოგვიანებით გაირკვევა.

სადღეისოდ გადაწყვეტილია, რომ მსოფლიოს თასზე 25 ქვეყანა გვეწვევა: ჰოლანდია, საფრანგეთი, ბრიტანეთი, იტალია, რუსეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, უნგრეთი, ისრაელი, ესტონეთი, ლიტვა, ლატვია, კანადა, პორტუგალია, ავსტრალია, ავსტრია, ახალი ზელანდია, ჩერნოგორია, ბელარუსი, ტაჯიკეთი, უკრაინა, ყირგიზეთი, ყაზახეთი, უკრაინა, რუმინეთი და თურქეთი. როგორც ხედავთ, ამჯერად მონაწილეთა შორის არ იქნებიან ძიუდოს სამყაროს აღიარებული ლიდერები - იაპონია და სამხრეთ კორეა. კორეელები ისედაც იშვიათად ჩამოდიოდნენ, იაპონელთა ჩამოუსვლელობა კი დიდი დანაკლისია. მათი სტუმრობა ყოველთვის ალამაზებდა შეჯიბრებას, ახლა კი პეწი უთუოდ დააკლდება. ჩამოთვლილი ქვეყნებიდანაც ბევრი თითო-ოროლა წარმომადგენლით გვესტუმრება და არც მონაწილეთა სახელობითი სიები იქნება ძველებურად შთამბეჭდავი - განაცხადებაში პირველხარისხოვან ვარსკვლავთა ნაკლებობაა. ყველაზე ტიტულოვანი წარმომადგენელი რუსი მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი მძიმე წონაში **ალექსანდრ მიხაილინი** იქნება, რომელმაც ბოლო სოლიდური ჯილდო — ბრინჯაო, თბილისში 2009 წელს ევროპის პირველობაზე მოიპოვა. ტრავმით გამოწვეული ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ის ისევ დაუბრუნდა ტატამს და დანაკარგის ანაზღაურებას ცდილობს - სალიცენზიო შეჯიბრებები ხომ შარშან დაიწყო, მაგრამ მას არ უჭიდავია. თუმცა ეს რუსთა მთელ გუნდზე ითქმის, რომლებსაც უკან დასახევად დიდი არჩევანი არც რჩებათ - მათ მთელ რიგ წონებში ჩავარდნა აქვთ და ბევრ კანდიდატს ცდიან. მათ სიაშია იქაური პირველობის წლევანდელი გამარჯვებული **აშხაბ კოსტოევიც** (100).

სპორტის სასახლეში შეჯიბრება ორივე დღეს 10 საათზე დაიწყება, ფინალები კი 17 საათიდან განახლდება. ბილეთი 3 ლარი ღირება. 17 საათიდანვე საზოგადოებრივი მაუწყებელი ფინალური შეხვედრების პირდაპირ რეპორტაჟსაც შემოგთავაზებთ.

**ირაკლი თავაძე**

სპორტი და ცნობილი ადამიანები

ეროვნული ბიბლიოთეკა




ზურაბ ანჯაფარიძე

# კრივი, ჭადრაკი და... სპორტის მადლი

## სპორტის დამსახურებაც არის, მე და ბევრი ჩემი თანატოლი სწორ გზას რომ არ ავცდით – ამბობდა ზურაბ ანჯაფარიძე

**მსოფლიოში ბევრი ცნობილი ადამიანის ცხოვრება დაწყებულა სპორტის ამა თუ იმ სახეობასთან დამეგობრებით. სპორტმა კი როგორი გატაცება იცის, ბევრს თავადაც გამოუცდია. საქართველოში კულტურის, ხელოვნების, მეცნიერების არაერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი ყოფილა თავის დროზე გამიჯნურებული სპორტთან. ამ ადამიანებმა ცხოვრებაში მერე თუ სხვა არჩევანი გააკეთეს, სპორტის მადლობელნი სამუდამოდ დარჩნენ.**

„თქვენ არ გემახსოვრებათ მოკრივე ზურაბ ანჯაფარიძე, მით უფრო, რომ ამ სარბიელზე განსაკუთრებული წარმატება ერთხელაც ვერ მოვიპოვე. მაგრამ სიტყვაზე უნდა მენდოთ: სპორტის ამ სახეობაში მეტად სერიოზულად ვვარჯიშობდი. ძია სანიას — ჩემს მწვრთნელ ალექსანდრე გოლშტეინს მართლა ძალიან დასწყდა გული, სპორტს სიმღერა რომ ვარჩიე. მაშინ მეათე კლასში ვიყავი. მერე დიდხანს ვერ შევირიგე. უკვე მომღერალი გახლდით, ოპერის თეატრში მთავარ პარტიებს მანდობდნენ. ვუგზავნიდი და ვუგზავნიდი ბილეთებს, მაგრამ ის ახლოს არ მეკარებოდა. ბოლოს, როგორც იქნა, მოვიდა — „კარმენზე". სპექტაკლის დამთავრებისას დამელოდა და მითხრა, სწორი გზა აგირჩევიაო. მე კი ვფიქრობ, რომ მოკრივე დღემდე არ ჩამკვდარა ჩემში. კრივს უნდა ვუმადლოდე, „მძიმე" წონის მიუხედავად, დღემდე რომ შევინარჩუნე მოქნილობა, „სპორტული ფორმა" — ასე იგონებდა ახალგაზრდობას 1986 წელს „ლელოს" ჟურნალისტთან ინტერვიუში სახელგანთქმული მომღერალი **ზურაბ ანჯაფარიძე.**

ბოლომდე მოვუსმინოთ:

„მე არ მქონდა უფლება, სამუდამოდ მიმეტოვებინა სპორტი. ეს ღალატს ჰგავდა. იცით თქვენ, რას ნიშნავდა სპორტი ომის პერიოდის ბიჭისთვის? სპორტი იცავდა მას ყოველგვარი მანკიერებისაგან, არ აძლევდა მოდუნების, ცხოვრების გამრუდების უფლებას. იმ დროს, როცა მამაკაცების ძლიერი ხელი გვაკლდა, სპორტი გონიერი აღმზრდელისთვის საუკეთესო თანაშემწე იყო.

სკოლაში ერთი ბიჭი გადამეკიდა და სადაც მომისწრებდა, მირტყამდა. სკოლაში რომ მოვიდნენ და გვკითხეს, კრივში ვარჯიში ვის უნდაო, მაშინვე ავწიე ხელი. იმან კი, მახსოვს: იმ დღესაც მცემა.

სპორტის ყველა სახეობა სასარგებლოა. — ადამიანს დისციპლინას აჩვევს, შრომისმოყვარეობას უნერგავს, ჯანმრთელობას უკაჟებს; ვარჯიში ერთნაირად აუცილებელია როგორც მომღერლისა და მსახიობისთვის, ისე მათი მაყურებლისთვის

სპორტის დამსახურებაც არის, მე და ბევრი ჩემი თანატოლი სწორ გზას რომ არ ავცდით.

ბავშვობაში ტანვარჯიშზე დავდიოდი არჩილ ბაქრაძესა და შოთა კაკაურიძესთან, მაგრამ კრივი იმიტომ ავირჩიე, რომ სკოლაში ერთი ბიჭი გადამეკიდა და სადაც მომისწრებდა, მირტყამდა. სკოლაში რომ მოვიდნენ და გვკითხეს, კრივში ვარჯიში ვის უნდაო, მაშინვე ავწიე ხელი. იმან კი, მახსოვს: იმ დღესაც მცემა. თუმცა ძალიან მალე გავუსწორე ანგარიში და ამისთვის კინაღამ მაშინვე სამუდამოდ დამატოვებინეს კრივი. ძია სანიას ქუჩური ჩხუბი არ უყვარდა. იგი ჩვენ ძლიერ ბიჭებად, ვაჟკაცებად გვზრდიდა და წვრილმან ანგარიშსწორებამდე დაშვების უფლება არ გვქონდა.

მომავალი მომღერლისათვის ყველაზე შესაფერისი და სასარგებლო სახეობა ცურვაა. ცურვაში ვარჯიში ყველაზე უკეთ ავითარებს სასუნთქ სისტემას. თუმცა არც მეტისმეტი გატაცება ვარგა — აუზის ქლორიანი წყალი ხმას მაინცდამაინც არ უხდება. საერთოდ კი, სპორტის ყველა სახეობა სასარგებლოა — ადამიანს დისციპლინას აჩვევს, შრომისმოყვარეობას უნერგავს, ჯანმრთელობას უკაჟებს; ვარჯიში ერთნაირად აუცილებელია როგორც მომღერლისა და მსახიობისთვის, ისე მათი მაყურებლისთვის. ყოველ დილით ვვარჯიშობ. სუფთა ჰაერზე ვსეირნობ. თუ რეჟიმი დამერღვა, მთელი დღე მოთენთილი, და დაღლილი ვარ. მინდა და ალბათ შემიძლია კიდეც, მეტი ვივარჯიშო, მაგრამ არ ვიცი, როგორ. დარწმუნებული ვარ, ვარჯიშის მსურველი ბევრია. მაგრამ ის რეკომენდაციები, რაც მოყვარული სპორტსმენებისთვის ქვეყნდება, უმეტესად ახალგაზრდებისთვის არის გათვალისწინებული. მე და ჩემს ტოლებს კი, ასე 57 წლის ხალხს, დახმარება უფრო გვჭირდება. იმედი მაქვს, თქვენი გაზეთი გაითვალისწინებს ჩვენს სურვილს. ყველაზე მეტად ფეხბურთი მიყვარს. დიდი მღელვარება გადავიტანე ამ შემოდგომით, როცა ჩვენი ორივე გუნდი სახიფათო ზონაში აღმოჩნდა. თუმცა ალბათ მარტო მე კი არა, ყველა ნამდვილი გულშემატკივარი ასევე ღელავდა. ამ მხრივ, მართალი გითხრათ, მშურს უკრაინელი გულშემატკივრებისა — „კიევის „დინამომ" მათ მხოლოდ სიხარული და სასიამოვნო ემოციები მოუტანა. ჩვენს გუნდებსაც ვუსურვებდი ასეთ სტაბილურობას მომავალ სეზონში.

ძალიან მიყვარს ჭადრაკიც. რა დამავიწყებს იმ სიხარულს, ჩვენ, იმ დროისათვის „მოსკოველ ქართველებს" რომ განგვაცდევინა ნონა გაფრინდაშვილმა. დიდ თეატრში მუშაობის წლებში არ მახსოვს, რომელიმე მნიშვნელოვანი მატჩი გამეცდინოს, ისე როგორც არ მახსოვს, ნონას წაეგოს. ქართველი მოჭადრაკე ქალიშვილების გამარჯვებები ჩვენც ძალასა და ენერგიას გვმატებდა.

**პეპი ბოჭორიშვილი,**
1986 წლის იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბრძოლო ხელოვნება

# ელბრუსთან ფეხი დაუცდათ



ჯამბულ ძაძამია

საერთაშორისო ორგანიზაცია პროფესიული ორთაბრძოლების ლიგის (PROFC) დამფუძნებელი გახლავთ **ჯამბულ ძაძამია** - ამჟამად ამავე ორგანიზაციის ვიცე-პრეზიდენტი და მთავარი მსაჯი, მსოფლიოს ჩემპიონი კარატეში, სპორტის ოსტატი ძიუდოში, რომელიც როსტოვში ცხოვრობს და ბიზნესმენობს. სწორედ მისი ინიციატივით გაიმართა თბილისის სპორტის სასახლეში წესების გარეშე ბრძოლებში საერთაშორისო მეგობრობის თასის გათამაშების მე-12 ეტაპი. შეჯიბრებაში ოთხი კლუბი მონაწილეობდა. ასპარეზობის დებიუტანტი თბილისის „ჯეო ფაიტი“ ნალჩიკის (რუსეთი) „ელბრუსთან“ 1:4 დამარცხდა. **დიმიტრი რობაქიძემ** (70 კგ) **ოლეგ ბოგოვთან** წააგო. მართალია, **გოჩა სმოიანმა** (76) **ალბერტ ტუმენოვთან** პაექრობისას წონასწორობა აღადგინა, მაგრამ, სამწუხაროდ, მომდევნო სამ ორთაბრძოლაში სტუმრებმა იოლად სძლიეს მასპინძლებს: **ლუხუმ ხულელიძე** (84) პირველსავე წუთზე მტკივნეულ ილეთზე წამოეგო **რატმირ კარაცუკოვთან** პაექრობისას, ხოლო **აზერ შუგუშევს** (93) წამებილა დასჭირდა **დიმიტრი ჭუმბურიძის** დასანოკაუტებლად. ბოლო იმედად **ლადო ჩოჩიშვილი** (მძიმე წონა) რჩებოდა, მაგრამ მას **იბრაგიმ იბრაგიმოვთან** დაპირისპირებისას კანი გაუსკდა და სისხლდენა ვერ შეუჩერეს, რის გამოც ექიმებმა შეჯიბრებიდან მოხსნეს. აი, ასე უსახური გამოდგა მასპინძელთა დებიუტი პროფესიული ორთაბრძოლების ლიგის თანამეგობრობის თასზე სპორტის სასახლის გადაჭედილი ტრიბუნების თვალწინ. აი, ბაქოს „ნეფტჩიმ“ კი 5:0 გაანადგურა პოლონეთის Team MMA Rocks-ი.

მომდევნო ორთაბრძოლებს ქართველი სპორტსმენები 13 თებერვალს ხარკოვში სანკტპეტერბურგელებთან გამართავენ.

— ჩვენი ლიგა მესამე წელიწადია, არსებობს, — მითხრა ჯამბულ ძაძამიამ. — შეჯიბრებაში 12 გუნდი მონაწილეობს. ისინი ორ ჯგუფში არიან განთესილნი. წრიული სისტემით გამართული ორთაბრძოლების შემდეგ ფინალში ქვეჯგუფების გამარჯვებულები შეხვდებიან. ქართველები თასის გათამაშებაში ახლახან დავუშვით სერბების ნაცვლად, რომლებმაც კონტრაქტი დაარღვიეს. ზუსტად ოცი წლის წინათ თბილისის სპორტის სასახლეში პირველად გავხდი საქართველოს ჩემპიონი უშუ-სანდში, ამიტომ ჭაბუკობის წლების გასახსენებლად ძალიან მინდოდა, ამ დარბაზში გამართულიყო პროფესიული ორთაბრძოლების ლიგის შეჯიბრება. ოცნების ასრულებაში თბილისის მერი გიგი უგულავა და სპორტის მინისტრი ლადო ვარძელაშვილი დამეხმარნენ. დიდი მადლობა მათ თანადგომისთვის. მართალია ჩვენი ბიჭები „ელბრუსთან“ დამარცხდნენ, მაგრამ მჯერა, რომ სულ მალე ისინი საერთაშორისო სარბიელზე სახელს გაითქვამენ. ქართველებს საამისო ნიჭი, უნარი და ტრადიციები გვაქვს. ალბათ, გემახსოვრებათ სოხუმელი ძმების — ბინაძეების, ზაზა ტყეშელაშვილის, გია ჩირაღიშვილისა და სხვათა ორთაბრძოლები.

**— თქვენ როსტოვში ცხოვრობთ და...**

— დიახ, 20 წლის წინათ სასწავლებლად წავედი და უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ იქვე დავრჩი სამუშაოდ. ვარ რუსეთის დამსახურებული მწვრთნელი კარატეში, მაქვს ჩემი სასპორტო სკოლა, სადაც 17 ქართველი მოზარდიც მეცადინეობს — 14 ვაჟი და 3 გოგონა. შარშან პოლონეთში გალიდან დევნილმა მიხეილ ქობალიამ მსოფლიოს ჩემპიონობა მოიპოვა კარატეში, 15 წლის რომან გერაძემ მსოფლიოს პირველობაზე ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა. გია გრიგალავა 12 წლის იყო, რუსეთის ჩემპიონი რომ გახდა კარატეში. მერე ფეხბურთი ირჩია და წლების განმავლობაში წარმატებით თამაშობდა როსტოვის „როსტოვში“, ამას წინათ იგი ომარ თეთრაძემ ნიჟნი ნოვგოროდის „ვოლგაში“ მიიწვია.

ქორეოგრაფი მეუღლე მყავს, რომელიც როსტოვში მცხოვრებ ჩვენებურებს ქართულ ცეკვებს ასწავლის. მართალია, რუსეთში ვმოღვაწეობთ, მაგრამ იქ ქართულ საქმესაც ვაკეთებთ.

**ვაჟა დანელია**

ავტორის ფოტო

ქართველები სკანდალში

# დიდი ქართველები დიდ შარში

## კოკაიმ და გაგამარუმ ტოკიოს რესტორანში იჩხუბეს, თუ...





სიმართლე გითხრათ, დღეს ქართველი სუმოისტების ზოგად სატურნირო მდგომარეობაზე, მომავალ რეიტინგში სავარაუდო ადგილსა და პერსპექტივებზე ვაპირებდით დაწერას, ამასაც ვიტყვით, მაგრამ მანამდე სკანდალით გვიწევს წერილის დაწყება: ტოკიოს რესტორანში ჩვენებურებს ერთმანეთში უჩხუბიათ! ამის შესახებ დილიდანვე იუწყებოდნენ რუსული საინფორმაციო წყაროები, მაგრამ დაჯერება არ გვსურდა, თუმცა იგივე ინფორმაცია იაპონიის ერთ-ერთმა ყველაზე ცნობილმა გაზეთმა, „მაინიჩიმაც“ დაწერა: *„სუმოს ცნობილმა მოჭიდავეებმა 29 წლის კოკაიმ და 23 წლის გაგამარუმ 14 იანვრის დილას რესტორანში იჩხუბეს და დააზიანეს რესტორნის ქონება, იუწყება ქალაქის მეტროპოლიტენის პოლიცია. 14 იანვარს, დილის 7:30-ზე კოკაიმ და გაგამარუმ რაღაც ვერ გაიყვეს ტოკიოს ინდურ რესტორან „სუმიდა ვარდში“ და მაგიდებს შორის კედლის შუშები დაამსხვრიეს. პოლიცია ამტკიცებს, რომ ორი სუმოისტი რესტორანში ერთად მივიდა, ნასვამ მდგომარეობაში. რესტორნის ხელმძღვანელობამ პოლიციას მიმართა, რადგან ისინი ფინანსურ კომპენსაციას ითხოვენ, ხოლო პოლიცია ქართველი სუმოისტების დაკითხვას აპირებს. ეს ჩხუბი მაშინ მოხდა, როცა იანვრის ბაშო მიმდინარეობდა, წინა დღით ორივე სუმოისტმა წააგო“*, - წერს „მაინიჩი“.

თუმცა არის საქმის მეორე მხარეც, რომლის შესახებაც არ წერს „მაინიჩი“. აღნიშნულ ჩხუბზე კომენტარი გააკეთა სუმოს ასოციაციის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა **ჰანარეგომამ**, რომლის ნათქვამიც ბევრ რამეში გაგარკვევთ. მისივე თქმით, სუმოს ასოციაციამ ორივე ქართველს ოფიციალური გაფრთხილება მისცა: *„როცა ორი რიკიში, რომლებიც შეიძლება დოჰიოზე შეხვდნენ ერთმანეთს, დიდხანს ერთად ატარებენ დროს რესტორანში და ალკოჰოლს იღებენ, ეს დიდი პრობლემაა. მაგრამ, ჩვენ არ მივიჩნევთ, რომ მათ ერთმანეთში იჩხუბეს, კოკაი ცდილობდა დაეწყნარებინა გაგამარუ, რომელსაც ახლახან მეგობარი გარდაეცვალა“.*

მოკლედ, **კოკაისთვის (ლევან ცაგურია)** ყოველმხრივ ცუდი ბაშო გამოდგა. უარყოფით ბალანსს და დივიზიონიდან გავარდნას ახლა ეს სკანდალი დაერთო. 29 წლის კოკაი 2004 წლის იანვრის ბაშოდან მოყოლებული ელიტაში იყო და ერთხელაც არ გავარდნილა. წარმოიდგინეთ, ზედიზედ 43 ბაშო ელიტაში! მაშ რა იყო ამ ჩავარდნის მიზეზი? სუმოს ფორუმებზე ბევრს წერენ კოკაის ტრავმაზე, მან მარჯვენა ხელის იდაყვი დაიზიანა (ეს მისი ქრონიკული ტრავმაა, კისრის ტრავმასთან ერთად). ვიდეოებიდანაც კარგად ჩანს, რომ „შავი ზღვა“ ფაქტობრივად ვერ იყენებდა მარჯვენა ხელს, ვერც ილეთის დასაწყებად და ვერც ძალისმიერი მიწოლისთვის, ის კი არა, მავაშის ხელის ჩაჭიდებაც კი უჭირდა. ასეთ პირობებში კი ძნელია მოგებაზე ფიქრი. ამიტომაც, კოკაიმ 15 ორთაბრძოლიდან მხოლოდ 3 მოიგო.

„შავი ზღვის“ საერთო სტატისტიკა ახლა ასეთია: კარიერაში 59 ბაშოზე მიიღო მონაწილეობა, მოიგო 399 შეხვედრა და წააგო 383. სუმოს ახალ რეიტინგ-ლისტში (ბანძუკე), რომელიც 28 თებერვალს გამოქვეყნდება, კოკაი ძურიოს დივიზიონის მე-6 ან მე-7 ნომრის სტატუსს მიიღებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ „შავ ზღვას“ დიდი ძალისხმევა დასჭირდება უკან, ელიტაში დასაბრუნებლად, რადგან უბრალო დადებითი ბალანსი (8-7) საამისოდ საკმარისი არ იქნება.

სკანდალის მეორე მონაწილე **გაგამარუმ (თეიმურაზ ჯუღელი)** ბაშო მე-6 მაეგაშირას რანგში დაიწყო, მაგრამ 5-10 ბალანსს ვერ ასცდა. რეიტინგში 198-კილოიანი ქართველი დაქვეითდება და ოსაკას ბაშოზე, რომელიც 13-27 მარტს გაიმართება, გაგამარუს დივიზიონში დარჩენისთვის მოუწევს ბრძოლა. გაგამარუმ 32 ბაშოზე 167 ორთაბრძოლა მოიგო და 114 წააგო.

კიდევ ერთი ქართველი, რომელიც ამ სკანდალში არ გახვეულა, 23 წლის **ტოჩინოშინი (ლევან გორგაძე)** ბაშოს 4-11 ბალანსით გამოეთხოვა. ტოჩინოშინი მე-2 მაეგაშირა იყო, ახლა ის იმდენად დაქვეითდება, რომ მარტის ბაშოზე უმაღლესი რანგის რიკიშებთან (მათ შორის, იოკოძუნასთან) შეხვედრა არ მოუწევს. ლევანს კარიერაში (30 ბაშო) 196 გამარჯვება და 159 მარცხი დაუგროვდა. იანვარში ტოჩინოშინის წარუმატებლობის მიზეზი პირველ დღეს ლავიწის ძვლის ტრავმაა, რასაც შემდეგ მარჯვენა ხელის დაზიანებაც დაერთო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ექსტრემი. პრეზენტაცია

# კაიაკი კაი ყოფილა

მსოფლიოში სახიფათო თავგადასავლების მაძიებელთ რა დალევს. ჟინის დასაკმაყოფილებლად რას არ მოიგონებენ ხოლმე. ზოგჯერ მივიწყებულს ამოატივტივებენ და გაიტანენ სამზეოზე. უხსოვარი დროიდან ესკიმოსები და ინდიელები (სხვებიც) სანადიროდ და მთის მდინარეებზე გადასაადგილებლად ერთადგილიან ნავებს იყენებდნენ. ნახევარი საუკუნის წინათ მთის მდინარეებზე, ჩანჩქერებსა და ჩქერებზე დაშვება სპორტის სახეობად ჩამოყალიბდა. ექსტრემალური სიტუაციების მოყვარულნი საამისოდ იყენებენ ნავებს, რომლებსაც კაიაკი ეწოდება, ხოლო სახეობას - კაიაკინგი. ბოლო დროს მსოფლიოს ჩემპიონატებიც იმართება და მას „ადიდასი“ აფინანსებს. შარშან მსგავს შეჯიბრებას ავსტრიამ უმასპინძლა და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ახალზელანდიელი სპორტსმენი ავიდა.

კაიაკი საქართველოში რამდენიმე წლის წინათ გამოჩნდა — უცხოელი ტურისტები თავიანთი ნავებით არაერთხელ დაეშვნენ ენგურსა და თერგზე. მოთხოვნა იმდენად დიდია, რომ საქართველოს წყალჯომარდობის ეროვნული ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **არჩილ ჯაკობიამ** და **აკაკი კობიაშვილმა** გადაწყვიტეს, კაიაკინგის ფედერაცია საქართველოშიც დაეფუძნებინათ. გასულ უქმეებზე კაფე „სპორტში“ თანამოაზრეები შეკრიბეს და პრეზენტაციაზე იტალიურ კლუბ „კანოე ქლაბ პორტოგრუაროს“ პრეზიდენტი **მაურო პიკოლოც** მოიწვიეს, რომელმაც მასპინძლებს უამრავი რამ უამბო საინტერესო კაიაკსა და კაიაკინგებზე ფოტო და ვიდეოფირების მოშველიებით. მთის მდინარეებსა თუ ჩანჩქერებზე კაიაკით დაშვება სახიფათო კია, მაგრამ ერთობ დიდი სიამოვნებაა, თქვენ კი ამ სახეობის გასავითარებლად და ტურისტების მოსაზიდავად ამოუწურავი საშუალებები გაქვთო, დასძინა.

პიკოლო ინჟინერია, ქართველი მეუღლე ჰყავს, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში უმოგზაურია და აქაურ მდინარეებსაც იცნობს. უცხოელებსაც ურჩევს მათს მონახულებას.

*„მე და აკაკი იტალიასა და სლოვენიაში ვიყავით საწვრთნელ შეკრებაზე, სადაც მრავალმა უცხოელმა კაიაკერმა მოიყარა თავი“*, - გვითხრა არჩილ ჯაკობიამ. - *„განსაკუთრებით მდინარე სოჩას ხეობა მოგვეწონა სლოვენიაში. ცოდნა გავიმდიდრეთ, ტექნიკა გავიუმჯობესეთ, მეგობრული ურთიერთობა დავამყარეთ სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელთან“.*

- ჩეხებმა, თურქებმა და არგენტინელებმა უკვე გამოთქვეს საქართველოს მდინარეებზე ექსპედიციების მოწყობის სურვილი, — ჩაერია საუბარში აკაკი კობიაშვილი. — ახლა ჩვენ მიერ შერჩეული მდინარეების ფოტო-ვიდეო მასალას ელოდებიან. მათ დღემდე აუთვისებელი მდინარეები აინტერესებთ. ამ მხრივ დიდი არჩევანი გვაქვს. ამჯერად უცხოელებს თუშეთში გომეწრის ხეობა და სვანეთი გვინდა შევთავაზოთ. იმედია, მოეწონებათ. დარწმუნებული ვარ, ამ ჯგუფებს სხვებიც მოჰყვებიან, რადგან კაიაკერებს ერთმანეთთან მუდმივი კონტაქტი აქვთ, ცვლიან ინფორმაციებს. საქართველოში ექსტრემალური კაიაკინგის დანერგვა ტურიზმის განვითარებასაც შეუწყობს ხელს.

**ვაჟა დანელია**



მაურო პიკოლო (მარცხნივ) და არჩილ ჯაკობია

ავტორის ფოტო

ჩოგბურთი

# გრენობლი მოგებებით დაიწყეს

ქართველმა ჩოგბურთელებმა ანდროზიო-ბუტეონიდან გრენობლში (საფრანგეთი) გადაინაცვლეს. ორივე ტურნირს ერთნაირი საპრიზო ფონდი აქვს - 25 ათასი დოლარი, მაგრამ გრენობლში უფრო ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი და **მაკა ჩახნაშვილს** მსოფლიო კლასიფიკაციაში 257-ე პოზიცია ძირითად ბადეში მოსახვედრად აღარ ეყო, მან **სოფიო შათავასთან** (281) და **თათია მიქაძესთან** (292) ერთად საკვალიფიკაციო ბადეში დაიწყო თამაში. პირველი წრე სამივე ჩვენებურმა გადალახა - მე-5 ნომრად განთესილმა ჩახნაშვილმა რუსი **ელენა კულიკოვა** (303) დაამარცხა - 1:6, 6:3, 6:1. შაფათავამ (მე-12 ნომრად განთესილი) მასპინძელ **ვიქტორია ლარიერს** (339) მოუგო - 6:3, 6:3, ხოლო მე-15 ნომრად განთესილმა მიქაძემ ფრანგი **ესტელ კაზინო** დაამარცხა - 6:3, 6:3. მიქაძეს კენჭისყრაში არ გაუმართლა - მისი მომდევნო მეტოქე კვალიფიკაციაში პირველ ნომრად განთესილი ხორვატი **ივანა ლისიაკი** (240) იყო, რომელიც 4 წლის წინათ მსოფლიოს მოწინავე ასეულში იყო. ქართველმა იბრძოლა, მაგრამ წააგო - 1:6, 6:4, 2:6. ჩახნაშვილი მასპინძელ **სტეფანი ვონგსუტის** (335) ხვდება, ხოლო შაფათავა - მე-6 ნომრად განთესილ ბრიტანელ **მელანი საუზს** (260).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

სამთო-თხილამურობა

# მსოფლიოს თასზე, მაგრამ წარუმატებლად

ამ სეზონში პირველად, ქართველმა სამთო მოთხილამურემ მსოფლიოს თასის ერთ-ერთ ეტაპზე მიიღო მონაწილეობა - **იასონ აბრამაშვილმა** ავსტრიულ კიცბიუელის სლალომში ისრიალა. სამწუხაროდ, ჩვენებურს სლალომის პირველივე ცდაზე მოეცარა ხელი და ტრასა მიატოვა. იასონი ჯერ ვერ არის სათანადო ფორმაში, რადგან 18 დეკემბრის შემდეგ ერთი თვე ვერ ვარჯიშობდა, სამშობლოში იყო. სლალომი კი ფრანგმა **ჟან-ბაპტისტ გრანჟმა** მოიგო. სამწუხაროდ, გრძელდება უსიამოვნო ტრადიცია 22 წლის აბრამაშვილმა აგერ უკვე მსოფლიოს თასის მე-5 ეტაპზე (ორი 2008/09 წლების სეზონში, ორიც 2009/10 წლებში) იასპარეზა და ჯერ ვერ შეძლო მეორე ეტაპზე გასვლა - ერთხელ ვერ მოხვდა რჩეულთა შორის, დანარჩენ შემთხვევებში ტრასა ვერ ჩაამთავრა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

შეკითხვა „ლელოს“

ამ დღეებში თქვენს გაზეთში წავიკითხე, რომ გამოვიდა პაატა ნაცვლიშვილის ახალი წიგნი „ქალალდის წერო“, რომელშიც, როგორც რეცენზიაში წერთ, ბევრი რამაა მოთხრობილი იაპონურ ტრადიციულ თუ უკვე საერთაშორისო სპორტული სამყაროს მიერ აღიარებულ სპორტის ცალკეულ სახეობებზე. გამიჩნდა წიგნის შეძენის დიდი სურვილი, მაგრამ სავაჭრო ქსელში ვერსად მივაკვლიე. ვიცი, რომ ჩემსავით ბევრია დაინტერესებული მისი შეძენით. იქნებ გვითხრათ, სად მოვიძიოთ?

**დავით ხავთასი,** პედაგოგი, თბილისი

**პასუხი:** მსგავსი შეკითხვით მოგვმართავენ ტელეფონითა და ელექტროფოსტით სხვა მსურველებიც. დავუკავშირდით ავტორს, პაატა ნაცვლიშვილს. აი, რა გვითხრა მან: „წიგნი გამოვიდა საქართველოში იაპონიის საელჩოს ხელშეწყობით. ამჯერად ეს არ ყოფილა კომერციული პროექტი. ამიტომ გამოცემა სარეალიზაციოდ სავაჭრო ქსელში არ გავრცელებულა. რაკი მოთხოვნაა, იმედი მაქვს, წიგნის მეორე გამოცემაც იხილავს დღის სინათლეს და მაშინ ყველა მსურველს მიუწვდება მასზე ხელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

● გადავფურცლოთ ისტორია



# საფალავნო გზის წინამძღოლები

შემოთავაზებულ ფოტოებზე ქართული ჭიდაობის ოსტატები და მათი წინამძღოლები არიან აღბეჭდილნი.

ჩოხიანები, სავარაუდოდ, კასპელები, უჩოხოები - საგარეჯოელები უნდა იყვნენ. მათი ამოცნობა და გვარ-სახელების ჩამოთვლა მკითხველისთვის მიგვინდვია.

რაც შეეხება წინამძღოლებს (დგანან მარჯვნიდან პირველები) ისინი ცნობილი და სახელოვანი ადამიანები არიან.

ჩოხიანებს **ლადო გოგიბედაშვილი** (1903-1977), ხოლო უჩოხოებს **შალვა გზირიშვილი** (1912-1980) უდგანან სათავეში.

თეძამისხეობელი (ზემოხანდაკელი) ლადო გოგიბედაშვილისა და ივრისპირელი შალვა გზირიშვილის (საგარეჯოელი) სპორტული ბიოგრაფიები ტყუპებივით გვანან ერთმანეთს.

ძირდალოცვილ ქართულ ჭიდაობას სიძველისგან რომ ფერი ჯერ არ გასვლია და ისევ ფეხმყარად დგას მიწაზე, შალვასა და ლადოს მსგავსი თითოოროლა პატრიოტის დამსახურებაცაა.

ლადო გოგიბედაშვილი პირველად თბილისში „გრიშუას ბაღში" არტაშა ბერიაშვილს შეერკინა. ძმები **ნიკიტინების** და **ესიკოვსკის** დროებით ცირკებშიც ჭიდაობდა. 1924 წლიდან **ნესტორ ესებუას**, მერე **კულა გლდანელის** დასშიც (გუნდში) ასპარეზობდა, 30-იან წლებში კი საქართველოს ჩემპიონიც გახდა ქართულ ჭიდაობაში.

შალვა გზირიშვილის პირველი წარმატებული საჯარო გამოსვლა ქართულ ჭიდაობაში საგარეჯოში 1928 წელს შედგა. ბევრი გულშემატკივრის აზრით, ის საქართველოს ფალავანიც იყო (თუმცა ეს კიდევ დასადგენია). შალვა ტოლს არ უდებდა მეგობარსა და პარტნიორ **არსენ მეკოკიშვილს**. იყო კარგი მჭედელი, მერე საგარეჯოს სპორტის ხელმძღვანელი გახდა.

უმეტეს დროს მთელ კახეთში ქართული ჭიდაობის განვითარებას უთმობდა. ერთხანობას გორშიც ამზადებდა მოჭიდავეებს.

1939 წელს მოსკოვში სსრკ ფიზკულტურულ-სპორტული პარადი ჩატარდა. ზეიმზე საქართველოს დელეგაციამ წარმოადგინა „ქაჯეთის ციხის" ინსცენირება, სადაც ქართული ჭიდაობის ცნობილი ოსტატები: არსენ მეკოკიშვილი, შალვა გზირიშვილი და დუშელი **შალვა ნათელაშვილი** ასახიერებდნენ „ვეფხისტყაოსნის" გმირებს — ტარიელს, ავთანდილს და ფრიდონს...

ლადო გოგიბედაშვილი და შალვა გზირიშვილი მეგობრები იყვნენ. ისინი საოცრად დიდი სიყვარულით სარგებლობდნენ არა მარტო ქართლსა და კახეთში...

ლადოს ვაჟი, **ნუგზარ გოგიბედაშვილი** თბილისში დღეს ცნობილი ექიმია. ათეული წლები მთავარ ექიმად მუშაობდა თბილისსა და კასპში.

1964 წელს ნუგზარი ბაქოში სსრკ ჩემპიონი გახდა, ერთი წლით ადრე, 1963 წელს კი პოლიტიკური ნიშნით ჩატარებული „განეფოს" მსოფლიოს თამაშები მოიგო თავისუფალ ჭიდაობაში (97 კგ). 1956 წელს სსრკ ჭაბუკთა პირველობაზეც გაიმარჯვა (+79 კგ).

შალვას უფროსი ვაჟი **გიორგი გზირიშვილი** (1940-2000), ქართული ჭიდაობის მსაჯი და სსრკ პრიზიორი იყო სამბოში (1969 წ. +100 კგ).

ლადო გოგიბედაშვილისა და შალვა გზირიშვილის საფალავნო გზაზე არაერთი კაი ყმა დამდგარა. სწორედ ასეთი ერთგული კაცები სჭირდება ქართულ ჭიდაობას.

**გაბრიელ ბარჯაძე**



● ჭადრაკი

# ლუკა პაიჭაძემ წონასწორობა აღადგინა

თბილისის ჭადრაკის სასახლეში გრძელდება საქართველოს ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატის ფინალური ორთაბრძოლა და მატჩი მე-3 ადგილისთვის. ჩემპიონობისთვის ქვეყნის ნაკრების წევრი დიდოსტატი **ლევან ფანცულაია** (2610) და ეროვნული ოსტატი **დავით ზარქუა** (2356) იბრძვიან.

პირველ პარტიაში ფანცულაიამ თეთრებით სადებიუტო უპირატესობა მოიპოვა, მაგრამ ბოლომდე მისი გამოყენება ვერ შეძლო და ყაიმს დასჯერდა. გუშინდელ შეხვედრაში ზარქუამ ინგლისურ დაცვას მიმართა, რომელიც მას ამ ჩემპიონატში არ გამოუყენებია. მეტოქე საკმაოდ მომზადებული შეხვდა ამ დასაწყისს, ამიტომ ვერც ერთმა მხარემ გადამწყვეტ უპირატესობას ვერ მიაღწია და 54-ე სვლაზე დაზავდნენ.

საერთაშორისო ოსტატი **ლუკა პაიჭაძე** (2438) და ეროვნული ოსტატი **გიგა ყუფარაძე** (2395) ბრინჯაოს ეცილებიან ერთმანეთს. პირველ პარტიაში თეთრებით ყუფარაძემ იყოჩაღა, გუშინ კი პაიჭაძემ წონასწორობა აღადგინა. დღეს და ხვალ მეტოქეები კიდევ ორ კლასიკურ პარტიას ითამაშებენ. ფრის შემთხვევაში, გამარჯვებულებს ტაიბრეიკები გამოავლენს.

**ვაჟა დანელია**

# გიბრალტარი მასპინძლობს

დღეს სტარტს აიღებს გიბრალტარის ტრადიციული საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალი, რომლის მთავარ ტურნირში 70-მდე დიდოსტატი იასპარეზებს. მათ შორის არიან ვა**სილი ივანჩუკი** (უკრაინა, 2764), **მაიკლ ადამსი** (ინგლისი, 2723), **ფაბიანო კარუანა** (იტალია, 2721), **ვიქტორ ბოლოგანი** (მოლდოვა, 2693), **კრიშნან შაშიკირანი** (ინდოეთი, 2690), **ნაიჯელ შორტი** (ინგლისი, 2658), 2010 წლიდან ქალებში მსოფლიოს ჩემპიონი **ჰოუ იფანი** (ჩინეთი, 2602), რუსი დები - ორგზის ევროპის ჩემპიონი **ტატიანა კოსინცევა** (2570) და **ნადეჟდა კოსინცევა** (2552), სხვადასხვა წლებში მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი **ანტოანეტა სტეფანოვა** (ბულგარეთი, 2546), მსოფლიოს ექსჩემპიონი **ჟუ ჩენი** (ყატარი, 2495), ორგზის ევროპის ჩემპიონი **პია კრამლინგი** (შვედეთი, 2516) და სხვები. ამ სახელოვან მოჭადრაკეებთან მოუწევთ პაექრობა ჩვენებურთ - **ნანა ძაგნიძეს** (2550), **სალომე მელიას** (2449) და **გიორგი ყაჭეიშვილს** (2585), რომელიც ბოლო წლებში ამერიკაში ცხოვრობს.

ტურნირში, რომლის საპრიზო ფონდია 125 ათასი ევრო, შვეიცარიული სისტემით 10 ტური გათამაშდება.

**ვაჟა დანელია**

# საშაშო მოტივები

ჭადრაკში, შაშისგან (სამწუხაროდ, ეს სახეობა საერთოდ მიივიწყეს საქართველოში, თუმცა ოჯახებში მას აქა-იქ ჯერ კიდევ თამაშობენ) განსხვავებით, ფიგურის ან პაიკის აღება აუცილებელი არ არის: შეგიძლია გაცვლას თავი აარიდო ან შეწირვა არ მიიღო. თუმცა, ზოგჯერ ისეთი სიტუაცია იქმნება, რომ მეტოქის „საჩუქარს" ნებსით თუ უნებლიეთ გვერდს ვერ აუვლი. არადა, შესაძლოა, „დანაელთა ძღვენი" ძვირად დაგიჯდეს; ხშირ შემთხვევაში მომაკვდინებელ დარტყმას მხედარი ახორციელებს, რომელიც ეშმაკური გამოხტომებითაა ცნობილი, რაც ამ ეტიუდითაც დასტურდება:

**1 ლe4+ მფb8 2. ეb6+** (პირველი შეწირვა)! მაშინვე არ შეიძლებოდა 2. მფa6 ლxh6+, ამიტომ აუცილებელია მე-6 ჰორიზონტალის გადაკეტვა.

**2 ... კxb6** (ცუდია 2... მფc8, რადგან 3. ლb7+. მფd7 4. მe5+) **3. მფa6 ეd7** (საუკეთესო საშუალებაა b7 უჯრის დასაცავად, რადგან აგებს 3 ... ეd5 შემდეგი უბრალო სვლებით: 4. ლxd5 ლc8+ 5 მფxb6 ლc7+ 6. მფb5)

ახლა თეთრები თამამად წირავენ ლაზიერს, შემდეგ კი მხედრით ანადგურებენ შავების მთელ არმიას:

**4. ლa8+! მფxa8 5. მxb6+ მფb8 6. მxd7+ მფc7 7. მxf8** და შავები ნებდებიან.




მსგავს კომბინაციებს ზოგჯერ საშაშო მოტივებს უწოდებენ.

მოამზადა **ვაჟა დანელიამ**

● დებიუტანტი



## გიორგი აზარაშვილი
### მძლეოსნობა

დაიბადა 1995 წლის 22 მარტს თბილისში.

სწავლობს 71-ე საჯარო სკოლის X კლასში.

მძლეოსნობაში ორი წელიწადია ვარჯიშობს გიორგი გოზალიშვილის ხელმძღვანელობით.

შედეგები: შარშან მოსწავლეთა საქართველოს პირველობაზე 100 და 200 მეტრზე რბენაში ყველას აჯობა. ბაქოს საერთაშორისო ტურნირზე მძლეოსნურ სამჭიდში თანატოლთა შორის მე-5 ადგილი დაიკავა. წლეულს 1994-97 წლებში დაბადებულთა თბილისის ზამთრის პირველობაზე ერთბაშად სამი ოქროს მედალი დაიმსახურა.

**გატაცებულია** ჩოგბურთით, რაგბითა და კალათბურთით.

**ჰობი.** ჯაზი და კომპიუტერი.

**მიზანი.** ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა და მამიდის — რბენაში სეულის ოლიმპიადის მესამე პრიზიორის **მაია აზარაშვილის** მიღწევის გაუმჯობესება.

**ვაჟა დანელია**
**ავტორის** ფოტო




ხელმოწერის მსურველთა საყურადღებოდ!

„ლელოზე" ხელმოწერის გასაფორმებლად ორგანიზაციებს შეუძლიათ მიმართონ ჩვენი საგამომცემლო სახლის სააგენტოს ელვა.ჯი. სურვილის მიხედვით სააგენტოს წარმომადგენელი თავად მოგაკითხავთ ორგანიზაციაში ხელმოწერის ნებისმიერი რიცხვიდან გასაფორმებლად. გაზეთის დროული და უკლებლივ მოწოდება გარანტირებულია.

დარეკეთ: 38 26 73; 38 26 74 ელვა.ჯი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ლეგიონერები

# ქართული გუნდები ლიდერობას ინარჩუნებენ



ბურთით დავით კაჭარავა

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, მეორე და ფედერალ 1 დივიზიონებში მორიგი ტურის შეხვედრები გაიმართა. საგულისხმოა, რომ ყველა მათგანში, ქართველ მორაგბეთა გუნდები წარმატებით ასპარეზობენ.

ელიტურ, მეორე დივიზიონში, სადაც „ქართულ გუნდებს" სატურნირო ცხრილის მეორე და მესამე საფეხურები უკავიათ, მე-18 ტურის შეხვედრები გაიმართა. **გურამ კავთიძის** „ლიონმა" სტუმრად ითამაშა „დაქსთან" და უმძიმეს ბრძოლაში დაამარცხა 36:29. კავთიძე განაცხადში არ იყო.

„ლიონს" ამ გამარჯვების შემდეგ 62 ქულა დაუგროვდა და მეორე ადგილზეა. მას ერთი ქულით უსწრებს „ალბი", რომელმაც შინ დაამარცხა **მამუკა მაგრაქველიძისა** და **ირაკლი მირცხულავას** „ტარბი" - 45:18. მაგრაქველიძე თამაშში 53-ე წუთიდან ჩაერთო და 74-ე წუთზე არბიტრმა გაასინბინა. მირცხულავას არ უთამაშია.

„ლიონს" შვიდი ქულით ჩამორჩება და მესამეა **გიორგი მენაბდიშვილის** „გრენობლი". „ალპელებმა" სტუმრად დაამარცხეს „კარკასონი" - 22:18. მენაბდიშვილი განაცხადში არ იყო.

## II დივიზიონი

### XVIII ტური

ოში-მონ დე მარსანი 24:15, პო-კოლომიე 60:12, კარკასონი-გრენობლი 18:22, ექსი-ორიაკი 31:12, ალბი-ტარბი 45:18, დაქსი-ლიონი 29:36, ბორდო-ოიონაქსი 35:17, სენტ ეტიენი-ნარბონი (გადაიდო).

### სატურნირო მდგომარეობა

1. ალბი - 63 ქულა, 2. ლიონი - 62, 3. გრენობლი - 55, 4. ბორდო - 51, 5. კარკასონი - 46, 6. მონ დე მარსანი - 45, 7. ოში - 44, 8. ოიონაქსი - 42, 9. ტარბი - 41, 10. ორიაკი - 41, 11. პო - 39, 12. ნარბონი - 38, 13. დაქსი - 31, 14. ექსი - 30, 15. კოლომიე - 28, 16. სენტ ეტიენი - 12.

ფედერალ 1 დივიზიონის ოთხი ჯგუფიდან სამში ისევ ქართველ მორაგბეთა გუნდები ლიდერობენ. A ჯგუფში სატურნირო ცხრილს დამაჯერებლად უდგას სათავეში **შალვა სუთიაშვილის, სანდრო ესაკიას, დავით აშვეთიასა** და **არჩილ კობაურის** „მასი", რომელმაც მე-14 ტურში სტუმრად დაამარცხა **ავთანდილ კოპალიანის** „ორლეანი" - 25:16.

სუთიაშვილი თამაშში 67-ე წუთიდან ჩაერთო, კოპალიანი მოედანზე ორი წუთის მერე გამოჩნდა, კობაურს, ესაკიასა და აშვეთიას არ უთამაშით.

„მასის" შვიდი ქულით ჩამორჩება და მეორე ადგილზეა **დევი დათუნაშვილისა** და **ელიზბარ ყუფარაძის** „მონლუსონი", რომელმაც შინ დაამარცხა **დიმა ხოჭოლავას** „სერჟ პონტუაზი" - 37:24.

**თემურ გელანტიას** „სტრასბურის" საშინაო შეხვედრა **ირაკლი მაჩხანელის, შოთა მელიქიძისა** და **ბესო უდესიანის** „მაკონთან" დიდთოვლობის გამო გადაიდო.

## A ჯგუფი

სურესნე-ანესი 12:8, დიჟონი-ბურგ ან ბრესი 6:6, მონლუსონი-სერჟ პონტუაზი 37:24, ბობინი-ნევერი 13:11, ორლეანი-მასი 16:25, სტრასბური-მაკონი (გადაიდო).

### სატურნირო მდგომარეობა

1. მასი - 53 ქულა, 2. მონლუსონი - 46, 3. ბობინი - 44, 4. დიჟონი - 38, 5. ბურგ ან ბრესი -35, 6. ორლეანი - 33, 7. ნევერი - 31, 8. მაკონი - 26, 9. ანესი - 16, 10. სტრასბური - 12, 11. სურესნე - 10, 12. სერჟ პონტუაზი - 9.

B ჯგუფში, A ჯგუფის მსგავსად, სატურნირო ცხრილის პირველი ორი საფეხური ქართველ მორაგბეთა გუნდებს უკავიათ. გათამაშების ლიდერმა **ლაშა მალაღურაძისა** და **გიორგი მჭედლიშვილის** „ბეზიემ" **დავით კაჭარავას** „ნიცას" უმასპინძლა და 39:6 მოუგო. მალაღურაძე და კაჭარავა თამაშში მეორე ტაიმიდან ჩაერთნენ, მჭედლიშვილი განაცხადში არ იყო.

ლანგედოკელებს ამ მოგების შემდეგ 46 ქულა დაუგროვდათ და მეორეადგილოსან **გიორგი ნემსაძის** „მონტობანს" ხუთი ქულით უსწრებენ. მონტობანელებმა მე-14 ტურში სტუმრად ფრედ ითამაშეს „გრასთან" - 18:18.

**გია ლაბაძისა** და **რეზო ბელქანიას** „ლა სეინმა" შინ დაამარცხა **ირაკლი გიორგაძის** „ლავორი" - 24:15. მასპინძლებმა ზედიზედ ორ გამარჯვებას მიაღწიეს და სატურნირო მდგომარეობა ოდნავ გამოისწორეს.

**დიმა ბასილიასა** და **ნიკოლოზ მალალდაძის** „ობენა" საკუთარ მოედანზე დამარცხდა მესამეადგილოსან „ბლანიაკთან" - 15:20 და 27 ქულით ახლა მე-10 ადგილზეა.

## B ჯგუფი

ბეზიე-ნიცა 39:6, ლა სეინი-ლავორი 24:15, გროლე-ვალანსი 18:19, ობენა-ბლანიაკი 15:20, შატორენარი-რომანი 41:10, გრასი-მონტობანი 18:18.

### სატურნირო მდგომარეობა

1. ბეზიე - 46 ქულა, 2. მონტობანი - 41, 3. ბლანიაკი - 39, 4. ვალანსი - 34, 5. ლავორი - 33, 6. ნიცა - 32, 7. რომანი - 31, 8. ლა სეინი - 30, 9. შატორენარი - 30, 10. ობენა - 27, 11. გროლე - 22, 12. გრასი - 11.

C ჯგუფის ლიდერმა **თედო ზიბზიბაძის, ალექსანდრე მარგველაშვილის, დავით დადუნაშვილისა** და **ირაკლი ნინიძის** „პერიგომ" სტუმრად გაანადგურა „ტური" - 41:6. პერიგოელებმა 62 ქულა დააგროვეს და ხუთი ქულით უსწრებენ უახლოეს მდევარ „ლიმოჟს".

**ვახტანგ მაისურაძის** „სენ ნაზერმა" შინ დაამარცხა „მარმანდი" - 16:7. მაისურაძემ სრულად ითამაშა. სენნაზერელებს ახლა 35 ქულა აქვთ და მე-6 ადგილზე არიან.

**შოთა საყვარელიძისა** და **ირაკლი გუნდიშვილის** „ნიორი", რომელიც სატურნირო ცხრილში ბოლოსწინა ადგილზეა, სტუმრად დამარცხდა „რიბერაკთან" - 20:29.

## C ჯგუფი

პაი დუ მედოკი-ლიმოჟი 10:51, ტური-პერიგო 6:41, რიბერაკი-ნიორი 29:20, სენ ჟუნიენი-სენ მედარი 26:33, სენ ნაზერი-მარმანდი 16:7, ლანჟონი-ვანი 9:12.

### სატურნირო მდგომარეობა

1. პერიგო - 62 ქულა, 2. ლიმოჟი - 57, 3. ვანი - 51, 4. ლანჟონი - 41, 5. მარმანდი - 38, 6. სენ ნაზერი - 35, 7. სენ მედარი - 32, 8. სენ ჟუნიენი - 29, 9. რიბერაკი - 23, 10. პაი დუ მედოკი - 14, 11. ნიორი - 9, 12. ტური - 8.

D ჯგუფში ქართველ მორაგბეთა გუნდებიდან პლეი ოფში გასვლის შანსი მხოლოდ **დავით ბოლქვაშვილისა** და **სოსო ნიკოლაენკოს** „ლილს" აქვს. ლილელებმა მე-14 ტურში სტუმრად დაამარცხეს **კარლენ ასეიშვილის** „ორტეზი" - 29:25 და 47 ქულით მეორე ადგილზე არიან.

**მერაბ კვირიკაშვილის, დავით ბალანჩივაძის, რეზო გიგაურის, ლევან დათუნაშვილისა** და **ბექა ურჯუკაშვილის** „ფიჟაკი" სტუმრად დამარცხდა „კაორთან" - 13:25. ჩვენებურთა გუნდს 29 ქულა აქვს და მე-10 ადგილზეა.

## D ჯგუფი

კასტანე-ლანამეზანი 18:15, ორტეზი-ლილი 25:29, ოლორონი-სენ ჟან დე ლუზი 28:12, ლურდი-ტურნეფოი 41:17, კაორი-ფიჟაკი 25:13, ტიროსი-მოლეონი 28:0.

### სატურნირო მდგომარეობა

1. ტიროსი - 63 ქულა, 2. ლილი - 47, 3. კასტანე - 47, 4. სენ ჟან დე ლუზი - 43, 5. ლანამეზანი - 43, 6. ოლორონი - 40, 7. მოლეონი - 33, 8. ლურდი - 31, 9. მორლაა - 29, 10. ფიჟაკი - 29, 11. ტურნეფოი - 27, 12. კაორი - 23, 13. ორტეზი - 20.



მერაბ კვირიკაშვილი (მარჯვნივ)

● 25 იანვარი მსოფლიო რაგბის ისტორიაში



ჯონა ლომუ

## 1925 წელი

შოტლანდიის ნაკრებმა ედინბურგში საფრანგეთის ეროვნულ გუნდს მოუგო - 25:4. მასპინძელთა გუნდში გამორჩეული იყო **იან სმითი,** რომელმაც მეტოქეს ოთხი ლელო გაუტანა.

## 1953 წელი

ირლანდიის ნაკრებმა რავენჰილში შთამბეჭდავი გამარჯვება მოიპოვა საფრანგეთის ეროვნულ გუნდთან. ლეგენდარულმა **ჯეკი კეილიმ** მატჩში დიდოსტატური ლელო მიითვალა.

## 1962 წელი

ოქსფორდის უნივერსიტეტის გუნდმა უძნელეს, დრამატულ ბრძოლაში დაამარცხა ჯარის ნაკრები - 8:5.

შოტლანდიის ნაკრების წევრები **ჯო მაკარტლინი, რობი ლემბი** და **სტიუარტ ვილსონი** სტუდენტურ გუნდში თამაშობდნენ, მათი თანამემამულეები **მაიკ კემბელ-ლემერტონი** და **ნორმან ბრუკი** ჯარის ნაკრების ღირსებას იცავდნენ.

## 1970 წელი

უელსის ნაკრები კარდიფში სამხრეთ აფრიკის ეროვნულ გუნდთან წაგებას გადაურჩა - 6:6. მასპინძლებს ექვსივე ქულა **გერეთ ედვარდსმა** მოუტანა, მან თითო ლელოთი და საჯარიმოთი გამოიჩინა თავი. უელსთან ნათამაშები ფრე „ბოკესთვის" ნიშნავდა, რომ ბრიტანული ტურნე გაუმარჯვებლად დაასრულა. სამხრეთაფრიკელებმა მანამდე შოტლანდიისა და ინგლისის ნაკრებებთან წააგეს, მერე კი ფრეს დასჯერდნენ ირლანდიის ეროვნულ გუნდთან - 8:8.

ალსანიშნავია, რომ მატჩებს ყველა ქვეყანაში წინ უძღოდა საპროტესტო გამოსვლები, რომელიც სამხრეთ აფრიკაში გამეფებული აპარტეიდის წინააღმდეგ იყო მიმართული. აქვე უნდა დავძინოთ, რომ უელსთან მატჩის შემდეგ „ბოკეს" ბრიტანეთში 22 წლის განმავლობაში აღარ უთამაშია.

## 1976 წელი

უელსის ნაკრების მგეზავმა **ფილ ბენეტმა** გადამწყვეტი როლი ითამაშა „ბარბაროსების" გამარჯვებაში ავსტრალიის ნაკრებთან მატჩში - 19:7. მან ერთი ლელო, ორი გარდასახვა და ერთი საჯარიმო გაიტანა.

## 1997 წელი

ლეგენდარულმა ახალზელანდიელმა გარემარბმა **ჯონა ლომუმ** ოფიციალურად გამოაცხადა, რომ ჯანმრთელობის გაუარესების გამო, რაგბის ექვსი თვით ემშვიდობება. ლომუმ უდიდესი მორაგბის სახელი 1995 წლის მსოფლიო თასზე ბრწყინვალე თამაშის წყალობით დაიგდო. მაშინ „ოლ ბლექსი" ყველა მეტოქეს იოლად გაუსწორდა და მხოლოდ ფინალში დამარცხდა მასპინძელ სამხრეთ აფრიკის ნაკრებთან.

ჯონამ ავადმყოფობის გამო 1997 წლის სამი ერის გათამაშება გამოტოვა, თუმცა შემოდგომის ტესტებზე მაინც დაუბრუნდა ეროვნულ გუნდს. ერთი წლის შემდეგ ლომუმ ახალი ზელანდიის ნაკრებთან ერთად კუალალუმპურში კეთილი ნების თამაშები მოიგო, 1999 წლის მსოფლიო თასზე კი ლომუმ რვა ლელო გაიტანა. ამდენად, მას მსოფლიო თასის გათამაშებებში 15 ლელო დაუგროვდა, რაც დღემდე რეკორდია.

ლომუს ჯანმრთელობის მდგომარეობა სულ უფრო უარესდებოდა. 2004 წელს მას თირკმელი გადაუნერგეს. აღდგენითი პროცესი თითქოს კარგად წარიმართა და ჯონამ რაგბიში დაბრუნება გადაწყვიტა. რამდენიმე წარუმატებელი მცდელობის შემდეგ, რაც ხშირი ტრავმიანობით იყო გამოწვეული, ლომუმ გადაწყვიტა ფრანგულ სამოყვარულო ლიგაში ითამაშოს. ის ამჟამად საფრანგეთის ჩემპიონატის ფედერალ 3 დივიზიონში მოასპარეზე „მარსელში" ირიცხება.

● ევროთასები

# კამპ ნოუ და ანოეტა რაგბის სამსახურში

ევროთასების გათამაშებაში ჯგუფური ტურნირი დასრულდა და პლეი ოფების ჯერი დადგა. მეოთხედფინალურ წყვილებს თუ თვალს გადავავლებთ, ფრანგული კლუბების აშკარა უპირატესობას შევნიშნავთ. „ჰაინეკენის თასსა" და „ემლინ ჩელენჯ კაპის" პლეი ოფში გასული 16 გუნდიდან ცხრა საფრანგეთიდანაა.

„ჰაინეკენის თასის" მეოთხედფინალში ქართველ მორაგბეთა ერთი გუნდი გავიდა. **დავით ქუბრიაშვილის** „ტულონი" 30 აპრილს ბარსელონაში „კამპ ნოუზე" პერპინიანს" დაუპირისპირდება. ალსანიშნავია, რომ ესპანეთში, სან-სებასტიანის „ანოეტაზე" ითამაშებს „ბიარიცი", რომელის მეტოქე „ტულუზი" იქნება.

„ემლინ ჩელენჯ კაპის" მეოთხედფინალში ქართველ მორაგბეთა სამი გუნდია, „ბრივი", „მონპელიე" და „ჰაინეკენის თასის" ჯგუფურ ტურნირში უარეს მეორე ადგილზე გასული „კლერმონი". **მამუკა გორგოძის, გიორგი ჩხაიძის, გიორგი ჟღენტის, გოდერძი შველიძისა** და **მიხეილ ნარიაშვილის** „მონპელიე" სტუმრად ეთამაშება „სტად ფრანსეს", **დავით ხინჩაგიშვილისა** და **ვასილ კაკოვინის** „ბრივი" შინ მიიღებს ირლანდიურ „მანსტერს", **დავით ზირაქაშვილის** „კლერმონს" კი სტუმრად მოუწევს „ლა როშელის" წინააღმდეგობის დაძლევა.

## ჰაინეკენის თასი

ლენსტერი-ლესტერი, ბიარიცი-ტულუზი, ნორსჰემპთონი-ალსტერი, პერპინიანი-ტულონი.

## ემლინ ჩელენჯ კაპი

სტად ფრანსე-მონპელიე, ბრივი-მანსტერი, ლა როშელი-კლერმონი, ჰარლიქვინზი-ვოსფსი

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

NBA. რეგულარული ჩემპიონატი



მელო ყველაზე შედეგიანი იყო

# მოსაწყენი დღე

გასულ სათამაშო დღეს ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში მხოლოდ ერთი მატჩი გაიმართა, რომელშიც „დენვერი" „ინდიანას" მასპინძლობდა. ინტრიგის მხრივ, შეხვედრა საკმაოდ მოსაწყენი გამოვიდა. „პეისერსს" მხოლოდ პირველი მეოთხედისთვის ეყო ენერგია და ოსტატობა. სანამ სტუმრებს გუნდური შეტევა გამოსდიოდათ, თამაში ქულა ქულაში მიდიოდა, მაგრამ მეორე მეოთხედიდან **ო'ბრაიენის** შეგირდებმა აქტიურობას უკლეს. არ წაუვიდა სროლა „ინდიანას" ლიდერ **დენი გრეინჯერს**, ხოლო ახალგაზრდა **დარენ კოლისონმა** წააგო მიკროდუელი **ჩონსი ბილაპსთან**. აღსანიშნავია, რომ გრეინჯერმა და კოლისონმა ერთად ტყორცნების მხოლოდ 20 პროცენტი გამოიყენეს. ერთადერთი **ტაილერ ჰენსბრო** ცდილობდა თავისი შედეგიანი თამაშით რაიმე დაეპირისპირებინა მასპინძლებისთვის, მაგრამ მისი მონდომება საკმარისი არ აღმოჩნდა.

რაც შეეხება „დენვერს", დიდი შესვენებისთვის ის უკვე სრულ უპირატესობას ფლობდა, რომელიც მატჩის ბოლომდე არ გაუშვია ხელიდან. მეორე მეოთხედში გუნდის თამაში გამოაცოცხლეს რეზერვისტებმა - **ჯეი არ სმიტმა** და **ელ ჰარინგტონმა** და მათი დაწყებული საქმე მესამე მეოთხედში სასტარტო ხუთეულის წევრებმა დაასრულეს. ყველაზე მეტად **კარმელო ენტონი** ინდომებდა. მის მიერ სწორედ მესამე მეოთხედში მოპოვებულმა 23-მა ქულამ განსაზღვრა შეხვედრის ბედი. სულ კი მელომ 36 ქულა დააგროვა, რითაც მატჩის ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი გახდა.

ასე რომ, „დენვერი" კვალში უდგას „იუტას", ხოლო „ინდიანა" თანდათან შორდება პლეი ოფის ზონას.

**დენვერი-ინდიანა 121:107**

**27:30, 32:21, 34:27, 28:29**

დ: ენტონი (36+8 მოხსნა), ჰარინგტონი (16+5 მოხსნა), ნენე (15+10 მოხსნა), ლოუსონი (13+5 პასი), ბილაპსი (12+6 პასი).

ი: ჰენსბრო (27+10 მოხსნა), ჯორჯი (17), ჰიბერტი (12+6 მოხსნა), დანლივი (10).

ამბები

## დიად ლენს დაბრუნება უნდა

73 წლის ლეგენდარულმა მწვრთნელმა **ლენი უილკენსმა**, რომელსაც სამწვრთნელო კარიერაში 1332 მატჩი აქვს მოგებული, ჟურნალისტებს გაანდო, რომ არ გამორიცხავს ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში მუშაობის განახლებას.

*„თხოვნით არავის შევაწუხებ, მაგრამ თუ შესაბამისი წინადადებით მომმართავენ, მას სიამოვნებით განვიხილავ, - განაცხადა გამოცდილმა სპეციალისტმა. - ერთი წლის წინ რამდენიმე გუნდს სურდა ჩემი მთავარ მწვრთნელად ხილვა, მაგრამ მცირე ხელფასს მპირდებოდნენ. ჩემი კარიერა თავად მეტყველებს ყველაფერზე, ამიტომაც ნებისმიერ სამსახურს არ დავთანხმდები".*

## ლეიკერსი ცენტრს იბრუნებს

კარგი ამბავი გავრცელდა NBA-ის მოქმედი ჩემპიონის - „ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ბანაკიდან. ამ გუნდის სარეზერვო ცენტრი **ტეო რატლიფი**, რომელმაც გასული წლის ნოემბერში მარცხენა მუხლზე ოპერაცია გადაიტანა, გამოჯანმრთელდა და სავარჯიშო პროცესი განაახლა. 37 წლის კალათბურთელმა მიმდინარე სეზონში რვა მატჩის გამართვა მოასწრო და საშუალოდ 0.3 ქულა, 1.6 მოხსნა და 0.6 დაფარება დააგროვა.

*„რატლიფის გუნდში ყოფნა აუცილებელია. ამ შემთხვევაში ახალგაზრდა დერიკ კარატერს D-ლიგაში გავუშვებთ სათამაშო პრაქტიკის მისაღებად"*, - განაცხადა „ლეიკერსის" მთავარმა მწვრთნელმა **ფილ ჯექსონმა**.

ჩემპიონი პრინციპულ მეტოქესთან - „ბოსტონ სელტიქსთან" შესახვედრად ემზადება. ეს მატჩი კვირას, 30 იანვარს გაიმართება.

## პეჯას ბოსტონმაც დაუმიზნა

სრული გაურკვევლობაა „ტორონტო რეპტორზის" სერბი ფორვარდის **პეჯა სტოიაკოვიჩის** ტრანსფერთან დაკავშირებით. ამ კალათბურთელმა დატოვა კანადური კლუბის რიგები და თითქმის გარკვეული იყო მისი „დალასში" ჩარიცხვის საკითხი, მაგრამ ეს ტრანსფერი შეფერხდა და ახლა, სტოიაკოვიჩზე სხვა გუნდებმაც განაცხადეს პრეტენზია, კერძოდ, „ბოსტონს" აქვს ჩაფიქრებული სერბის დამატება.

კიდევ ერთი სიახლე, რომელიც „სელტიქსს" უკავშირდება, გაზეთმა Boston Globe-მა გაავრცელა. მისი ინფორმაციით, „ბოსტონს" ამ სეზონში შეიძლება დაუბრუნდეს ფორვარდი **რაშიდ უოლასი**, რომელმაც შარშანდელ სეზონში დაასრულა კარიერა. ვეტერანი პლეი ოფის მატჩებში აპირებს თავისი ყოფილი გუნდისთვის დახმარებას.

უოლასი შარშან საშუალოდ 9.0 ქულას აგროვებდა. მან კალათბურთიდან წასვლა დაღლილობითა და უამრავი მიკროტრავმის გამო გადაწყვიტა.

## რუბიო არ ჩქარობს

ესპანელი ვუნდერკინდი **რიკი რუბიო** არ ჩქარობს ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში გადაბარგებას. როგორც მოგეხსენებათ, „ბარსელონას" მცველზე უფლებები „მინესოტა ტიმბერვულვზს" ეკუთვნის, თუმცა ახალი კოლექტიური ხელშეკრულება NBA-ის ახალბედებს კარგს არაფერს უქადის, თანაც რიკი ევროპაში თავს ძალიან კომფორტულად გრძნობს.

*„ის აგრძელებს მოლაპარაკებებს და დელიკატური ფორმით ეუბნება უარს „მინესოტას" კონტრაქტზე. ჩვენთვის რუბიო სერიოზული ძალა იქნებოდა და ამიტომაც ვაგრძელებთ ამ მიმართულებით მუშაობას. სავარაუდოდ, ის კიდევ ერთი წელი დარჩება ევროპაში და შემდეგ გაარკვევს სამომავლო გეგმებს"*, - ამბობს „მინესოტას" წარმომადგენელი.

თავად რიკიმ უარი თქვა კომენტარზე. მან განაცხადა, რომ არ აპირებს NBA-ში გადასვლას, ამიტომაც დღეს ამ თემაზე ლაპარაკი არ სურს.

ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა

# სამი აღმოჩენა

როგორც უნდა დაასრულოს ავსტრალიის ღია პირველობა უკრაინელმა **ალექსანდრ დოლგოპოლოვმა**, ის უკვე თამამად შეიძლება მოინათლოს წლევანდელი ტურნირის მთავარ აღმოჩენად და სენსაციად. მან ჯერ კიდევ 1/16 ფინალში შემოგვთავაზა სიურპრიზი, როცა ბრძოლას გამოთიშა ფრანგი **ჟო-ვილფრიდ ცონგა**. თუმცა ეს შედეგი ფრანგის ცუდ ფორმას დაჰბრალდა, მით უმეტეს, რომ მეოთხე და მეხუთე სეტებში ცონგა პრაქტიკულად ერთ ადგილზე იდგა და წინააღმდეგობას აღარ უწევდა მეტოქეს. ამიტომაც ყველა დარწმუნებული იყო, რომ „თავხედ" უკრაინელს მერვედფინალში შვედი **რობინ სიოდერლინგი** დასჯიდა და მეოთხედფინალში **ენდი მიურეის** სწორედ ის შეხვდებოდა.

სანამ გუშინდელ სენსაციაზე ვილაპარაკებთ, ცოტა რამ 22 წლის უკრაინელის შესახებ. ჯერ კიდევ ერთი წლის წინ მასზე არაფერს წერდნენ - მეორე ასეულის ნაკლებად ცნობილი ჩოგბურთელი იყო და ძირითადად, „ჩელენჯერებზე" თამაშობდა. ამ ტურნირებზე ბრწყინვალე შედეგების წყალობით დოლგოპოლოვი საუკეთესო ასეულში შევიდა და როლან გაროსზე ძირითად ბადეში ჰქონდა დებიუტი, სადაც მესამე წრემდე მიაღწია და რაც მთავარია, გზად ცნობილი ჩილელი **ფერნანდო გონსალესი** დაამარცხა. ამას მოჰყვა დიდი ბრძოლა ცონგას წინააღმდეგ უიმბლდონზე - 10:8 გადამწყვეტ სეტში ფრანგის სასარგებლოდ. წლის ბოლოს კი **მიხაელ იუჟნის, ნიკოლას ალმაგროსა** და **მარკოს ბაღდატისის** დონის მოთამაშეების დამარცხებით ATP-ის საუკეთესო ორმოცდაათეულში შეაღწია.

სხვათა შორის, უკრიანელი 2007 წლიდან მოყოლებული მელბურნში სათამაშოდ რეგულარულად ჩადიოდა, მაგრამ კვალიფიკაციაში აგებდა. ასე რომ, ძირითად ბადეში დებიუტი წელს ჰქონდა და დოლგოპოლოვმა პირველივე ცდაზე მეოთხედფინალში გააღწია. რა თქმა უნდა, რობინ სიოდერლინგმა ვერ აჩვენა თავისი საუკეთესო თამაში და ხშირად სულელურ შეცდომა უშვებდა, მაგრამ ეს იმით აიხსნება, რომ შვედმა ალღო ვერ აუღო უკრაინელის თავისებურ სტილს. ალექსანდრს შეუძლია ბურთს მოულოდნელი აჩქარება და მიმართულება მისცეს, კარგად მოჭრას ბურთი, განსაკუთრებით ბექჰენდის დროს.

რობინმა მოიგო პირველი სეტი, მეორეში კი ბრეიკით დაწინაურდა, მაგრამ შემდეგ ველარ უმკლავდებოდა მეტოქეს. მეორე და მესამე პარტიებში უკრაინელი დომინირებდა, მეოთხეში ტემპს უკლო და სიოდერლინგმა ანგარიში გაათანაბრა, მაგრამ ბოლო სეტში დოლგოპოლოვის უპირატესობა ეჭვს არ იწვევდა - 6:2. საინტერესოა, რომ ხუთსეტიანი მატჩი მხოლოდ 2 საათსა და 35 წუთს გრძელდებოდა, თუმცა ცონგას 3:2 დამარცხებას უკრაინელმა უფრო ნაკლები დრო მოანდომა.

ახლა მეოთხედფინალში დოლგოპოლოვს ბრიტანელ **ენდი მიურეისთან** მოუწევს გამოცდის ჩატარება. მსოფლიოს მეხუთე ჩოგანი ჯერჯერობით ყველაზე იოლად მიიწევს წინ და ყოველ მატჩში 7 გეიმზე მეტს არ აგებს. თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ ყველაზე სერიოზული მეტოქე ავსტრიელი **იურგენ მელცერი** ჰყავდა.

ბოლო მეოთხედფინალური წყვილი შეადგინეს ესპანელებმა - **დავიდ ფერერმა** და **რაფაელ ნადალმა**. მსოფლიოს პირველი ჩოგანი არც ისე უნაკლოდ გამოიყურებოდა, მაგრამ სამი სეტი იკმარა **მარინ ჩილიჩის** დასამარცხებლად. ხორვატი შეტევების დასრულების მხრივ მოიკოჭლებდა და ამიტომაც შანსი არ ჰქონდა რაფას წინააღმდეგ.

ფერერმა პირველი სეტი წააგო ტურნირის კიდევ ერთ აღმოჩენასთან, კანადელ **მილოშ რაონიჩთან**, არადა, ესპანელმა ამ პარტიაში მხოლოდ ერთი უნებლიე შეცდომა დაუშვა! რაონიჩს მომდევნო სეტებშიც კარგი კომბინაციები გამოსდიოდა, მაგრამ შეცდომებსაც უმატა, ფერერმა კი ინიციატივა მოიპოვა და ოთხ სეტში მოამთავრა საქმე. დავიდი სტაბილური იყო - მხოლოდ 10 უნებლიე შეცდომა დაუგროვდა.

■ ■ ■

ერთადერთი რუსი ჩოგბურთელი შემორჩა ქალთა ბადეს. ეს გახლავთ მსოფლიოს მეორე ნომერი **ვერა ზვონარევა**, რომელიც იოლად მიიწევს წინ, მაგრამ ჯერ სერიოზულ მეტოქესთან საქმე არ ჰქონია. რუსმა ჩეხი **ივეტა ბენეშოვა** დაამარცხა, მეოთხედფინალში კი კიდევ ერთი ჩეხი **პეტრა კვიტოვა** ელის, რომელიც ქალებს შორის უნდა მივიჩნიოთ ავსტრალიის ღიას აღმოჩენად. მან სამ სეტში დაამარცხა იტალიელი **ფლავია პენეტა**. ზვონარევას კვიტოვას წინააღმდეგ არაფერი აქვს გარანტირებული - პეტრამ ამ სეზონში ცხრა თამაში ჩაატარა და ყველა მოიგო! ავსტრალიის ღიამდე მან ბრისბენის ტურნირზე გაიმარჯვა - იქ **პეტროვა, ციბულკოვა, პავლიუჩენკოვა** და ფინალში **პეტკოვიჩი** (ავსტრალიის ღია კიდევ ერთი მეოთხედფინალისტი) დაამარცხა, აქ კი მეოთხედფინალამდე ორ სეტში მოუგო **სამანტა სტოსურს**.

არ გაუმართლა მეორე რუსს **ეკატერინა მაკაროვას** - მას მეტოქედ ტურნირის მთავარი ფავორიტი **კიმ კლაისტერსი** ჰყავდა. პირველ წრეში **ანა ივანოვიჩის** მძლეველ მაკაროვას სასახელოდ უნდა ითქვას, რომ პირველ სეტში მან დიდი წინააღმდეგობა გაუწია ბელგიელს და საქმე ტაი-ბრეიკამდე მიიყვანა. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კიმი ვალდებული იყო უფრო ადრე დაესრულებინა პირველი სეტი, რადგან მაკაროვას მუდმივად ბრეიკ-პოინტების მოგერიება უწევდა. ტაი-ბრეიკზე კი ბელგიელის კლასმა თავისი გაიტანა და ამის შემდეგ ბრძოლა აღარ ყოფილა. მეორე სეტის ანგარიშია 6:2 კლაისტერსის სასარგებლოდ.

კიმს მეოთხედფინალში **აგნიეშკა რადვანსკა** ელის. პოლონელი ახლოს იყო წაგებასთან პირველ წრეში, როცა მისი მეტოქე **კიმიკო დატე** მატჩზე აწვდიდა. მაგრამ აგნიეშკა გადარჩა და ახლა უკვე მეოთხედფინალშია. თანაც ამ ეტაპზე ისე გავიდა, რომ გზად არც ერთი განთესილი არ დაუმარცხებია. მისმა გუშინდელმა მეტოქემ **შუაი პენგმა** ბრძოლას **ელენა იანკოვიჩი** გამოთიშა და რადვანსკასაც ბოლომდე ებრძოლა. მატჩი თითქმის სამი საათი გაგრძელდა, გადამწყვეტ სეტში კი ჩინელი 5:3-ს იგებდა და საკუთარ მოწოდებაზე მატჩბოლიც ჰქონდა, მაგრამ საბოლოოდ ზედიზედ ოთხი გეიმი წააგო. სხვათა შორის, რადვანსკა მეორე ქალი ჩოგბურთელია **ფრანჩესკა სკიავონეს** შემდეგ, ვინც მატჩბოლიდან გადაარჩინა შეხვედრა.

### კაცები

#### 1/8 ფინალი

**რაფაელ ნადალი (ესპ, 1)**-მარინ ჩილიჩი (ხორ, 15) 6:2, 6:4, 6:3; **დავიდ ფერერი (ესპ, 7)**-მილოშ რაონიჩი (კან) 4:6, 6:2, 6:3, 6:4; **ალექსანდრ დოლგოპოლოვი (უკრ)**-რობინ სიოდერლინგი (შვედ, 4) 1:6, 6:3, 6:1, 4:6, 6:2; **ენდი მიურეი (ბრიტ, 5)**-იურგენ მელცერი (ავსტრია, 11) 6:3, 6:1, 6:1.

#### 1/4 ფინალი

რაფაელ ნადალი (ესპ, 1)-დავიდ ფერერი (ესპ, 7); ალექსანდრ დოლგოპოლოვი (უკრ)-ენდი მიურეი (ბრიტ, 5); ტომაშ ბერდიხი (ჩეხ, 6)-ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 3); სტანისლას ვავრინკა (შვეიც, 19)-როჯერ ფედერერი (შვეიც, 2).

### ქალები

#### 1/8 ფინალი

**აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 12)**-შუაი პენგი (ჩინ) 7:5, 3:6, 7:5; **კიმ კლაისტერსი (ბელ, 3)**-ეკატერნა მაკაროვა (რუს) 7:6(3), 6:2; **პეტრა კვიტოვა (ჩეხ, 25)**-ფლავია პენეტა (იტა, 22) 3:6, 6:3, 6:3; **ვერა ზვონარევა (რუს, 2)**-ივეტა ბენეშოვა (ჩეხ) 6:4, 6:1.

#### 1/4 ფინალი

კაროლინ ვოზნიაცკი (დან, 1)-ფრანჩესკა სკიავონე (იტა, 6); ანდრეა პეტკოვიჩი (გერ, 30)-ნა ლი (ჩინ, 9); აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 12)-კიმ კლაისტერსი (ბელ, 3); პეტრა კვიტოვა (ჩეხ, 25)-ვერა ზვონარევა (რუს, 2).

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



დოლგოპოლოვი მოგების შემდეგ

## ფორმულა 1



რედ ბული პირველ თებერვალს იწყებს

# ცირკის ახალი ამბები

შარშანდელი სეზონის ტრიუმფატორი გუნდის - „რედ ბულის“ წარმომადგენელმა ჟურნალისტებს ახალი ბოლიდის - RB7-ის პრეზენტაციის თარიღი გაუმხილეს. მანქანას პირველ თებერვალს ვალენსიაში, **რიკარდო ტორმოს** სახელობის ავტოდრომზე წარადგენენ და იქვე დაიწყებს გუნდი წინასასეზონო ტესტებს. ღონისძიება ყოველგვარი პომპეზურობის გარეშე ჩაივლის. ავსტრიული საჯინიბოს პილოტები - **სებასტიან ფეტელი** და **მარკ უებერი** უბრალოდ შალითას გადახდიან მანქანას, რის შემდეგაც გაიმართება მოკლე ფოტოსესია. ამის შემდეგ ბოლიდს ტრასაზე გაუშვებენ.

ასევე პირველ თებერვალს წარადგენენ საკუთარ მანქანებს - „მერსედესი“, „უილიამსი“, „ტორო როსო“ და „ლოტუსი“, ერთი დღით ადრე კი გაიმართება „ლოტუს რენოსა“ და „ზაუბერის“ პრეზენტაციები. ყველაზე ადრე თავის ახალ მანქანას „ფერარი“ გაგვაცნობს - ეს 28 იანვარს მარანელოში მოხდება.

■ ■ ■

იტალიის დედაქალაქმა რომმა საბოლოოდ თქვა უარი ქალაქის ცენტრში ფორმულა 1-ის ეტაპის გამართვაზე. ამის შესახებ რომის მერმა **ჯანი ალემანომ** გამოაცხადა. როგორც აღმოჩნდა, რომაელთა გეგმებს ხაზი გადაუსვა **ბერნი ექლსტოუნის** წერილმა. ფორმულა 1-ის ფაქტობრივმა მფლობელმა დაწერა, რომ იტალიაში მხოლოდ ერთი ეტაპი გაიმართებოდა, ამიტომაც რომას მერიამ გადაწყვიტა უარი ეთქვა ლეგენდარულ მონცასთან ბრძოლაზე...

*„ფორმალურად უარი ვთქვით რომის გრან-პრის ჩატარებაზე,* - ამბობს **ჯანი ალემანო** იტალიურ გაზეთ „ლა სტამპასთან“ ინტერვიუში. - *ყოველთვის ვამბობდით, რომ თუ ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაცია ჩვენსა და მონცას შორის არჩევანის გაკეთებას გადაწყვეტდა, ბრძოლას ჩამოვშორდებოდით. ახლა ჩვენს ძალისხმევას 2020 წელს რომში ოლიმპიადის ჩატარებას მივუძღვნით“.*

სხვათა შორის, ეს იყო რომის ქუჩებში ფორმულა 1-ის ეტაპის ჩატარების მეორე მცდელობა, რომელიც ისევ წარუმატებლად დასრულდა. პირველი პროექტი 1985 წლით თარიღდება და ის რბოლა წინასწარ კალენდარშიც კი იყო შეტანილი, მაგრამ „მწვანეების“ პროტესტის გამო რომის მთავრობას განაცხადის უკან გატანამ მოუწია. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ 1954 წელს რომის ქუჩის ტრასაზე ფორმულა 1-ის გრან-პრი ჩატარდა, რომელიც არ შედიოდა მსოფლიოს ჩემპიონატის ჩათვლაში.

■ ■ ■

საფრთხე დაემუქრა ავსტრალიის გრან-პრის ჩატარებას. ამ ეტაპის გამართვაზე თავად მელბურნის მერი **რობერტ დოილი** ამბობს უარს, რადგან მიაჩნია, რომ რბოლა „ალბერტ-პარკზე“ ყოველ წელს მძიმე ტვირთად აწვება ქალაქის ბიუჯეტს.

მოქმედი კონტრაქტი ფედერაციასთან 2015 წლის ბოლომდეა გაფორმებული, ამის შემდეგ კი ჩემპიონატის კალენდრიდან, შესაძლოა, ავსტრალიის რბოლა გაქრეს. დოილის ვარაუდით, მალე ფინანსური დანაკარგი 70 მილიონ დოლარს მიაღწევს და რბოლა არ შეიძლება ჩაითვალოს ეკონომიკურად გამართლებულ პროექტად.

დოილის აზრით, უახლოეს წლებში არსებობს მოვლენათა განვითარების ოთხი ვარიანტი: ფორმულა 1-ის კომერციული ბოსი ბერნი ექლსტოუნი ხაზს გადაუსვამს ავსტრალიის გრან-პრის და ეტაპს სხვა ქვეყანას მისცემს; ექლსტოუნი მოითხოვს ღამის რბოლის ჩატარებას და ამისთვის ეტაპს „ალბერტ-პარკიდან“ ავსტრალიის სხვა რაიონში სპეციალურად აშენებულ ავტოდრომზე გაიტანს; მელბურნის ტრასას მოდერნიზაცია შეეხება და ის გააგრძელებს მსოფლიოს ჩემპიონატის ეტაპის მიღებას; დაბოლოს, მელბურნის მთავრობა უარს იტყვის ავსტრალიის გრან-პრიზე. დოილი მიიჩნევს, რომ ბოლო ვარიანტი ყველაზე გამართლებული იქნება.

■ ■ ■

ბრიტანული ყოველკვირეულის Autosport-ის ახალი ნომერი იტყობინება, რომ „ფერარიმ“ გაახანგრძლივა სასპონსორო ხელშეკრულება თამბაქოს მწარმოებელ კომპანია Marlboro-სთან. ოფიციალურად ამის შესახებ ახალი მანქანის პრეზენტაციისას გამოაცხადებენ, რომელიც 28 იანვარს მარანელოში გაიმართება. ახალი კონტრაქტი 2014 წლის ბოლომდე იქნება ძალაში.

ეტაპების მასპინძელ უმეტეს ქვეყანაში თამბაქოს რეკლამა აკრძალულია, ხოლო გასულ წელს Marlboro იძულებული იყო უარი ეთქვა „ფერარის“ ბოლიდზე შტრიხ-კოდების გამოყენებაზე. მიუხედავად ამისა, „სკუდერიას“ ფერები მაინც ამ კომპანიასთან ასოცირდება. ამასთან, არაოფიციალური ინფორმაციით Marlboro იტალიურ გუნდს ყოველწლიურად 150 მილიონ ევროს უხდის. სანაცვლოდ, ბევრი პრივილეგიით სარგებლობს - შეუძლია თავისი სტუმრები დაპატიჟოს გუნდის ბაზაზე ან გრან-პრის დროს ბოქსებში, აგრეთვე უფლება აქვს „სკუდერიას“ ბრენდი თავის სარეკლამო კამპანიაში გამოიყენოს.

*„ჩვენი ურთიერთობების განვითარებაში ვერანაირ ბარიერს ვერ ვხედავ,* - განაცხადა „მარლბოროს“ მფლობელმა კომპანია Philip Morris International-ის წარმამოდგენელმა. - *ჩვენი პარტნიორული თანამშრომლობა უკვე 20 წელს ითვლის, ერთმანეთს ყოველთვის გვერდით ვედექით წარმატების მომენტებსა და მარცხის დროს“.*

■ ■ ■

ფორმულა 1-ის ყოფილი პილოტი, ფინელი **იურკი იარვილეჰტო** არაგანზრახ მკვლელობისთვის სასამართლოს წინაშე წარდგება.

გასულ წელს იარვილეჰტო არაფხიზელ მდგომარეობაში მართავდა კატერს და ავარია მოახდინა - მდინარეზე გადებულ ხიდს შეეჯახა. ამის გამო ყოფილი პილოტის მეგობარი დაიღუპა. გარდა ამისა, იარვილეჰტო სიჩქარის გადაჭარბებისთვისაც დაისჯება - კატერი საათში 40 კილომეტრი სიჩქარით მოძრაობდა ზონაში, სადაც სისწრაფე 5 კმ/სთ-მდეა შეზღუდული.

იურკი იარვილეჰტო ფორმულა 1-ში 1989-94 წლებში გამოდიოდა.

## ჰოკეი

# პინგვინების გარეშე

თითქმის გადაწყვეტილია, რომ „პიტსბურგ პინგვინზის“ ორი ლიდერი - **სიდნი კროსბი** და **ევგენი მალკინი** გამოტოვებენ „ყველა ვარსკვლავის მატჩს“, რომელიც 30 იანვარს გაიმართება. ამერიკული პრესის ინფორმაციით, კროსბი ვერ მოასწრებს ტვინის შერყევის შემდეგ ფიზიკური ფორმის აღდგენას, მალკინს კი მუხლის ტრავმა აწუხებს. ამ ორ ჰოკეისტთან დაკავშირებით ოფიციალურ განცხადებას „პიტსბურგი“ უახლოეს დღეებში გაავრცელებს.

კროსბიმ წლის დასაწყისში მიღებული ტვინის შერყევის გამო უკვე რვა მატჩი გამოტოვა. ცნობილი გახდა, რომ „პიტსბურგის“ კაპიტანი თავს გაცილებით კარგად გრძნობს და მალე შეუდგება ფიზიკურ დატვირთვებს. სხვათა შორის, თითქმის ერთთვიანმა პაუზამ სიდნის რეგულარული ჩემპიონატის ბომბარდირთა დავაში პირველი ადგილი დააკარგვინა. გუშინ კროსბის „ტამპა ბეის“ ფორვარდმა **სტივენ სტემკოსმა** გაუსწრო.

რაც შეეხება მალკინს, მან მუხლის მცირე დაზიანების გამო უკვე ორი მატჩი გამოტოვა, თუმცა არის იმის შანსი, რომ რუსი ფორვარდი „ოლ სტარის“ უიკ-ენდზე რომელიმე კონკურსში მიიღებს მონაწილეობას.


ლიდერი პინგვინები

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ამხანაგური მატჩები** | |
| კოპენჰაგენი-ვეილე | 5:0 |
| სტიაუა-კაპფენბერგი | 1:1 |
| **Under 17** | |
| რუსეთი-მოლდოვა | 5:0 |
| ფინეთი-ბელგია | 1:1 |
| სერბეთი-უკრაინა | 3:1 |
| ბელარუსი-ლიტვა | 1:1 |
| **ინგლისი** | |
| ბოლტონი-ჩელსი | 0:4 |
| **იტალია** | |
| **სერია B** | |
| ტრიესტინა-ნოვარა | 1:1 |
| **სერია C1/B** | |
| პიზა-ტერნანა | 1:0 |
| **ესპანეთი** | |
| ბილბაო-ერკულესი | 3:0 |
| **გერმანია** | |
| **II ბუნდესლიგა** | |
| ბოხუმი-აუე | 2:0 |
| **ჰოლანდია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ფორტუნა-ალმერი | 1:0 |
| ვეენდამი-ვოლენდამი | 0:0 |
| იგლზი-ტელსტარი | 1:2 |
| სპარტა-აპელდოორნი | 3:3 |
| ეინდჰოვენი-როსენდალი | 1:0 |
| კამბური-ჰელმონდი | 1:2 |
| **პორტუგალია** | |
| მარიტიმუ-სპორტინგი | 0:3 |
| **II დივიზიონი** | |
| პენაფიელი-მორეირენსე | 1:1 |
| ავეში-კოვილია | 2:0 |
| **საბერძნეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ეთნიკოსი-კალითეა | 1:1 |
| ტრასივულოსი-დიაგორასი | 0:2 |
| **თურქეთი** | |
| ქაისერი-ბუიუქსეჰირი | 3:2 |
| **II დივიზიონი** | |
| ალთაი-თავსანლი | 1:2 |
| **ისრაელი** | |
| ჰაპოელი (ი)-ჰაპოელი (თ-ა) | 1:1 |
| **კალათბურთი** | |
| **ისრაელი** | |
| მაკაბი (ა)-ბნეი ჰაშარონი | 78:81 |
| **ხელბურთი** | |
| **მს. ჩემპიონატი** | |
| **კაცები** | |
| ესპანეთი-ისლანდია | 32:24 |
| ალჟირი-იაპონია | 29:24 |
| გერმანია-უნგრეთი | 25:27 |
| ეგვიპტე-ს. კორეა | 23:26 |
| ნორვეგია-საფრანგეთი | 26:31 |
| **ჰოკეი** | |
| **კჰლ** | |
| ვიტიაზი-დინამო (მნ) | 4:3 (ო) |
| ცსკა-დინამო (რ) | 5:4 (ბ) |
| **შვედეთი** | |
| ფრიოლუნდა-იურგორდენი | 4:2 |

## TV პროგრამა

**25 იანვარი. სამშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**23:30** ინგლისის ჩემპიონატი. ბლეკპული-მანჩესტერ იუნ (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

**23:40** ინგლისის ლიგის თასი. 1/2 ფინალი. არსენალი-იფსვიჩი. საპასუხო მატჩი (LIVE).

**НТВ-პლუსი (სპორტი)**

**20:40** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. კაცები. სლალომი. I ცდა. შლადმინგი. ავსტრია (LIVE).
**23:40** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. კაცები. სლალომი. II ცდა. შლადმინგი. ავსტრია (LIVE).
**04:30** ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტამპა ბეი-ტორონტო (LIVE).

**НТВ-პლუსი (ონლაინი)**

**21:10** ხელბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები. II ჯგუფური ეტაპი. ხორვატია-პოლონეთი. შვედეთი (LIVE).
**23:10** ხელბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები. II ჯგუფური ეტაპი. დანია-შვედეთი. შვედეთი (LIVE).

**НТВ-პლუსი (კლასიკა)**

**23:10** ხელბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები. II ჯგუფური ეტაპი. საფრანგეთი-ისლანდია. შვედეთი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ჩოგბურთი)**

**12:25** ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. IX დღე. მელბურნი (LIVE).
**03:55** ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. X დღე. მელბურნი (LIVE).

**НТВ-პლუსი (კალათბურთი)**

**04:30** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ბოსტონი-კლივლენდი (LIVE).

**SPORT+**

**23:40** ფეხბურთი. ინგლისის ლიგის თასი. 1/2 ფინალი. არსენალი-იფსვიჩი. საპასუხო მატჩი (LIVE).

**EUROSPORT**

**12:30** ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. IX დღე. მელბურნი (LIVE).
**17:15** ფეხბურთი. აზიის თასი. 1/2 ფინალი. იაპონია-ს. კორეა. კატარი (LIVE).
**20:45** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. კაცები. სლალომი. I ცდა. შლადმინგი. ავსტრია (LIVE).
**23:45** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. კაცები. სლალომი. II ცდა. შლადმინგი. ავსტრია (LIVE).
**04:00** ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. X დღე. მელბურნი (LIVE).
**06:00** ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. X დღე. მელბურნი (LIVE).

**EUROSPORT-2**

**10:45** ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. IX დღე. მელბურნი (LIVE).
**20:30** ფეხბურთი. აზიის თასი. 1/2 ფინალი. ავსტრალია-უზბეკეთი. კატარი (LIVE).
**22:30** კალათბურთი. ევროთასი. მეორე ჯგუფური ეტაპი. II ტური (LIVE).

## ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

**ნიუ ჯერსი-ფლორიდა 5:2**

2:0, 2:1, 1:1

**გოლები:** 1:0 კოვალჩუკი-14 (ე. გრინი-15, ზაიაცი-19), 2:0 არნოტი-11 (მეირი-1, ფეინი-3), 2:1 მატიასი-6 (სტილმანი-12, ბერნიე-7), 3:1 როლსტონი-5 (კოვალჩუკი-14, კლარკსონი-4), 4:1 ელიაში-13 (როლსტონი-10, კოვალჩუკი-15), 4:2 რისონერი-10 (დვორაკი-10, სტილმანი-13), 5:2 არნოტი-12 (პელეი-4, ტალინდერი-6).

**ჩიკაგო-ფილადელფია 1:4**

0:0, 0:1, 1:3

**გოლები:** 0:1 ჯ. კარტერი-21 (ჟირუ-25, ჟერდიოვი-4), 0:2 ჟერდიოვი-15 (ჟირუ-26), 0:3 ჯ. კარტერი-22 (ჟირუ-27), 1:3 მარიან ჰოსა-11 (ბულიტი), 1:4 ჰარტნელი-17 (ჯ. კარტერი-21, ჟირუ-28).

**ტამპა ბეი-ატლანტა 7:1**

0:0, 5:0, 2:1

**გოლები:** 1:0 ტომპსონი-7, 2:0 ტირელი-5 (მური-9, კუბინა-16), 3:0 სტემკოსი-38 (სენტ ლუისი-40, ლუნდინი-9), 4:0 სენტ ლუისი-20 (დაუნი-17), 5:0 საიმონ განიე-7 (ლეკავალიე-14, პურსელი-19), 6:0 კუბინა-3 (პურსელი-20), 7:0 საიმონ განიე-8 (ლეკავალიე-15, პურსელი-21), 7:1 პევერლი-13 (ბერგფორსი-17).

**ედმონტონი-ნეშვილი 2:3 (ბ)**

0:1, 0:0, 2:1, 0:0

**გოლები:** 0:1 შულცერი-1 (ს. კოსტიცინი-13, ფრენსონი-12), 1:1 კოლიანო-7 (რედო-5, პეკჰემი-6), 1:2 ჯ. უორდი-6 (შულცერი-2, ფრენსონი-13), 2:2 ჰოლი-15 (პენერი-16, ვენდერმეერი-5).

**აილენდერსი-ბაფალო 3:5**

0:1, 2:1, 1:3

**გოლები:** 0:1 გოსტადი-5 (რ. ნიდერმაიერი-9, გრირი-9), 1:1 მოულსონი-16 (ტავარესი-17), 1:2 ენისი-12 (ჰეხტი-12, პომინვილი-16), 2:2 მოულსონი-17 (პარენტო-18, ტავარესი-18), 2:3 გერბე-6 (ენისი-15, მიერსი-14), 2:4 მიერსი-6 (გერბე-8, ბირონი-1), 3:4 ჰილენი-3 (გრაბნერი-5, ნილსენი-15), 3:5 პომინვილი-11 (მონტადორი-11, ლეოპოლდი-17).

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი და ნარკოტიკი

# ბოსტონური ტრაგედიები

მსოფლიოში ყოველწლიურად ასიათასობით ადამიანი იღუპება ნარკოტიკების მოხმარების გამო. საერთოდ, ნარკოტიკი რთული საკითხია - ის ერთ ადამიანს მკვლელად აქცევს, მეორეს - მსხვერპლად. ამერიკაში არსებობს ნარკომოვაჭრეებთან ბრძოლის ძალიან მკაცრი მეთოდები და ასევე მკაცრად იბრძვიან ადამიანების ამ სენისგან განკურნებისთვის. მაგალითად, ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში ნახევარ წელიწადში ერთხელ ტარდება აუცილებელი შემოწმება მოთამაშეთა ორგანიზმში აკრძალული პრეპარატის არსებობაზე. მიუხედავად ამისა, გარკვეული პერიოდულობით მსოფლიოს საუკეთესო ლიგის კალათბურთელებს მარიხუანასა და სხვა ნარკოტიკს უპოვიან ხოლმე: ხან **ზაკ რენდოლფი** გაეხვევა სკანდალში, ხან **მარიო ჩელმერსი** და **დარელ არტური** მოწევენ მარიხუანას და ისე გაბულავენ სასტუმროს ნომერს, რომ ხანძარსაწინააღმდეგო სიგნალიზაცია ირთვება, ან **მაიკლ ბიზლი** გვიჩვენებს თავის ახალ ტატუს, მაგრამ ავიწყდება მაგიდიდან მარიხუანის აღება... ნებისმიერ შემთხვევაში, ასეთი ინციდენტები სწრაფად გვარდება: კალათბურთელს ერთი-ორი კვირა იძულებით კურსს დაუნიშნავენ და აიძულებენ საჯაროდ გამოცხადოს, რომ უარი თქვა მავნე ჩვევაზე.

■ ■ ■

გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს ასეთი მკაცრი კონტროლი არ არსებობდა და ნარკოტიკების გამო „ბოსტონ სელტიქსმა“ ორი კალათბურთელი დაკარგა, რომლებიც **ლარი ბერდის**, **ბილ რასელის** ან **პოლ პირსის** მსგავსად გუნდის სიმბოლოები უნდა გამხდარიყვნენ. ლაპარაკია **რეჯი ლუისსა** და **ლენ ბაიასზე**.


ლენ ბაიასი - სიკვდილამდე ორი დღით ადრე გადაღებული ფოტო

სავსებით შესაძლებელია, რომ NBA-ის ისტორიაში ნარკოტიკების ყველაზე მნიშვნელოვანი მსხვერპლი გახდა **ლენ ბაიასი**. ამერიკის შეერთებულ შტატებში ანალიტიკოსები ამბობენ, რომ ის ყველა დროის საუკეთესო კალათბურთელია მათგან, ვისაც არასოდეს უთამაშია პროფესიულ დონეზე. მისმა ბავშვობამ და ჭაბუკობამ მერილენდში ჩაიარა: ამ შტატში ერჩივნათ მისთვის მიებაძათ და არა მაიკლ ჯორდანისთვის. სანამ მათ ერთდროულად არ იხილავდნენ მოედანზე, შეუძლებელი ჩანდა იმის გარკვევა, ვინ უკეთესი იყო - მაიკლი თუ ლენი. ასევე ადარებდნენ ერთმანეთს ბაიასსა და **მეჯიქ ჯონსონს**: 203 სანტიმეტრი და გამთამაშებლის პოზიციაზე თამაშის უნარი, დაუჯერებელი ათლეტიზმი, მოედნის ხედვა... მოედანზე ის ნამდვილი მხეცივით იყო, მაგრამ მოედნის მიღმა ვერ იპოვიდით მასზე კეთილ ადამიანს. ცხვირი მაღლა არასოდეს აუწევია, არ კამათობდა მწვრთნელთან და პარტნიორებთან - ყველა ამბობდა, რომ ამერიკულ კალათბურთში ახალი ვარსკვლავი იზრდებოდა.

1986 წლის 17 ივნისს, ნიუ-იორკში „სელტიქსის“ პრეზიდენტმა და გენერალურმა მენეჯერმა **რედ აუერბახმა დერალდ ჰენდერსონისა** და გარკვეული თანხის სანაცვლოდ „სიეტლიდან“ დრაფტის მეორე ნომრის არჩევანი შეიძინა. ასე ჩაიგდო ხელში ყველაზე ტიტულოვანმა კლუბმა ეს უნიჭიერესი კალათბურთელი. დრაფტის შემდეგ ლენი ოჯახთან ერთად მერილენდში დაბრუნდა. მომდევნო დღეს კალათბურთელი ბოსტონში გაემგზავრა და „სელტიქსთან“ კონტრაქტს მოაწერა ხელი. იმავე დღეს გაფორმდა სამმილიონიანი ხელშეკრულება კომპანია „რიბოკთან“.

ვაშინგტონში ბაიასი გვიან საღამოს დაბრუნდა და კოლეჯის მეგობრებთან ერთად „საშიში“ რაიონებისკენ გასწია - ნარკოტიკების შესაძენად და NBA-ში მოხვედრის „სათანადოდ“ აღსანიშნავად. ამის შემდეგ საერთო საცხოვრებლისკენ დაიძრა, რომელიც ოთხი წელი მისი მშობლიური სახლი იყო. ღამით, უახლოეს მაღაზიაში ალკოჰოლის შეძენისას, მაღაზიის მეპატრონეს ავტოგრაფი დაუტოვა ციფრით „30“ - სწორედ ეს ნომერი აიღო ახალ კლუბში ბაიასმა. არსებობს იმ ღამით მერილენდის უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელში მომხდარის რამდენიმე ვერსია, მაგრამ ფაქტია, რომ დილის 6 საათსა და 30 წუთზე 911-ზე ზარი გაისმა. ლენის ძველმა მეგობარმა **ბრაიან ტრიბლმა** ტელეფონის ყურმილში თქვა: *„ჩემ გვერდით ლენ ბაიასია. ის არ სუნთქავს“*. მოთამაშის აგენტმა თავისი კავშირები გამოიყენა და იმას მიაღწია, რომ ლენი საავადმყოფოში სამხედრო ვერტმფრენით გადაიყვანეს. მაგრამ 8 საათსა და 51 წუთზე ექიმებმა კოკაინის ზედმეტი დოზის გამო გულის გაჩერება დააფიქსირეს.

ამ ამბავმა მთელი ამერიკა შეძრა. პირველი, ვინც ლენის მშობლებს ყვავილები გაუგზავნა, მაიკლ ჯორდანი იყო. ამ ტრაგედიამ მოთამაშეთა შემოწმების მთელი ტალღა გამოიწვია - NBA-ის ყველა კალათბურთელი სისხლში ნარკოტიკების შემცველობაზე შეამოწმეს. ყოველი დარღვევისთვის მოთამაშეებს აჯარიმებდნენ და დისკვალიფიკაციას აძლევდნენ. თანაც ეს შემოწმება შეეხო არა მხოლოდ NBA-ის, არამედ კოლეჯის კალათბურთელებსაც: რამდენიმე თვის განმავლობაში მარტო UCLA-დან ათი კაცი გარიცხეს, რომელთა შორის ამ სასწავლებლის საკალათბურთო გუნდის წევრებიც იყვნენ. გამოძიების ფედერალურმა ბიურომ ტელეფონების მოსმენის ნებართვა მიიღო. მაგრამ ამ შემოწმებებმაც ვერ ააცილა „სელტიქსს“ მეორე ტრაგედია.

■ ■ ■

რეჯი ლუისი 1965 წელს ბალტიმორში დაიბადა, 1981 წელს დანბერის უმაღლეს სკოლაში ჩაირიცხა, რომლის შემადგენლობაშიც ორი წელი **დევიდ უინდგეიტთან** ერთად ბრწყინავდა: ორი სეზონში „დანბერ პოეტსმა“ 60 მატჩი მოიგო და ერთხელაც არ დამარცხებულა. 1983 წელს ლუისმა ბოსტონის ჩრდილო-აღმოსავლეთ უნივერსიტეტში გააგრძელა გამოსვლა - ამ სასწავლებლის გუნდში სამი წელი თამაშიც საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ მისი სათამაშო ნომერი ხმარებიდან ამოეღოთ და მაისურა „მეტიუზ არენას“ („ბოსტონ სელტიქსის“ საშინაო არენა 1946 წლიდან) თაღზე დაეკიდათ.

1987 წლის დრაფტზე ლუისი „სელტიქსმა“ 22-ე ნომრად აირჩია და არ შემცდარა: თუ პირველი სეზონი რეჯიმ სუსტად ჩაატარა, უკვე მეორე წელს სეზონის ნახევარზე მეტი სასტარტო ხუთეულში გაატარა, მალე კი გუნდის ერთ-ერთი წამყვანი კალათბურთელი გახდა. 20.8 ქულა, 4.3 მოხსნა, 3.7 შედეგიანი პასი საშუალოდ - საკმაოდ შთამბეჭდავი მაჩვენებლებია. 1992 წელს რეჯი „ყველა ვარსკვლავის მატჩში“ მიიწვიეს, სადაც 15 წუთი სათამაშო დრო მისცეს - იმის გათვალისწინებით, ვინ თამაშობდა აღმოსავლეთის გუნდში მის პოზიციაზე, ეს 15 წუთი მეტად დამაჯერებლად მოჩანდა.

რეჯის გულთან დაკავშირებული პრობლემები ჯერ კიდევ გაზაფხულზე აღმოუჩინეს - 1993 წლის პლეი ოფის პირველი წრის რაუნდის დროს. „შარლოტთან“ მატჩის მსვლელობისას ექიმებმა ლუისი ხელში აყვანილი გაიყვანეს მოედნიდან. ხოლოდ 1993 წლის 27 ივლისს, ერთ-ერთი წინასასეზონო ვარჯიშის დროს ლუისი გულის შეტევით პირდაპირ მოედანზე გარდაიცვალა.

ლუისის სისხლში კოკაინის კვალი აღმოაჩინეს - ექიმებმა დასკვნაში გულის გაჩერების მიზეზად სწორედ ეს ჩაწერეს. ყველაზე გასაოცარი კი შემდეგია: როგორც რეჯის მეგობრებმა აღიარეს, „სელტიქსის“ მოთამაშემ ნარკოტიკების მიღება საყვარელ გოგონასთან განშორების გამო სიკვდილამდე ერთი წლით ადრე დაიწყო. გაუგებარია, როგორ გამოეპარათ ეს ფაქტი ექიმებს.

ლუისის პატივსაცემად „სელტიქსმა“ მისი 35-ნომრიანი მაისურა ამოიღო ხმარებიდან - ის მეორე კალათბურთელი გახდა „ბოსტონის“ ისტორიაში, ვისაც ასეთი პატივი საჩემპიონო ბეჭდის მოპოვების გარეშე ერგო.

ლენი და რეჯი „სელტიქსის“ ლიდერები უნდა გამხდარიყვნენ. ბაისის გარეშე „ბოსტონმა“ 1986-87 წლების სეზონი 59 მოგებითა და 23 წაგებით დაასრულა, მაგრამ ტრავმებმა თავისი გააკეთეს და „კელტებმა“ „ლეიკერსთან“ ფინალი წააგეს. რეალურად, ეს დასასრულის დასაწყისი იყო - „ბოსტონის“ დიდი ტრიო“ 1994 წელს დაიშალა, ლუისი და ბაიასი კი, რომლებსაც **პერიში**, ბერდი და მაკჰეილი უნდა შეეცვალათ, ერთად არასოდეს გასულან მოედანზე.


რეჯი ლუისი

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

კრივი

# მენი საუკეთესო აღარ არის

ფილიპინელმა მოკრივე **მენი პაკიაომ** წააგო გამოკითხვა, რომელმაც 2010 წლის საუკეთესო მოკრივე გამოავლინა. გამოკითხვა ამერიკის ჟურნალისტთა ასოციაციის იმ წევრებმა ჩაატარეს, რომლებიც კრივზე მუშაობენ. მათ 2010 წლის შედეგების მიხედვით საუკეთესოდ მიიჩნიეს არგენტინელი **სერხიო მარტინესი**, პაკიაო კი მეორე ადგილით დაკმაყოფილდა.

35 წლის მარტინესი 72.6-კილოგრამამდე წონით კატეგორიაში გამოდის. 2010 წელს მან ორი ბრძოლა გამართა. აპრილში დაამარცხა ამერიკელი **კელი პავლიკი** და WBC-სა (მსოფლიოს საკრივო საბჭო) და WBO-ის (მსოფლიოს საკრივო ორგანიზაცია) ვერსიებით საუკეთესო გახდა.

ნოემბერში მარტინესმა დაიცვა WBC-ის ტიტული მეორე რაუნდში ამერიკელი **პოლ უილიამსის** ნოკაუტში გაგზავნის შემდეგ. სხვათა შორის, არგენტინელს ამ ბრძოლამდე WBO-ის საჩემპიონო ქამარი ჩამოართვეს, გასულ კვირას კი WBC-ის ტიტულიც აღარ შერჩა, რადგან მარტინესმა უარი თქვა აუცილებელ პრეტენდენტთან, გერმანელ **სებასტიან ცბიკთან** შეხვედრაზე. ახლა სერხიო WBC-ის „საპატიო ჩემპიონად“ გამოცხადდა.

რაც შეეხება პაკიაოს, რომელსაც მსოფლიოს საუკეთესო მოკრივეს უწოდებენ წონის გაუთვალისწინებლად, მან 2010 წლის მარტში განელი **ჯოშუა კლოტი** დაამარცხა, ნოემბერში კი მექსიკელ **ანტონიო მარგარიტოს** სძლია. ამ უკანასკნელის დამარცხებით, ფილიპინელმა WBC-ის ტიტული მოიპოვა 69.9 კილოგრამში, რითაც მსოფლიოს ჩემპიონი გახდა რიგით მერვე წონით კატეგორიაში.

ჟურნალისტთა ასოციაციამ 2010 წლის საუკეთესო მწვრთნელად **ფრედი როუჩი** დაასახელა. სწორედ ის გახლავთ პაკიაოს დამრიგებელი. საუკეთესო ბრძოლად აღიარეს ბრიტანელი **ამირ ჰანისა** და არგენტინელი **მარკოს მაიდანის** დაპირისპირება, რომელიც ჰანმა ქულებით მოიგო.


სერხიო მარტინესი

ჩოგბურთი

## ცეკვის გაკვეთილი

მამაკაცთა პროფესიული ტურის მთავარი შოუმენი, სერბი ჩოგბურთელი **ნოვაკ ჯოკოვიჩი** ტრადიციას არ ღალატობს. „ჯოკერი“ ავსტრალიის ღია პირველობაზეც ერთობა და პუბლიკასაც ახალისებს. ამჯერად, ნოვაკმა სამეჯლისო ცეკვების გაკვეთილი აიღო ავსტრალიელ ტელეწამყვან **კიმ ჯონსონისგან**, რომელიც სატელევიზიო შოუს („ვარსკვლავებთან ცეკვა“) მონაწილე გახლავთ.

ნოვაკი და კიმი უფრო ერთობოდნენ, ვიდრე ცეკვავდნენ, რითაც ძალიან გაართეს მაყურებელი.


ჯოკოვიჩი ცეკვავს